



“Anchoring sustainable development by
rule of law”



ISET

რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური
დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში
შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის
შეფასება

საბოლოო ანგარიში

თებერვალი, 2019 წელი

სარჩევი

I.	შემაჯამებელი მიმოხილვა	2
II.	პრობლემის განსაზღვრა	6
A.	პოლიტიკის კონტექსტი.....	6
B.	ჩარევის დასაბუთება	6
III.	მიზნები.....	15
A.	ზოგადი და კონკრეტული მიზნები.....	15
B.	საოპერაციო მიზნები.....	15
IV.	პოლიტიკის ვარიანტები.....	16
V.	გავლენების ანალიზი	18
A.	თვისობრივი ანალიზი	18
a.	გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მოთამაშეები	18
b.	კრედიტორების უფლებები და მოთხოვნების რიგითობა	21
c.	დროითი შეზღუდვები და ვადები.....	25
d.	ფიზიკური პირის გაკოტრება.....	26
e.	გამოკვლევა კონკრეტულ მაგალითზე და მისი შეფასება	31
f.	ანტიკორუფციული რისკები გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში.....	52
g.	მდგრადი განვითარების მიზნები	53
C.	რაოდენობრივი ანალიზი	56
a.	ბიზნესის კეთების ინდიკატორები	56
b.	ეკონომიკური გავლენები.....	58
D.	გავლენების შეჯამება	66
VI.	მრავალკრიტერიუმანი ანალიზის გამოყენებით ვარიანტების შედარება	68
VII.	მონიტორინგისა და შეფასების გეგმა	69
VIII.	პროცედურული საკითხები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან	71
A.	კონსულტაციები და გამოცდილება	71
B.	RIA-ის გუნდის მიერ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გამოკითხვა	72
	გამოყენებული ლიტერატურა	76
	დანართი I- გადახდისუუნარობის კანონის შეფასების შემაჯამებელი მიმოხილვა (G4G/USAID, 2015).....	77
	დანართი II – საერთაშორისო ექსპერტის, ჰანს იანუსის შეფასება.....	80
	დანართი III – კითხვარი დაინტერესებული მხარეებისთვის	90
	დანართი IV – დაინტერესებულ მხარეთა რეესტრი.....	93

I. შერეული მიმოხილვა

პოლიტიკის კონტექსტი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილება საქართველოს მთავრობისა¹² და მისი საერთაშორისო პარტნიორების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რათა შეიქმნას ეფექტური ბიზნეს-გარემო და ხელი შეეწყოს ქვეყნის მდგრად განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

ფუნდამენტური კანონი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს მხარეთა ურთიერთობებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას, 2007 წელს შევიდა ძალაში. კანონის 2007 წლის ვერსიაში არაერთი ცვლილება შევიდა, რისი მიზანიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე მორგება იყო, თუმცა არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა ვერ ახერხებს დაკისრებული ფუნქციის შესრულებას, რაზეც საერთაშორისო რეიტინგები და შეფასებებიც მეტყველებს. 2014 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) და მმართველობამ განვითარებისთვის (G4G) შეაფასეს გადახდისუუნარობის რეჟიმი საქართველოში და წარმოადგინეს რეკომენდაციები როგორც კანონმდებლობის, ისე გადახდისუუნარობის ზოგადი სისტემის შეცვლისთვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, GIZ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაიწყო მუშაობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ ახალი კანონის მომზადებაზე. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები, გადახდისუუნარობის საქმეებზე მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ოთხი გამოჩენილი იურისტი, ინვესტროთა საბჭოს წარმომადგენლები და გერმანელი ექსპერტები, რომელთაც წარმოადგინეს პოლიტიკის შეცვლისთვის საჭირო რეკომენდაციები და რეფორმის ვარიანტი. 2018 წლის ივნისში სამუშაო ჯგუფმა დაასრულა რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის კანონპროექტზე მუშაობა და დაიწყო კონსულტაციების ეტაპი. კონსულტაციებისთვის მოიწვიეს ის მთავარი დაინტერესებული მხარეები, რომელთაც ეხება წარდგენილი კანონმდებლობა.

კანონპროექტის უმთავრესი გამოწვევა არის გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანობის გაუმჯობესება, რაც მიიღწევა სიცოცხლისუნარიანი საწარმოს გადარჩენის შესაძლებლობების გაზრდითა და მოვალეების აქტივების განაწილების პროცესში სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობის წახალისებით, როდესაც საწარმოს გადარჩენა შეუძლებელია.

- a. საწარმოს აქტივების ღირებულების და კრედიტორების სესხის ამოდების დონის გაზრდა;
- b. ეფექტიანობის გაუმჯობესება როგორც არასიცოცხლისუნარიანი ბიზნესების ლიკვიდაციისას, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ლიკვიდაცია კრედიტორებს უფრო მეტ უკუგებას აძლევს, ასევე სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების რეორგანიზაციისას;
- c. ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესება.

¹ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის

² საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“

აღნიშნული რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ფარგლებში განხილულია შემდეგი პოლიტიკის ვარიანტები:

1-ლი ვარიანტი

„არავითარი პოლიტიკის ცვლილების“ ვარიანტის შემთხვევაში მოქმედი კანონი არ იცვლება, შესაბამისად, კანონის არსებულ ფორმულირებასთან დაკავშირებული ტენდენციებიც უცვლელი რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური და სოციალური ტენდენციები იგივე მიმართულებით განვითარდება. საკანონმდებლო ჩარჩო კვლავ ვერ შეასრულებს გაცხადებულ მიზნებსა და ფუნქციებს, რაც დააზიანებს ქვეყნის ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს რეპუტაციას. მეორე მხრივ, თავიდან ავიცილებთ საჯარო თუ კერძო სექტორის ყველა იმ დამატებით ტვირთს, რაც ახალი კანონმდებლობის ამოქმედებასთან არის დაკავშირებული.

წარდგენილი პოლიტიკური ჩარევა, მე-2 ვარიანტი აფასებს ასეთი ჩარევის წმინდა სარგებელს (თვისობრივს ან რაოდენობრივს, როცა შესაძლებელია).

მე-2 ვარიანტი

მე-2 ვარიანტი არის პოლიტიკის სცენარი, რომელშიც კანონპროექტით გათვალისწინებული ყველა დებულება მტკიცდება ისე, როგორც ეს კანონპროექტის ავტორებმა გაითვალისწინეს.

რომ შევაჯამოთ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ მოქმედ კანონთან შედარებით, წარდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- i. მოქმედ კანონთან შედარებით, კანონპროექტი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში მონაწილე მოთამაშეებს შორის კომპეტენციების განსხვავებულ განაწილებას. მაგალითად, პრობლემური საწარმოს გაკოტრებასა თუ რეაბილიტაციაზე გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე და არა მომრიგებელი საბჭო, როგორც მოქმედი კანონმდებლობით არის დადგენილი.
- ii. კანონპროექტს შემოაქვს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის კონცეფცია, რომლის თანახმადაც პირმა შეიძლება იკისროს გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის როლი, თუ აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს.
- iii. კანონპროექტი ცვლის კრედიტორების მოქმედ რიგითობას. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, შემოსავლების სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იყენებდეს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებებს (როგორცაა საგადასახადო გირავნობა და საგადასახადო იპოთეკა), არ არის უზრუნველყოფილი კრედიტორი. მეტიც, კანონპროექტს შემოაქვს კრედიტორების ახალი კლასი: პრეფერენციული კრედიტორები. ამ კლასში, სხვებთან ერთად, შედის პრობლემური საწარმოს ის თანამშრომლები, რომელთა დასაქმების მოთხოვნასაც ენიჭება უპირატესობა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან შედარებით.
- iv. კანონპროექტის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში, უზრუნველყოფილი კრედიტორები დაკმაყოფილდებიან მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხით. მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც არ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის ღირებულებიდან, გადადის არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების რიგში.
- v. კანონპროექტი ადგენს უფრო მკაფიო კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც უნდა მომზადდეს პრობლემური საწარმოს რეაბილიტაციის გეგმა, რომელსაც შემდეგ ამტკიცებს

სასამართლო. ასეთი კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ რეაბილიტაციის გეგმა არ მტკიცდება კრედიტორების ინტერესების საზიანოდ.

- vi. კანონპროექტი საშუალებას აძლევს არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს, წამყვანი როლი შეასრულონ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას, იმ შემთხვევაში კი, როდესაც უზრუნველყოფილი კრედიტორები ეწინააღმდეგებიან გეგმის დამტკიცებას. უნდა აღინიშნოს, რომ იმისთვის, რომ არაუზრუნველყოფილმა კრედიტორებმა ისარგებლონ ამ შესაძლებლობით, რეაბილიტაციის გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად წარმოდგენილ კრიტერიუმებს.
- vii. კანონპროექტი ადგენს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველების ანაზღაურების მაქსიმალურ ზღვარს. დასაბუთების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გაზარდოს აღნიშნული ზღვრული ტარიფები.

ვარიანტების შედარება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით

შეფასების კრიტერიუმი	1-ლი ვარიანტი	მე-2 ვარიანტი
ეფექტურობა	+	++
განხორციელებადობა / დანერგვის სიმარტივე	++	+
პოტენციური რისკების შემცირება	++	+
პოტენციური სარგებლის გაზრდა	+	++
გადანაწილების ეფექტი	+	++


ვარიანტების რეიტინგი

ანალიზის თანახმად, ორივე ვარიანტს აქვს გარკვეული უპირატესობები. ჩვენ არ ვანიჭებთ წონებს თუმცა, თუ ყველა კრიტერიუმს ერთნაირ წონას მივანიჭებთ მაშინ მე-2 ვარიანტი აშკარად გადაწონის 1-ელ ვარიანტს და უნდა იყოს უპირატესი არჩევანი. თუ კი განხორციელებადობის/შესაბამისობის სიმარტივის და პოტენციური რისკების შემცირების კრიტერიუმებს სხვა კრიტერიუმებთან შედარებით მეტ წონას მივანიჭებთ, მაშინ 1-ლი ვარიანტი მე-2 ვარიანტთან შედარებით უმჯობესია.

მიდგომა

RIA-ის გუნდი, აცნობიერებს რა გაეროს 2030 დღის წესრიგის განხორციელებაში მის წილ პასუხისმგებლობას, განსაკუთრებულად იზრუნა, რომ RIA-ის ჩატარების ყველა ეტაპზე გათვალისწინებული ყოფილიყო მისი ხუთი 5 პრინციპი (იხილეთ ქვევით). წარდგენილი პოლიტიკის გავლენის გაანალიზებისას გამოყენებულ იქნა ინტეგრირებული მიდგომა, რაც გულისხმობს უამრავი დაინტერესებული მხარის, მათ შორის მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობას. მონაწილეობითი საკონსულტაციო პროცესი მოიცავდა საჯარო და კერძო სექტორს, სამეცნიერო საზოგადოებას, ბიზნეს ასოციაციებს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს,

რამაც ხელი შეუწყო გამჭვირვალობას გადაწყვეტილების მიღებაში, დიალოგში და ღია მმართველობის ჩამოყალიბებაში. ვარიანტების რანჟირებისთვის შემუშავებული კრიტერიუმები ითვალისწინებს მდგრადი განვითარების განზომილებებს (ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით) შორის სინერგიას და ხსნის მიზნებსა და ამოცანებს შორის კომპრომისების საკითხს. მეტიც, 2030 დღის წესრიგთან მიმართებაში კანონპროექტის განხორციელების პროცესის შეფასების მიზნით კვლევამ წარმოადგინა მთელი რიგი შეფასებადი ინდიკატორები, რომლებიც მოიცავს სამივე განზომილებას.

 2030 წლის დღის წესრიგის პრინციპები
<p>უნივერსალურობა: მდგრადი განვითარების მიზნები შეეხება ყველა: დაბალ, საშუალო და მაღალ შემოსავლიან სახელმწიფოებს. გლობალური მიზნების მისაღწევად, აუცილებელია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა. ამისთვის, განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული პოლიტიკის 2030 დღის წესრიგის მიხედვით განსაზღვრა.</p>
<p>ინტეგრირებული მიდგომა: მდგრადი განვითარების სამი განზომილების (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი) დაცვა, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებებისა და ურთიერთქმედებების გათვალისწინებით.</p>
<p>გაზიარებული პასუხისმგებლობა: არსებული გლობალური გამოწვევების გადალახვა მხოლოდ მთავრობის მეშვეობით შეუძლებელია. 2030 დღის წესრიგი კომპეტენციის შესაბამისად, აკისრებს მისი შესრულების პასუხისმგებლობას როგორც მთავრობას, ისე მუნიციპალიტეტებს, სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო სექტორსა და აკადემიურ წრეებს.</p>
<p>არავინ დარჩეს უყურადღებოდ: მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებელია, რომ არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა. აღნიშნული პრინციპი 2030 დღის წესრიგის იმპლემენტაციისას ითვალისწინებს მარგინალური ჯგუფების მდგომარეობას და გულისხმობს ინკლუზიურ მიდგომას მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.</p>
<p>ანგარიშვალდებულება: 2030 დღის წესრიგის წარმატებით შესრულებისთვის, მუდმივად უნდა ჩატარდეს მიღწეული პროგრესის მონიტორინგი და შეფასება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პოლიტიკის ეფექტურ ფორმირებას. ამისთვის, აუცილებელია მაღალი ხარისხის, ჩაშლილი და განახლებული მონაცემების მუდმივი შეგროვება.</p>

საქართველომ მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) დღის წესრიგისა და მისი სამიზნე მაჩვენებლების ეროვნული გარემოებების მისასადაგებელი და განსახორციელებელი აქტიური ზომები მიიღო 2030 დღის წესრიგის ხუთი პრინციპის გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება განიხილება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ეროვნული პრიორიტეტი, რომელიც ყველა პოლიტიკურ და სტრატეგიულ დონეზე საფუძველს უდებს კანონებსა და პოლიტიკურ დოკუმენტებს. SDG-ების მისადაგებას საქართველოს გარემოსთვის მოჰყვა ეროვნული SDG მატრიცის შემუშავება, რომელიც ზომავს ქვეყნის მიერ 2030 დღის წესრიგის ვალდებულებების შესრულებას.

II. პრობლემის განსაზღვრა

A. პოლიტიკის კონტექსტი

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილება საქართველოს მთავრობისა³ და მისი საერთაშორისო პარტნიორების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რათა შეიქმნას ეფექტური ბიზნეს-გარემო და ხელი შევუწყოს ქვეყნის მდგრად განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

ფუნდამენტური კანონი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს მხარეთა ურთიერთობებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას, 2007 წელს შევიდა ძალაში. კანონის 2007 წლის ვერსიაში არაერთი ცვლილება შევიდა, რისი მიზანიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე მორგება იყო, თუმცა არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა ვერ ახერხებს დაკისრებული ფუნქციის შესრულებას, რაზეც საერთაშორისო რეიტინგები და შეფასებებიც მეტყველებს. 2014 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) და მმართველობამ განვითარებისთვის (G4G) შეაფასეს გადახდისუუნარობის რეჟიმი საქართველოში და წარმოადგინეს რეკომენდაციები როგორც კანონმდებლობის, ისე გადახდისუუნარობის ზოგადი სისტემის შეცვლისთვის.

USAID-ის პროექტის G4G-ის მიერ ჩატარებული შეფასების ანგარიშის თანახმად, მოქმედი „კანონი უარყოფითად მოქმედებს პრიორიტეტული უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებებზე, მეტწილად უგულებელყოფს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებებს და არც იმდენად მოქნილ ჩარჩოს ქმნის, რომ „რეაბილიტაცია“ გამოსადეგი სტრატეგია იყოს მოვალეებისა ან კრედიტორისთვის.“ გერმანელ ეკონომისტთა გუნდი გამოარჩევს ორ მთავარ ასპექტს, სადაც საქართველო ვერ ახერხებს, მისდიოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. პირველი ასპექტია ის, რომ სისტემა აქცენტს აკეთებს გადახდისუუნარო კომპანიის ლიკვიდაციაზე, ნაცვლად მისი რეაბილიტაციისა. მეორე ასპექტია გადახდისუუნარობის საქმეების მართვის შეზღუდული ინსტიტუციური უნარი, მაგალითად, ქვეყანაში არ არსებობს კერძო გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესია (რომელიც დროებით მართავს კომპანიას, სანამ საწარმო გადახდისუუნარობის რეჟიმშია).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, GIZ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაიწყო მუშაობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ ახალი კანონის მომზადებაზე. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები, გადახდისუუნარობის საქმეებზე მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ოთხი გამოჩენილი იურისტი, ინვესტროთა საბჭოს წარმომადგენლები და გერმანელი ექსპერტები, რომელთაც წარმოადგინეს პოლიტიკის შეცვლისთვის საჭირო რეკომენდაციები და რეფორმის ვარიანტი. 2018 წლის ივნისში სამუშაო ჯგუფმა დაასრულა რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის კანონპროექტზე მუშაობა და დაიწყო კონსულტაციების ეტაპი. კონსულტაციებისთვის მოიწვიეს ის მთავარი დაინტერესებული მხარეები, რომელთაც ეხება წარდგენილი კანონმდებლობა.

B. ჩარევის დასაბუთება

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი არეგულირებს ურთიერთობას მოვალეებსა (მეწარმეები, აქციონერები) და კრედიტორებს (ბანკები და სხვა ინსტიტუტები, რომლებიც სესხს

³ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის

⁴ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“

ფულით ან აქტივების მეშვეობით გასცემენ) შორის, როდესაც მოვალეს სხვადასხვა მიზეზით აღარ შეუძლია ვალდებულებების შესრულება. საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ამ ურთიერთობას არეგულირებს, გადამწყვეტია პროდუქტიული რესურსების ეფექტური (ე.ი. სწრაფი და იაფი) რელოკალიზებისთვის, როდესაც ბიზნესი ფინანსურ კრიზისშია. უამრავი მტკიცებულება⁵ არსებობს, რომ ქვეყნის გამართულ გადახდისუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის დადებითი კორელაციაა (ლა პორტა და თანაავტორები, 1997 წ., ჯანკოვი და თანაავტორები, 2008 წ., არაუჯო და თანაავტორები, 2012 წ., ვერანდო და თანაავტორები, 2015 წ. და სხვ.), თუმცა გადახდისუნარობის ოპტიმალური ჩარჩო კანონმდებლობა დამოკიდებულია ქვეყნის სამართლებრივ ისტორიასა და სხვა მახასიათებლებზე. ეკონომიკაში ნობელის პრემიის 2016 წლის ლაურეატის, ოლივერ ჰარტის აზრით, რომელიც აღიარებულია კონტრაქტების თეორიაში შეტანილი წვლილისთვის, არ არსებობს უნივერსალური, ყველა ქვეყანაზე მორგებული გადახდისუნარობის საქმის წარმოების კანონი, თუმცა არსებობს ზოგადი პრინციპები, რომლებიც ყველა კანონმა უნდა დააკმაყოფილოს. ჰარტი გამოჰყოფს სამ მიზანს, რის მიღწევასაც უნდა ცდილობდეს კანონი.

მიზანი 1. სხვა ყველა თანაბარ პირობებში, გადახდისუნარობის კარგი პროცედურით საწარმოო ეფექტიანი ფაქტორები შედეგები უნდა მიიღოს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადახდისუნარობის საქმის წარმოების შედეგი ეფექტიანია, თუ სიცოცხლისუნარიანი საწარმო რეორგანიზდება, არასიცოცხლისუნარიანი კი დატოვებს ბაზარს. ასევე, მნიშვნელოვანია, კრედიტის ამოღების მაჩვენებელი იყოს მაღალი, გადახდისუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ფინანსური და დროითი ხარჯი კი – დაბალი. გადახდისუნარობის საქმის წარმოების მაღალი ხარჯები აფერხებს არაეფექტური საწარმოების ლიკვიდაციას და გამოთავისუფლებული რესურსების ეფექტურად გამოყენებას. დასუსტებული საწარმოებისთვის ბაზრიდან გასვლის შესაძლებლობის მიცემა აჯანსაღებს ეკონომიკას და სარგებელი მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის.

კლესენსი და კლექერი (Claessens & Klapper, 2005) სწავლობენ ფორმალური გადახდისუნარობის საქმის წარმოების გამოყენების განმსაზღვრელ ფაქტორებს. ავტორები იყენებენ 35 ქვეყნის რეალური გადახდისუნარობის შესახებ განცხადებების მონაცემებს, რათა დაადგინონ, რა კავშირშია განცხადებები ქვეყნის კონკრეტულ კრედიტორთა უფლებებსა და სასამართლო სისტემის ეფექტიანობასთან. მათ დაადგინეს, რომ გაკოტრების შემთხვევები უფრო ხშირია უკეთ ფუნქციონირებადი სასამართლო სისტემების მქონე ქვეყნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ კრედიტორს აქვს შანსი, სასამართლოს გამოყენებით უფრო ეფექტიანად დააკმაყოფილოს მოთხოვნები, დიდი ალბათობით, ისინი დეფოლტის შემთხვევაში გამოიყენებენ ფორმალური გაკოტრების საქმის წარმოების პროცედურას. მდიდარ ქვეყნებში უფრო ხშირად იყენებენ გადახდისუნარობის საქმის წარმოების პროცედურას, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს სასამართლოს გამოყენების სიხშირეს.

მიზანი 2. გადახდისუნარობის საქმის წარმოების კარგი პროცედურა სესხს უნდა უნარჩუნებდეს მაკავშირებლის როლს, რაც გამოიხატება გადახდისუნარობის რეჟიმში მყოფი მენეჯერებისა და აქციონერების ადეკვატურად დასჯაში.

გადახდისუნარობის რეჟიმი არის ფინანსური დისციპლინისა და სამართლებრივი სიცხადის მიღწევის ინსტრუმენტი. სუსტი გადახდისუნარობის საქმის წარმოების პროცედურა ზრდის ინვესტორების რისკს, თუ საქმე კარგად არ წავა. შედეგად, მხოლოდ მაღალრისკიან ინვესტორებს ენდომებათ სუსტი გადახდისუნარობის რეჟიმების მქონე ქვეყნებში ინვესტიციების ჩადება.

⁵ V ქვეთავში მოკლედ არის შეჯამებული ეს ლიტერატურა.

დაბალი რისკები უფრო მეტ სამეწარმეო საქმიანობით დაინტერესებულ ინვესტორს მოიზიდავს, რაც წახალისებს ქვეყნის ეკონომიკას.


საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) „მეთოდური და ეფექტური გადახდისუნარობის პროცედურების სახელმძღვანელო“ მიხედვით, მიუღებელია, გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი აღვიქვათ, როგორც პროკრედიტორი ან პრომსესხებელი. მნიშვნელოვანი არის ის, თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებს ამ წესებს ძლიერი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა⁶. ეფექტურად და თანმიმდევრულად გამოყენებული პრომსესხებლური კანონი უფრო მეტ ნდობას მოიპოვებს ფინანსურ ბაზრებზე, ვიდრე არაპროგნოზირებადი პროკრედიტორული კანონი.

მიზანი 3. გადახდისუნარობის საქმის წარმოების კარგი პროცედურა იცავს აქტივებზე უფლების აბსოლუტურ პრიორიტეტულობას, აქციონერებს კი უნდა დარჩეთ საწარმოს ღირებულების გარკვეული ნაწილი.

აქციონერებისთვის გარკვეული ღირებულების შენარჩუნება მათ უმცირეს სტიმულს, მაღალრისკიანი გადაწყვეტილებები მიიღონ აქციონერების სახელით ან შეაყვინონ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების შეტანა.

ამ ზოგადი პრინციპების შესაბამისად, „ბიზნესის კეთების“ გადახდისუნარობის ინდიკატორი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გადახდისუნარობის რეჟიმებს აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ ყველაზე ეფექტიანი შედეგის მიღება. საქართველოს შედეგი თითქმის თანაბარია ევროპის და შუა აზიის რეგიონების (გარდა ეთგო-ის მაღალშემოსავლიანი ქვეყნებისა) შედეგების შემდეგ ინდიკატორებში: ამოღების დონე, რომელიც ზომავს, რამდენი ცენტი ამოიღეს უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა ყოველ გაცემულ ერთ დოლარზე გადახდისუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოდან გადახდისუნარობის საქმის წარმოების დასრულების შემდეგ; დრო (კალენდარული წელი), რომელიც კრედიტორებს დასჭირდათ სესხის ამოსაღებად; საქმის წარმოების ხარჯი (მოვალის ქონების ღირებულების პროცენტებში). დიდი ალბათობით, გადახდისუნარობის საქმის წარმოება დასრულდება საწარმოს ნაწილ-ნაწილ გაყიდვით, ნაცვლად მოქმედი ბიზნესის სახით გაყიდვისა, რაც უარყოფითად მოქმედების ამოღების კოეფიციენტზე.

გრაფიკი 1. ბიზნესის კეთების გადახდისუნარობის გარემოს შეფასების ინდიკატორი საქართველოსთვის



წყარო: მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების პუბლიკაციები

⁶ ეს კი, თავისთავად, 2030 დღის წესრიგის 16-ე მიზანთან თანხვედრით ხელს უწყობს ქვეყნებს კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და ეფექტური, ანგარიშვალდებულებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების განვითარებას, რათა უზრუნველყოს ბიზნესის საჭიროებების დაკმაყოფილება სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის თვალსაზრისით და ზრდისა და შესაძლებლობების სტიმულირებისთვის.

ცხრილი 1. ბიზნესის კეთების გადახდისუუნარობის გადაწყვეტის ინდიკატორი საქართველოსთვის

ინდიკატორი	საქართველო	ევროპა და ცენტრალური აზია	ეთგო-ის მაღალშემოსავლიანი ქვეყნები
ამოღების დონე (ცენტი დოლარზე)	39.4	38	71.2
დრო (წელი)	2	2.3	1.7
ხარჯი (ქონების %)	10	13.1	9.1
შედეგი (0 – ნაწილ-ნაიწლ გაყიდვა, 1 – მოქმედი ბიზნესის სახით)	0		
კითხვები	პასუხი	ქულა	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს სიძლიერის ინდექსი (0-16)			11
საქმის წარმოების დაწყების ინდექსი (0-3)			2.5
რა პროცედურები აქვს მოვალეს, როდესაც იწყებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას?	(a) მოვალემ შეიძლება შეიტანოს როგორც ლიკვიდაციის, ისე რეორგანიზაციის შესახებ განცხადება	1	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო აძლევს საშუალებას კრედიტორს, შეიტანოს მოვალის გაკოტრების შესახებ განცხადება?	(b) კი, მაგრამ კრედიტორმა შეიძლება შეიტანოს მხოლოდ ლიკვიდაციის შესახებ განცხადება	0.5	
არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების რა საფუძველი არსებობს?	(a) მოვალე, როგორც წესი, ვერ იხდის ვალს	1	
მოვალის აქტივების მართვის ინდექსი (0-6)			5.5
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო იძლევა მოვალისთვის მნიშვნელოვანი საქონლისა და სერვისების მიწოდებისთვის საჭირო კონტრაქტების გაგრძელების საშუალებას?	კი	1	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო აძლევს მოვალეს საშუალებას, შეწყვიტოს კონტრაქტები, რომლებიც მეტისმეტ ტვირთს აკისრებს მას?	კი	1	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო იძლევა პრეფერენციული გარიგებების შევილების საშუალებას?	კი	1	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო იძლევა ღირებულებაზე დაბალი გარიგებების თავიდან აცილების საშუალებას?	კი	1	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო აძლევს შესაძლებლობას მოვალეს, მიიღოს კრედიტი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ?	კი	1	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო პრიორიტეტს ანიჭებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილ კრედიტს?	(a) კი, ყველა დაწყებამდე უზრუნველყოფილ თუ არაუზრუნველყოფილ კრედიტორთან შედარებით	0.5	
რეორგანიზაციის საქმის წარმოების ინდექსი (0-3)			0
რომელი კრედიტორები აძლევენ ხმას წარდგენილ რეორგანიზაციის გეგმას?	(c) სხვა	0	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს თანახმად, უარზე მყოფი კრედიტორები რეორგანიზაციის დროს სულ მცირე იმდენს მიიღებენ, რამდენსაც ლიკვიდაციის დროს მიიღებდნენ?	არა	0	
კრედიტორები იყოფიან ჯგუფებად რეორგანიზაციის გეგმაზე ხმის მიცემის მიხედვით, თითოეული კლასი ცალკე აძლევს ხმას, ერთი და იმავე კლასში შემავალ კრედიტორებს ერთნაირად ექვევიათ?	არა	0	
კრედიტორების მონაწილეობის ინდექსი (0-4)			3

გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს თანახმად, საჭიროა კრედიტორების თანხმობა გადახდისუუნარობის წარმომადგენლის შერჩევაზე ან დანიშვნაზე?	კი	1
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს თანახმად, საჭიროა კრედიტორების თანხმობა მოვალის მნიშვნელოვანი აქტივების გაყიდვაზე?	არა	0
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო კრედიტორებს ანიჭებს უფლებას, გადახდისუუნარობის წარმომადგენლისგან გამოითხოვონ ინფორმაცია?	კი	1
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო კრედიტორებს ანიჭებს უფლებას, გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რომელიც კრედიტორის მოთხოვნას აკმაყოფილებს ან უარყოფს?	კი	1

წყარო: მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთება, 2018 წელი

G4G/USAID-ის მიერ ინიცირებულმა მოქმედი მექანიზმებისა და პროცედურების სიღრმისეულმა შეფასებამ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონში არაერთი სტრუქტურული ხარვეზი გამოავლინა⁷. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გაკეთებულ დასკვნებს ამყარებს დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციები და 2015 წლამდე და მას შემდეგ ჩატარებული არაერთი დამატებითი კვლევა თუ საერთაშორისო რეიტინგი (მაგ., EBRD-ის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა შეფასება).

გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა არის ხშირი და სერიოზული გაჭიანურებები კანონის აღსრულებისას. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხანგრძლივობის სტატისტიკა არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი⁸, თუმცა შეფასების ანგარიშში⁹ წარმოდგენილი მონაცემები და ბიზნესის კეთების ინდიკატორი აჩვენებს, რომ პროცედურის სრულად ადმინისტრირებას შეიძლება 2 წელზე მეტი დასჭირდეს. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები (არ არსებობს მომრიგებელი საბჭოს ფორმირებისთვის დადგენილი ვადა), გადატვირთული სასამართლოები და მოსამართლეებისთვის დამამძიმებელი მოთხოვნები (კრედიტორთა რეესტრის ვერიფიკაცია, მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრის დანიშვნა, თუ კრედიტორები ვერ იღებენ გადაწყვეტილებას და სხვ.).

საქმის წარმოების ხარჯები დაუშვებლად მაღალია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ხარჯებში შედის სასამართლოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს მოსაკრებლები, იურიდიული მომსახურების ხარჯები და სხვ. ყველა ეს ხარჯი მთლიანი მოთხოვნის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს. მეტიც, კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დასრულების შემდეგ აქტივების გაუნაწილებელი ნაწილი გადაეცემა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. შედეგად, ცხადია, საწარმოს არ აქვს სტიმული, დროულად მიმართოს სასამართლოს, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია საწარმოს გადარჩენა.

მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა გადახდისუუნარობის საქმის მართვისას. ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად რჩება გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის, როგორც ინსტიტუტის მმართველობის სტრუქტურა, რომლის ძირითადი მანდატი არის გადახდისუუნარო მოვალის უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულების მაქსიმიზაცია გადახდისუუნარობამდე გაჩენილი კრედიტორებისთვის.

კანონი არაფერს ამბობს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის კვალიფიკაციებზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ კრიზისში მყოფ საწარმოს მართავენ კომპეტენტური და გამოცდილი

⁷ ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვა წარმოდგენილია 1-ელ დანართში (ინგლისურ ენაზე).

⁸ მონაცემების გამოთხოვის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის გაგზავნილ წერილზე ოფიციალური პასუხის თანახმად, მსგავსი ანალიზი არ ტარდება და არ ქვეყნდება საჯაროდ.

⁹ 2013 წელს საქმის დახურვას 43 თვე დასჭირდა, 2014 წელს – 27 თვე.

ადამიანები. EBRD-ის (2014 წ.) მიერ ბანკის საინვესტიციო ქვეყნებში ჩატარებული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა შეფასების ანგარიში საქართველოს ეგვიპტის, მაროკოსა და თურქეთის გვერდით ასახელებს. შეფასებაში მონაწილე 27 ქვეყანას შორის ამ ქვეყნებს ყველაზე სუსტი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ინსტიტუტი აქვთ. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ლიცენზირებისა და რეგისტრაციის სისტემის და საჭირო საკვალიფიკაციო სტანდარტებისა თუ ტრენინგების არარსებობა აისახება შესაბამის ქულებში (იხ. ცხრილი 2).

სავალდებულო აუქციონი, როგორც ერთადერთი ვარიანტი გაკოტრების რეჟიმში, ასევე დასახელდა საქმის გადაჭრის ერთ-ერთ უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად.

მოქმედი კანონის სერიოზული ხარვეზია კრედიტორთა უფლებების დარღვევა და/ან არასათანადო დაცვა. ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის ერთ რიგში გაერთიანება, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან არაუზრუნველყოფილი კრედიტორების გამორიცხვა, აუქციონის შემდეგ დარჩენილი გაუნაწილებელი აქტივების აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის გადაცემა, შემოსავლების სამსახურის უფლებები და სხვ. ზრდის გაურკვევლობასა და არაპროგნოზირებადობას ყველა ჩართული მხარისთვის. შემოსავლების სამსახური ხშირად არის ყველაზე პრიორიტეტული კრედიტორი, როდესაც მთავრობა განიხილება უზრუნველყოფილ თუ არაუზრუნველყოფილ კრედიტორად, მცირე არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მდგომარეობიდან გამოსვლის ამოღების დონე მცირდება.

ცხრილი 2. EBRD-ის (2014 წ.) შეფასების ინდიკატორები საქართველოსთვის¹⁰

ინდიკატორის დასახელება	ქულა/100
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების პროფესიის ჩამოყალიბება	48
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების ლიცენზირებისა და რეგისტრაციის სისტემის შექმნა	25
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების კვალიფიცირებისა და ტრენინგების შექმნა	25
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის ჩარჩოს შექმნა	31
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების რეგულირების, ზედამხედველობისა და დისციპლინის ჩარჩოს შექმნა	50
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების სამართლებრივი ძალაუფლებისა და უფლება-მოვალეობების საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა	58
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების ანაზღაურება	69
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების დანიშვნის სისტემის შექმნა	83

წყარო: EBRD (2014 წ.)

გაწეილი და ხარჯიანი პროცედურები, გადაწყვეტილების მიღების არაგონივრული მექანიზმები და სახელმწიფო ინტერესების ზედმეტი დაცვა აზიანებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის სამართლიანობას და ვერ ახერხებს ზემოხსენებული ფუნქციების შესრულებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებებისა და რეაბილიტაციის მაჩვენებელს, იწვევს აქტივების ეკონომიკური ღირებულების დაკარგვას, კრედიტორების ამოღების დონის შემცირებას, ასუსტებს ქვეყნის მიმზიდველი ბიზნეს-გარემოსა და ფინანსური სტაბილურობის რეპუტაციას. ეკონომიკურ შედეგებთან ერთად, სუსტი გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო იწვევს სოციალური ცვლადების გაუარესებას, რადგან უამრავი სამუშაო ადგილი იკარგება, როცა გადახდისუუნარო საწარმო სამართლებრივი გაურკვევლობის მდგომარეობაშია. მეტიც, მოქმედი კანონი ისე ექცევა საწარმოს თანამშრომლებს, როგორც არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს, რომლებიც უმეტესწილად ვერ იღებენ მათ მიერ გაწეული მომსახურების საფასურს საწარმოს გაკოტრების შემდეგ, რაც უბიძგებს მათ, რაც შეიძლება სწრაფად

¹⁰ ქულა მერყეობს 0-100 შკალაზე, სადაც მაღალი ქულა ნიშნავს უკეთეს შეფასებას.

მატოვონ საწარმო ფინანსური კრიზისის დროს, როდესაც მათი ჩართულობა საწარმოს გადარჩენის საქმეში გადამწყვეტია.


ცხრილი 3. საწარმოების განაწილება მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, 2018 წელი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სუბიექტები	აქტიური	აქტიურების %
სულ	709729	184660	100
კომერციული იურიდიული პირები	244919	80975	43.9%
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2759	271	0.1%
კომანდიტური საზოგადოება	186	26	0.0%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	234240	79423	43.0%
სააქციო საზოგადოება (სს)	2527	907	0.5%
კოოპერატივი	5207	348	0.2%
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	26316	3795	2.1%
ინდივიდუალური მეწარმე	427035	95994	52.0%
სხვა	5627	1216	0.7%
საჯარო სამართლის სუბიექტები	5832	2680	1.5%

წყარო: საესტატი

მნიშვნელოვან სოციალურ ხარჯებს იწვევს ის გარემოება, რომ არ არსებობს ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ეფექტურად დაარეგულირებს ფიზიკური პირების, მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმეების გაკოტრებას¹¹, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული აქტიური საწარმოების უმეტესობას წარმოადგენენ (იხ. ცხრილი 3). შედეგად, მოვალეთა რეესტრში¹² შეყვანილია 260,000 პირი (მთლიანი მოსახლეობის 7%), რომლებიც ვერ იღებენ მონაწილეობას ფორმალურ ეკონომიკაში, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალურ შედეგებზე¹³.

გრაფიკი 2. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება და დასაქმებულთა რაოდენობა, 2016 წელი



წყარო: საესტატი

¹¹ მართალია, მოქმედი კანონი არ კრძალავს ინდივიდუალური მეწარმეების გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყებას რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმთან ერთად, თუმცა მსგავსი შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

¹² <https://debt.reestri.gov.ge/main.php?s=1>

¹³ 2030 დღის წესრიგი - არავინ დარჩეს უყურადღებოდ, სადაც მიმდინარე გადახდისუნარობის ჩარჩო არ ითვალისწინებს ფიზიკური პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების ინტერესებს

2014 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც 2016 წლის ივლისში შევიდა ძალაში. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში არ არის კონკრეტული ვალდებულება, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმას მოითხოვოს, თუმცა შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით სრულად სარგებლობისა და საერთაშორისო ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისათვის საჭიროა ამ საკანონმდებლო ჩარჩოს მოდერნიზება. 2016 წელს ევროპის კომისიის დაკვეთით ჩატარდა კვლევა¹⁴, რომლის მიზანიც იყო კაპიტალის ნაკადების, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებებით არსებული პრობლემებისა და ამ პრობლემების მასშტაბის დადგენა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ევროკავშირის ქვეყნების გადახდისუუნარობის რეჟიმებს შორის არსებულ განსხვავებებთან. კვლევას უნდა წარმოედგინა პოლიტიკის ვარიანტები გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისა და რესტრუქტურისაციის შესახებ კანონის მინიმალურ სტანდარტებზე. კვლევამ დაადგინა, რომ განსხვავებების ხარჯი ევროკავშირის დონეზე წელიწადში 70 მლნ. ევროს შეადგენს, რომლის დიდი ნაწილიც სწორედ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის.

გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო ვერ ახერხებს გაცხადებული მიზნების შესრულებას და ხელს უშლის საქართველოს მთავრობას, შეასრულოს 2030 დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებები. დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების თანახმად, ქვეყნებს შეუძლიათ ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი განზომილებების 17 მიზნის შესრულებით მიაღწიონ მდგრად განვითარებას. მე-16 მიზნის ამოცანაა სამართლიანი, მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბება. ქვეყანა ვალდებულია, უზურუნველყოს მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბება, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე. ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების მშენებლობა არის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, რომელსაც აფასებს მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (World Bank Governance Indicators – WGI): კანონის უზენაესობა¹⁵, გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება¹⁶, მთავრობის ეფექტიანობა¹⁷, კორუფციის კონტროლი¹⁸, საკანონმდებლო გარემოს ხარისხი¹⁹. ევროპასა და ცენტრალური აზიის საშუალო მაჩვენებლებთან (იხ. გრაფიკი 3) შედარებით, საქართველო წინ უსწრებს მის მეტოქეებს საკანონმდებლო გარემოს ხარისხის, ეფექტიანი მმართველობისა და კორუფციის კონტროლის ინდიკატორებით, მნიშვნელოვნად ჩამორჩება გამოხატვის უფლებისა და ანგარიშვალდებულების ინდიკატორებში და მცირედით ჩამორჩება კანონის უზენაესობის

¹⁴ ევროპის კომისია, 2016 წელი, გადახდისუუნარობისა და რესტრუქტურისაციის შესახებ კანონისთვის შემუშავებული პოლიტიკის ვარიანტების ზეგავლენის შეფასების შესახებ კვლევა.

¹⁵ კანონის უზენაესობა აჩვენებს, რამდენად ენდობიან და ემორჩილებიან აგენტები საზოგადოების წესებს, კერძოდ, კანონის აღსრულების ხარისხი, საკუთრების უფლება, პოლიცია, სასამართლო, ასევე, კრიმინალისა და ძალადობის აღბათობა.

¹⁶ გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება აჩვენებს, რამდენად მონაწილეობენ ქვეყნის მოქალაქეები მთავრობის არჩევაში, ასევე, გამოხატვის თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებასა და მედიის თავისუფლებას.


¹⁷ მთავრობის ეფექტიანობა აჩვენებს საჯარო და სამოქალაქო სერვისების ხარისხს, სამოქალაქო სერვისების პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფლების დონეს, პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის ხარისხს, მთავრობის სანდოობას, შეასრულოს აღნიშნული პოლიტა.

¹⁸ კორუფციის კონტროლი აჩვენებს, რამდენად იყენებენ საჯარო სექტორში ძალაუფლებას პირადი სარგებლის მისაღებად, ეს გულისხმობს როგორც წვრილმან ისე მსხვილ კორუფციას. ინდიკატორი ასევე აჩვენებს, რამდენად მოქმედებს მთავრობაში ელიტები და კერძო ინტერესები.

¹⁹ საკანონმდებლო ჩარჩოს ხარისხი აჩვენებს, რამდენად შეუძლია მთავრობას ჯანსაღი პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავება და იმპლემენტაცია, რომელთა მიზანი კერძო სექტორის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და წახალისებაა.

ინდიკატორით. თუმცა ისეთი ქვეყნების ჯგუფთან შედარება, როგორცაა ესტონეთი, ლიტვა და ლატვია, აჩვენებს, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური ინვესტიციები უნდა ჩადოს საკუთარ ინსტიტუციებში, თუ სურს აღნიშნულ ქვეყნებს დაეწიოს.

გრაფიკი 3. მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები საქართველოსთვის, 2017 წელი



მე-4 ცხრილიდან ვხედავთ, რომ მსოფლიო მმართველობის ინდიკატორებსა და მსოფლიო ბანკის გადახდისუუნარობის აღმოფხვრის ინდიკატორს შორის ძლიერი კორელაციაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნებს, რომლებსაც კარგი შედეგები აქვთ მსოფლიო მმართველობის ინდიკატორებით, როგორც წესი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების უფრო ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩო აქვთ.

ცხრილი 4. შერჩეული ცვლადების კოეფიციენტებს შორის კორელაცია

	კორუფციის კონტროლი	მმართველობის ეფექტიანობა	საკანონმდებლო გარემოს ხარისხი	კანონის უზენაესობა	გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება	დაშორება საუკეთესო მაჩვენებლიდან
კორუფციის კონტროლი	1.000					
მმართველობის ეფექტიანობა	0.897	1.000				
საკანონმდებლო გარემოს ხარისხი	0.858	0.937	1.000			
კანონის უზენაესობა	0.944	0.928	0.913	1.000		
გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება	0.782	0.702	0.728	0.783	1.000	
დაშორება საუკეთესო მაჩვენებლიდან	0.587	0.724	0.748	0.641	0.532	1.000

წყარო: მსოფლიო ბანკი და ავტორების გამოთვლები

III. მიზნები

A. ზოგადი და კონკრეტული მიზნები

1. გადახდისუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანობის გაუმჯობესება, რაც მიიღწევა სიცოცხლისუნარიანი საწარმოს გადარჩენის შესაძლებლობების გაზრდითა და მოვალეების აქტივების განაწილების პროცესში სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობის წახალისებით, როდესაც საწარმოს გადარჩენა შეუძლებელია.

- a. საწარმოს აქტივების ღირებულების და კრედიტორების ამოღების დონის გაზრდა;
- b. ეფექტიანობის გაუმჯობესება როგორც არასიცოცხლისუნარიანი ბიზნესების ლიკვიდაციისას, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ლიკვიდაცია კრედიტორებს უფრო მეტ უკუგებას აძლევს, ასევე სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების რეორგანიზაციისას;
- c. ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესება.

B. საოპერაციო მიზნები

- a. გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხანგრძლივობის შემცირება;
- b. გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხარჯების შემცირება;
- c. გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა პრაქტიკის გაუმჯობესება;
- d. გადახდისუნარო მოვალეთა აქტივების რეალიზაციის ვარიანტების შემოღება;
- e. თანაბარ პირობებში მყოფი კრედიტორებისადმი თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფა;
- f. კრედიტორების უფლებების, მოთხოვნების პრიორიტეტულობისა და გადახდისუნარობის საქმის წარმოების პროცესში ყველა კრედიტორის ჩართულობის გაძლიერება;
- g. ადრეული რესტრუქტურისაციის შესაძლებლობების შემოღება პრობლემური საწარმოებისა და ფიზიკური პირებისთვის.

ცხრილი 5. მიზნების შეჯამება

მიზანი	ინდიკატორი	პასუხისმგებელი	დრო
საწარმოს აქტივების ღირებულების და კრედიტორების ამოღების დონის გაზრდა	- უზურუნველყოფილი და არაუზურუნველყოფილი კრედიტორების ამოღების დონე (%) - აქტივების გადახდისუნარობის საქმის წარმოების შემდგომი ღირებულება გადახდისუნარობის მასასთან მიმართებით (%)	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ჯერ არ არის განსაზღვრული
ეფექტიანობის გაუმჯობესება როგორც არასიცოცხლისუნარიანი ბიზნესების ლიკვიდაციისას, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ლიკვიდაცია კრედიტორებს უფრო მეტ უკუგებას აძლევს, ასევე სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების რეორგანიზაციისას;	- გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხანგრძლივობა, რეჟიმის მიხედვით (თვეების #) - გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხარჯი, რეჟიმის მიხედვით, (გადახდისუნარობის მასის %) - რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმების წილი გადახდისუნარობის საქმეებში (%)	აღსრულების ეროვნული ბიურო	ჯერ არ არის განსაზღვრული
ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესება	- ბიზნესის კეთების გადახდისუნარობის აღმოფხვრის ქულა და რეიტინგი - მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (SDG 16.6) - გადახდისუნარობის შესახებ განაცხადებების რაოდენობა (#)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ჯერ არ არის განსაზღვრული

IV. პოლიტიკის ვარიანტები

აღნიშნულ თავში საუბარია პოლიტიკის იმ ვარიანტებზე, რომლებიც შეირჩა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, გადასაჭრელი პრობლემის ბუნებასა და იმ მიზნებზე, რომელთა მიღწევასაც აღნიშნული ვარიანტები ემსახურება.

1-ლი ვარიანტი

„არავითარი პოლიტიკის ცვლილების“ ვარიანტის შემთხვევაში მოქმედი კანონი არ იცვლება, შესაბამისად, კანონის არსებულ ფორმულირებასთან დაკავშირებული ტენდენციებიც უცვლელი რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური და სოციალური ტენდენციები იგივე მიმართულებით განვითარდება. საკანონმდებლო ჩარჩო კვლავ ვერ შეასრულებს გაცხადებულ მიზნებსა და ფუნქციებს, რაც დააზიანებს ქვეყნის ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს რეპუტაციას. მეორე მხრივ, თავიდან ავიცილებთ საჯარო თუ კერძო სექტორის ყველა იმ დამატებით ტვირთს, რაც ახალი კანონმდებლობის ამოქმედებასთან არის დაკავშირებული.

წარდგენილი პოლიტიკური ჩარევა, მე-2 ვარიანტი აფასებს ასეთი ჩარევის წმინდა სარგებელს (თვისობრივს ან რაოდენობრივს, როცა შესაძლებელია).

მე-2 ვარიანტი

მე-2 ვარიანტი არის პოლიტიკის სცენარი, რომელშიც კანონპროექტით გათვალისწინებული ყველა დებულება მტკიცდება ისე, როგორც ეს კანონპროექტის ავტორებმა გაითვალისწინეს.

რომ შევაჯამოთ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ მოქმედ კანონთან შედარებით, წარდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- i. მოქმედ კანონთან შედარებით, კანონპროექტი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში მონაწილე მოთამაშეებს შორის კომპეტენციების განსხვავებულ განაწილებას. მაგალითად, პრობლემური საწარმოს გაკოტრებასა თუ რეაბილიტაციაზე გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე და არა მომრიგებელი საბჭო, როგორც მოქმედი კანონმდებლობით არის დადგენილი.²⁰
- ii. კანონპროექტს შემოაქვს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის კონცეფცია, რომლის თანახმადაც პირმა შეიძლება იკისროს გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის როლი, თუ აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს (გადახდისუუნარობის პრაქტიკოსზე დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია „ბ“ ნაწილში).
- iii. კანონპროექტი ცვლის კრედიტორების მოქმედ რიგითობას. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, შემოსავლების სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იყენებდეს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებებს (როგორცაა საგადასახადო გირავნობა და საგადასახადო იპოთეკა), არ არის უზრუნველყოფილი კრედიტორი. მეტიც, კანონპროექტს შემოაქვს კრედიტორების ახალი კლასი: პრეფერენციული კრედიტორები. ამ კლასში, სხვებთან ერთად, შედის პრობლემური საწარმოს ის თანამშრომლები, რომელთა დასაქმების მოთხოვნასაც ენიჭება უპირატესობა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან შედარებით (კრედიტორების რიგითობაზე მეტი ინფორმაცია ისთივის იხ. „C“ ქვეთავი).²¹
- iv. კანონპროექტის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში, უზრუნველყოფილი კრედიტორები დაკმაყოფილდებიან მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხით. მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც არ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის ღირებულებიდან, გადადის არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების რიგში.
- v. კანონპროექტი ადგენს უფრო მკაფიო კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც უნდა მომზადდეს პრობლემური საწარმოს რეაბილიტაციის გეგმა, რომელსაც შემდეგ ამტკიცებს სასამართლო²². ასეთი კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ რეაბილიტაციის გეგმა არ მტკიცდება კრედიტორების ინტერესების საზიანოდ.
- vi. კანონპროექტი საშუალებას აძლევს არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს, წამყვანი როლი შეასრულონ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას, იმ შემთხვევაში კი, როდესაც უზრუნველყოფილი კრედიტორები ეწინააღმდეგებიან გეგმის დამტკიცებას. უნდა აღინიშნოს, რომ იმისთვის, რომ არაუზრუნველყოფილმა კრედიტორებმა ისარგებლონ ამ

²⁰ გაზიარებული პასუხისმგებლობის პრინციპი 2030 დღის წესრიგში. იხილეთ ქვემოთ მოყვანილი გადახდისუუნარობის სამართალწარმოების მონაწილეები: თავი V - თვისობრივი ანალიზი, ქვეთავი "ა" - გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მოთამაშეები.

²¹ არავინ დარჩეს უყურადღებოდ 2030 დღის წესრიგში. გარდა ამისა, აღნიშნული ეხება SDG 8-ს სამუშაოების სტაბილურობის უზრუნველყოფას

²² რეაბილიტაციის გეგმის მომზადება და დამტკიცება ხელს უწყობს კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას და ამით ხელს უწყობს ქვეყანაში შემოსავლის მიღებას და SDG 9-ის შესრულებას.

შესაძლებლობით, რეაბილიტაციის გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად წარმოდგენილ კრიტერიუმებს.

- vii. კანონპროექტი ადგენს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველების ანაზღაურების მაქსიმალურ ზღვარს. დასაბუთების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გაზარდოს აღნიშნული ზღვრული ტარიფები.

ამ ვარიანტთან დაკავშირებული უმთავრესი რისკებია²³:

- კანონპროექტის განხორციელებისა და აღსრულებას შორის კონფლიქტი, რაც შეიძლება გამოიწვიოს აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სასამართლოებში რესურსების სიმწირემ, რაც კიდევ უფრო ასუსტებს საჯარო ინსტიტუტების ეფექტიანობას;
- უზრუნველყოფილი კრედიტორების გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოსადმი არასაკმარისი ნდობა;
- კერძო საწარმოების მზაობა, ისარგებლონ ადრეული რესტრუქტურის ვარიანტებით ან განახლებული ფორმალური გადახდისუუნარობის პროცედურებით.

აღნიშნული რისკების შემცირების გზები შეიძლება იყოს:

- რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების მხარდაჭერა, რაც შექმნის გარდამავალ პერიოდს, რათა გაიზარდოს ახალი კანონმდებლობის შესახებ ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს კრედიტორებსა და საწარმოებს, გაიაზრონ რეფორმასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებელი;
- მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, მოსამართლეებთან, უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან ურთიერთობა რეფორმის შემუშავებისა და განხორციელების საწყისი ეტაპიდანვე;
- მონიტორინგისა და შეფასების ინკლუზიური და გამჭვირვალე სისტემის შექმნა, რომელშიც ნათლად არის გაწერილი უფლება-მოვალეობები და წარმატების შეფასების ინდიკატორები;

V. გავლენების ანალიზი

A. თვისობრივი ანალიზი

ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია წარდგენილი საკანონმდებლო ჩარევის გავლენების თვისობრივი ანალიზი. ანალიზი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი უფრო დეტალურად აანალიზებს წარდგენილი ცვლილებებს სამართლებრივი კუთხით. მეორე ნაწილში აღწერილია გადახდისუუნარობის საქმის ანალიზი. მესამე ნაწილი კი განიხილავს კანონპროექტის ანტიკორუფციულ გავლენას.

a. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მოთამაშეები

კანონპროექტის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში ჩართული არიან ოთხი ტიპის მოთამაშეები:

- (i) სასამართლო;
- (ii) გადახდისუუნარობის ზედამხედველი, რომელიც არის საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში „აღსრულების ბიურო“);
- (iii) რეაბილიტაციის მმართველი ან რეაბილიტაციის ზედამხედველი, რომელიც ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოვალე აგრძელებს გადახდისუუნარო საწარმოს მართვას; და
- (iv) გაკოტრების მმართველი.

²³ რისკების უფრო ამომწურავი ანალიზი და მათი თავიდან აცილების სტრატეგიები წარმოდგენილია მე-2 დანართში.

გადახდისუუნარობის ზედამხედველი ერთეუბა გადახდისუუნარობის პროცედურის ადრეულ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს, რომ საწარმო არის გადახდისუუნარო და დაიწყებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას. გადახდისუუნარობის პროცედურას მართავს გადახდისუუნარობის ზედამხედველი, თუმცა კანონპროექტის ფარგლებში მისი ძალაუფლება საკმაოდ შეზღუდულია. კერძოდ, გადახდისუუნარობის ზედამხედველის უმთავრესი ფუნქცია არის მოვალის აქტივების დაცვისთვის საჭირო ზომების მიღება, მოვალის საწყისი ანგარიშის მომზადება, კრედიტორთა მოთხოვნის რეგისტრირება და მოვალის ძირითადი გარიგებების დადასტურება. გადახდისუუნარობის ზედამხედველის მუშაობა დროშიც შეზღუდულია. კანონპროექტის თანახმად, გადახდისუუნარობის ზედამხედველმა უნდა დაიწყოს მუშაობა როგორც კი სასამართლო დაამტკიცებს მოვალის გაკოტრებას ან რეაბილიტაციას, რაც უნდა მოხდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებიდან 1 თვის განმავლობაში (როგორც კი გადახდისუუნარობის ზედამხედველი დაინიშნება გადახდისუუნარო საწარმოს ზედამხედველად). რომ შევაჯამოთ, გადახდისუუნარობის ზედამხედველის უმთავრესი მოვალეობაა გადახდისუუნარო საწარმოს დაცვა და სასამართლოსთვის საჭირო ინფორმაციის მომზადება, რათა დადგინდეს საწარმოს რეალური გადახდისუუნარობა. ეს თანხმობაშია მსოფლიო ბანკის პრინციპების (C8.2) რეკომენდაციებთან, რომელთა თანახმადაც, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სასამართლო ან გადახდისუუნარობის წარმომადგენელი იღებს ზომებს, რათა „დაიცვას და შეინარჩუნოს გადახდისუუნარობის მასა და მოვალის ბიზნესი“.

კანონპროექტის თანახმად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი (პირი ან ერთეული, მათ შორის დროებით დანიშნული, რომელიც უფლებამოსილია, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას მართოს გადახდისუუნარო პირის აქტივები ან რეაბილიტაციის ან გაკოტრების საქმის წარმოება) (ii) და (iii) ქვეთავების მიხედვით, ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ არის ლიცენზირებული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი („გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები“). გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მიზანია, იყოს კვალიფიცირებული და კვალიფიციური რჩევები მისცეს ფინანსურ კრიზისში მყოფ საწარმოს. შედეგად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს უნდა ჰქონდეს ისეთი კვალიფიკაციები, როგორცაა ზოგადი უნარები და ინტელექტი, გამოცდილება და პროფესიული ცოდნა.

კანონპროექტის თანახმად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის არჩევა ხდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რის შემდეგაც მას ნიშნავს სასამართლო. გვესმის, რომ შემთხვევითი განაწილების პრინციპით არჩევას თავისი უარყოფითი მხარეები (მაგალითად, შეიძლება საქმის დეტალები არ ემთხვეოდეს შერჩეული პრაქტიკოსის კვალიფიკაციებს) აქვს, მაგრამ ეს პრინციპი უზრუნველყოფს, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი არის სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი და რომ შერჩევის პროცესზე გავლენას არ ახდენენ კრედიტორები, შედეგად, თავიდან ავიცილებთ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს²⁴. ამგვარად, შერჩევა ხდება სასამართლოს ან კრედიტორების/მოვალის მონაწილეობის გარეშე. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის დანიშვნა შეიძლება გართულდეს, თუ შერჩეული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს ინტერესთა კონფლიქტი აქვს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში მონაწილე რომელიმე მხარესთან ან მოგვიანებით, დანიშვნის შემდეგ, კრედიტორების

²⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით, იხ. მსოფლიო ბანკის პრინციპები (C6.2), რომლის თანახმადაც, „მენეჯმენტს ზედამხედველობს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი გადახდისუუნარობის წარმომადგენელი ან ზედამხედველი“. ანალოგიურად, UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელოს მიხედვით, „სასურველია, გადახდისუუნარობის წარმომადგენელს ჰქონდეს ისეთი პიროვნული თვისებები, როგორცაა სამართლიანობა, დამოუკიდებლობა და კარგი მართვის უნარ-ჩვევები“. მეტიც, UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო ითვალისწინებს, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი შეიძლება დაინიშნოს როტაციის პრინციპით. აღნიშნული ასევე ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის მიღწევას, რომელიც გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნას ითვალისწინებს.

ან მოვალის მოთხოვნის საფუძველზე, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი ბოროტად გამოიყენებს საკუთარ ძალაუფლებას.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის უფლებამოსილება მორგებულია კონკრეტულ პროცედურებზე, თუმცა საკმაოდ ფართოა, რადგან ეხება მოვალის აქტივების მართვას (მაგალითად, მოვალის ბიზნესის მართვა, მისი სახელით ახალი კონტრაქტების გაფორმება, მისი აქტივების გაყიდვა, მოვალის ვადამოსული მოთხოვნების შეგროვება, მოვალის ყველა უფლებისა და მოთხოვნის დაცვა, კრედიტორების მიმდინარე საქმეებსა და გადახდებზე გადაწყვეტილების მიღება და მოვალის ყოველდღიური ოპერაციების მართვა). აღნიშნული უფლება-მოვალეობების შესრულებისას გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი მოქმედებს საკუთარი შეხედულებისამებრ, მიუხედავად იმისა, რომ აკისრია ფიდუციური მოვალეობები და ისეთივე ქცევის სტანდარტი, როგორც საწარმოს დირექტორს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კონკრეტული შემთხვევების გარდა, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს არ სჭირდება თანხმობა საკუთარი ქმედებებზე. ამავდროულად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი ემორჩილება სასამართლოს მიერ დადგენილ ინსტრუქციებს, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება სასამართლოში გაასაჩივრონ კრედიტორებმა ან მოვალის აქციონერებმა.

რომ შევაჯამოთ, მართალია, სასამართლო არის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მთავარი ზედამხედველი, თუმცა საკმაოდ დისტანცირებულია. მისი როლია: (ა) გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების დამტკიცება, მათ შორის რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება ან გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთან დაკავშირებული ხარჯების დადასტურება და (ბ) იმუშაოს სამართლებრივი ხასიათის საკითხებსა და დავებზე (კონფლიქტი კრედიტორებთან, მოსმენები, პრაქტიკოსების დანიშვნის შეწყვეტა ან რეაბილიტაციის რეჟიმის გაკოტრების რეჟიმით შეცვლა და პირიქით). სხვა შემთხვევებში სასამართლო საქმეში არ ერთვება. ამგვარად, სტანდარტულ გადახდისუუნარობის პროცედურას მართავს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი, რომლის უფლებამოსილებაც საკმაოდ ფართოა, გაკოტრების რეჟიმის შემთხვევაშიც კი. მაგალითად, გაკოტრების შესახებ განჩინების ფარგლებში, გაკოტრების მმართველს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება პრობლემური აქტივების რეალიზაციის ფორმაზე, ისევე, როგორც გადაწყვეტოს, ნაწილ-ნაწილ გაყიდოს აღნიშნული აქტივები თუ მოქმედი ბიზნესის სახით.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისთვის, როგორც „საქმის წარმოების მმართველისთვის“ საბჭოს უფლებამოსილების მინიჭება აუცილებელს ხდის, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი აკმაყოფილებდეს პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტს. ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორ დაარეგულირებს კანონმდებლობა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ლიცენზირების პროცესს. უნდა დამტკიცდეს დამატებითი რეგულაციები, რომლებიც დაადგენს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესიულ მოთხოვნებსა და მიღების კრიტერიუმებს და რომელი ორგანო (საჯარო თუ კერძო) იქნება უფლებამოსილი, გასცეს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ლიცენზია. რომ შევაჯამოთ, გადახდისუუნარობის მმართველის პრაქტიკის შემოღება თანხმობაშია ევროკავშირის სტანდარტთან, სადაც მსგავსი კონცეფცია უკვე შემოღებულია²⁵. ამავდროულად, უნდა დამტკიცდეს დამატებითი რეგულაციები, რათა შეიქმნას გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის დანიშვნის გამჭვირვალე და განჭვრეტადი პროცესი და გაიწეროს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობისა და კომპეტენტურობის დადგენისთვის საჭირო მოთხოვნები. სასურველია, გადახდისუუნარობის წარმომადგენელი იყოს კვალიფიციური, იცოდეს კანონი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება კომერციულ და ფინანსურ საკითხებში, მათ შორის ბუღალტერიაში. თუ კერძო შემთხვევებში უფრო კონკრეტული კვალიფიკაციაა საჭირო (იმ ინდუსტრიის სპეციფიკაციებისა თუ მახასიათებლების

²⁵ იხ. UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელოს მე-2 თავი (კვალიფიკაციები) და მისი 115-ე და 116-ე რეკომენდაციები.

გათვალისწინებით, რომელშიც მუშაობს საწარმო), ეს ფუნქცია ყოველთვის შეიძლება შეასრულოს დაქირავებულმა ექსპერტმა.

კანონპროექტს შემოაქვს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურების ახალი წესი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობის მმართველის ანაზღაურებას განსაზღვრავენ კრედიტორები. კანონპროექტი ირჩევს განსხვავებულ მიდგომას და განსაზღვრავს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის გონივრული ანაზღაურების მაქსიმალურ დონეს. კერძოდ, ანაზღაურება არის პროცენტი, რომელიც იცვლება გადახდისუუნარობის მასის ღირებულების შესაბამისად. შედეგად, საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რა ანაზღაურებას იღებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი, დამოკიდებულია სასამართლოზე, რომელსაც აქვს უფლება, დაამტკიცოს დადგენილ ზღვარზე დაბალი ან მაღალი ანაზღაურება, თუ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი დაამტკიცებს, რომ ზღვარს ზემოთ ხარჯები გამოწვეული იყო ლეგიტიმური მიზეზით. ამავდროულად, კანონპროექტი ინარჩუნებს მიდგომას, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის²⁶ ანაზღაურებას. რომ შევაჯამოთ, კანონპროექტი აწესებს ანაზღაურებას ფიქსირებულ პროცენტს, ამავდროულად, იძლევა საფასურის გაზრდის ან შემცირების საშუალებას, რაც დამოკიდებულია კერძო შემთხვევებზე. ანაზღაურების ზღვრის შემოღება და სასამართლოს კონტროლი ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უზრუნველყოფს, რომ ანაზღაურება არ არის ხელოვნურად გაბერილი და უსამართლოდ არ გაიცემა. მოქმედი კანონით, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურებას განსაზღვრავენ კრედიტორები, კანონპროექტი აუქმებს ამ წესს, რათა თავიდან ავიცილოთ კრედიტორების მიერ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ქცევაზე გავლენის მოხდენისა და შესაბამისად, საქმის წარმოების მსვლელობის შეცვლის შემთხვევები.

მართალია, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურების განსაზღვრის ლოგიკა საერთო ჯამში დადებითად შეიძლება შევაფასოთ, მაგრამ კანონპროექტის დამტკიცებამდე უნდა ჩატარდეს დამატებითი ანალიზი, რათა განისაზღვროს გადახდის შკალა. უნდა დავრწმუნდეთ, რომ კანონით გათვალისწინებული ანაზღაურების პაკეტი მიმზიდველია და ასახავს ბაზრის ცვალებად გარემოს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ გვინდა, მოვიზიდოთ მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი. მეტიც, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, შევიშუშათ ისეთი გადახდის შკალა, რომელიც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს აძლევს მეტ სტიმულს, გაზარდოს მოვალის აქტივები.

b. კრედიტორების უფლებები და მოთხოვნების რიგითობა

კრედიტორების რიგითობა მნიშვნელოვანია გაკოტრების საქმის წარმოების დროს, როდესაც აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხა ნაწილდება მოვალის კრედიტორებს შორის. ანალოგიურად, კრედიტორების რიგითობა რამდენიმე მიზეზის გამო მნიშვნელოვანია რეაბილიტაციის საქმის წარმოების დროსაც. მაგალითად, კანონპროექტის თანახმად, რეაბილიტაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს, რომ კრედიტორები მინიმუმ იმაზე მეტს მიიღებენ, რასაც გაკოტრების საქმის წარმოების შემთხვევაში მიიღებდნენ. ასეთ შემთხვევაში, აქცენტი უნდა გაკეთდეს კრედიტორების დაკმაყოფილებაზე, კანონპროექტით დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

კანონპროექტი განასხვავებს უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების დაკმაყოფილების წესებს. უნდა აღინიშნოს, რომ არაუზრუნველყოფილი კრედიტორები არიან რეესტრის კრედიტორები, რომელთა მოთხოვნებიც უნდა დაკმაყოფილდეს გადახდისუუნარობის მასიდან (მოვალის ყველა აქტივი, გარდა უზრუნველყოფის საგნისა). უზრუნველყოფილი

²⁶ მოცემულია UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელოსა და მის 119-ე რეკომენდაციაში, რომლის მიხედვითაც, გადახდისუუნარობის მასის ფარგლებში, ყველა სხვა გადასახადთან შედარებით, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის საფასურის ანაზღაურებას.

კრედიტორები არ არიან რეესტრის ნაწილი და მათი მოთხოვნა კმაყოფილდება უზრუნველყოფის საგნის რეალიზებიდან მიღებული თანხიდან. ასეთი განსხვავების შედეგი არის შემდეგი:

- უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა ძირითადად კმაყოფილდება იმ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან, რომელზეც აღნიშნულ უზრუნველყოფილ კრედიტორს აქვს უფლება. თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხა სრულად ვერ ანაზღაურებს უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნას, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი შეიძლება გადავიდეს არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების კატეგორიაში (იხ. 3(c) ნაწილი);
- თუ კრედიტორებს შორის სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს აქვთ წვდომა მხოლოდ: (ა) მოვალის არაუზრუნველყოფილ აქტივებზე და (ბ) უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხის განაწილების შემდეგ დარჩენილ ნებისმიერ ნამატზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით, კანონპროექტი ამკვიდრებს უზრუნველყოფილი კრედიტორების შეზღუდულ კონცეფციას. კერძოდ, უზრუნველყოფილია მხოლოდ ის კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში „სამოქალაქო კოდექსი“) თანახმად, უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შედეგად, შემოსავლების სამსახური, რომელსაც აქვს უფლება, საგადასახადო ვალდებულებების დაცვის მიზნით, დააწესოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებები (მაგალითად, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უფლება უზრუნველყოფის საგანზე) არ არის უზრუნველყოფილი კრედიტორი და მისი მოთხოვნები (გარდა რიგი გამონაკლისებისა, როგორცაა 3(b) ნაწილში განსაზღვრული პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები) თანაბარობიერ მდგომარეობაში იქნება ნებისმიერ არაუზრუნველყოფილ მოთხოვნასთან (იხ.3(c) ნაწილი). თუმცა გაურკვეველია უზრუნველყოფის საგანზე საგადასახადო უფლების სტატუსი იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება ჩნდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ უფლებებამდე. კანონპროექტი არ იძლევა პასუხს, თუმცა ჩვენ ვუშვებთ, რომ ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება საგადასახადო უფლებებს უზრუნველყოფის საგანზე, ყველა დანარჩენთან შედარებით.

(ა) არაუზრუნველყოფილი კრედიტორები და საქმის წარმოების ხარჯები

ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხებიდან კრედიტორების დაკმაყოფილების რიგითობა არის შემდეგი:

1. პირველი რიგი: გაკოტრების რეჟიმთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის გაკოტრების მმართველის ანაზღაურება და სასამართლო პროცედურების ხარჯები, კანონპროექტით განსაზღვრული თანმიმდევრობით;
2. მეორე რიგი: გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინების გამოტანის შემდეგ წარმოქმნილი საწარმოს ვალეები, მათ შორის საგადასახადო ვალდებულებები;
3. მესამე რიგი: კრედიტორები შემდეგი რიგითობით:
 - (ა) გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებული პრეფერენციული მოთხოვნები, რაც შემოიფარგლება 3 თვის სახელფასო და შვებულების ხარჯებით, ასევე სამუშაო ტრავმის გამო გადასახადის მოთხოვნებით, თითოეულ კრედიტორზე მაქსიმუმ 1000 ლარამდე ოდენობით;
 - (ბ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები – გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არაუადრეს 1 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზისა და იმპორტის გადასახადი) თანხა;
 - (გ) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა;

(დ) მოთხოვნები, რომელიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით (ადმინისტრაციული ჯარიმები, ჯარიმები/საურავები);

(ე) არაპრივილეგირებული მოთხოვნები – კრედიტორის მოთხოვნა, რომლის თაობაზე მოვალე და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდნენ ასეთი მოთხოვნის არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილების თაობაზე; და

(ვ) კორპორატიული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდის, აქციათა გამოსყიდვის ან შენატანის დაბრუნების ვალდებულებები).

გაითვალისწინეთ, რომ საგადასახადო მოთხოვნები, რომლებიც დაცულია შემოსავლების სამსახურის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებებით (საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით) იმ პირობით, რომ აღნიშნული ღონისძიებები დაწესდა უზრუნველყოფილი კრედიტორების უზრუნველყოფის საგანზე უფლების შემდეგ, შევა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში (იხ.3(c) ნაწილი)²⁷.

განაწილება ხდება პროპორციულობის პრინციპის დაცვით. განაწილების შემდეგ გაკოტრების მმართველმა უნდა შეადგინოს კრედიტორებისა და სასამართლოსთვის წარსადგენი გაკოტრების საბოლოო ანგარიში, რომელიც უნდა დაამტკიცოს სასამართლომ.

(ბ) უზრუნველყოფილი კრედიტორები

უზრუნველყოფილი კრედიტორი (მაგალითად, ბანკი) არ არის რეესტრის კრედიტორი. მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან, ამიტომ უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული უზრუნველყოფილი ქონების რეალიზება.

გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს ქონების რეალიზაციას უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნის შესაბამისად, თუ სხვა გზით რეალიზაციიდან მეტი თანხის ამოღება შეუძლებელია. გაკოტრების მმართველი რეალიზაციიდან მიღებულ თანხას ჩამოაჭრის 7% პროცენტს, რომელიც შედის გადახდისუუნარობის მასაში.

უზრუნველყოფილი კრედიტორები შესაბამისი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან კმაყოფილდებიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის რიგითობის შესაბამისად.

თუ ნივთის რეალიზაციიდან მიღებული თანხა უზრუნველყოფილი კრედიტორ(ებ)ის მოთხოვნაზე ნაკლებია, ასეთი კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი განთავსდება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში (იხ. 3(c) პუნქტი). უზრუნველყოფით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, თუ გასაყიდი დატვირთული ნივთის საბაზრო ფასი ნივთის ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე მეტია, ასეთი კრედიტორები დაკმაყოფილდებიან მხოლოდ თავიანთი მოთხოვნის მოცულობით, ხოლო დარჩენილი თანხა შევა გადახდისუუნარობის მასაში. მსოფლიო ბანკის პრინციპების (2016 წ.) C12.2 პრინციპის შესაბამისად, კანონპროექტით ნივთის რეალიზაციიდან მიღებული თანხა სწრაფად ნაწილდება უზრუნველყოფილ კრედიტორებზე, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან.

კანონპროექტი ამკვიდრებს ქონების რეალიზაციის განსხვავებულ წესებს უზრუნველყოფილი, არაუზრუნველყოფილი და პრეფერენციული კრედიტორებისთვის (გამონაკლისია პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ), რითიც იცავს UNICITRAL-ის *თანაბარი მოპყრობის პრინციპს*²⁸, რომლის თანახმადაც, კოლექტიური

²⁷ როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონპროექტში გარკვევით არ წერია, თუმცა უზრუნველყოფის საგანზე საგადასახადო უფლებას ენიჭება უპირატესობა ყველა სხვა უფლებასთან შედარებით.

²⁸ UNICITRAL-ის *თანაბარი მოპყრობის პრინციპის* თანახმად, „არ არის აუცილებელი ყველა კრედიტორს ერთნაირად მოვექცეთ, თუმცა უნდა მოვექცეთ იმგვარად, რომ გავითვალისწინოთ მოვალესთან არსებული განსხვავებული პრეტენზიები. ეს ნაკლებად არის გადაწყვეტი ფაქტორი ისეთ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს მოვალესთან გაფორმებული

პროცედურების დროს, მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორები თანასწორად განიხილებიან და მოთხოვნის თანხას იღებენ დადგენილი რიგითობისა და მათი უფლებების შესაბამისად.

ზოგადად, UNICITRAL-ის კრედიტორების რიგითობის *კვაფიო წესების პრინციპი* ნაწილობრივ დაცულია. კანონპროექტში ნათლად არის გაწერილი კრედიტორების რიგითობის პირობები, რაც კრედიტორებს განჭვრეტადობის საშუალებას აძლევს²⁹, თუმცა ასახავს გარკვეულ ფისკალურ (საჯარო) ინტერესებს და განსაზღვრავს რიგი საგადასახადო მოთხოვნების პრეფერენციულ რიგითობას (პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნა – გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არაუადრეს 1 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმომოხილი არაპირდაპირი გადასახადების თანხა) რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გადახდისუუნარობის შედეგზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ზემოხსენებული პრინციპი და მსოფლიო ბანკის პრინციპი (2016 წ.) C12.3 ითხოვს პრიორიტეტების შემცირებას³⁰.

კანონპროექტი პირველ რიგში ათავსებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების (მაგალითად, სასამართლოსა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის, ზედამხედველის, აქტივების მართვის) ხარჯების ანაზღაურებას. პრიორიტეტი ენიჭება კონკრეტული შეზღუდვების მქონე სამუშაო ძალის მოთხოვნებს³¹. ეს პროგრესული ცვლილებაა მოქმედ კანონთან შედარებით, რაც თანხმობაშია მსოფლიო ბანკის პრინციპების (2016 წ.) C12.4 პრინციპთან, რომლის თანახმადაც, დასაქმებულთა მოთხოვნებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი და „სიფრთხილით მოვეკიდოთ“, რათა დავაბალანსოთ დასაქმებულთა და სხვა კრედიტორების უფლებები³².

პრეფერენციულ სახელფასო მოთხოვნებს მოსდევს პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები (გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არაუადრეს 1 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმომოხილი არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, იმპორტის და აქციზის) თანხა). ამის შემდეგ მოდის არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, სხვა საგადასახადო დავალიანებები, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით (მათ შორის ადმინისტრაციული და საგადასახადო ჯარიმები), კრედიტორის არაპრივილეგირებული მოთხოვნა, რომელზეც არსებობს საწარმოსა და შესაბამის კრედიტორ შორის შეთანხმება; მსოფლიო ბანკის პრინციპების (2016 წ.) C12.5 პრინციპთან შესაბამისობაში, კორპორატიული ურთიერთობებით წარმომოხილი მოთხოვნები დაკმაყოფილდება მას შემდეგ, რაც ყველა კრედიტორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონპროექტში გათვალისწინებულია თითქმის ყველა სახელმძღვანელო პრინციპი, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მეორე და მესამე რიგის გარკვეულ საგადასახადო მოთხოვნებს ენიჭება უპირატესობა არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებთან შედარებით. შედეგად, საჯარო ინტერესები უფრო მაღლა დგას ვიდრე კერძო უფლებები, რაც არ შეესაბამება მსოფლიო ბანკის პრინციპების (2016 წ.) C12.3 პრინციპს, რომელიც აცხადებს, რომ „საზოგადოებრივ ინტერესებს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა კერძო უფლებებთან შედარებით“. რეკომენდებულია, საგადასახადო მოთხოვნასაც ისევე მოვექცეთ, როგორც სხვა მოთხოვნებს³³. თუმცა ისიც უნდა

კონკრეტული სესხის შესახებ ხელშეკრულება, როგორც ხდება ზარალის მოსარჩევეების (მაგალითად, ეკოლოგიური ზარალის) და საგადასახადო უწყებების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი შეიძლება შეიცვალოს სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით და შეიძლება საშუალება მისცეს მოთხოვნის ავტორების პრეოგატივების ან კანონის მოქმედებით წარმოქმნილი ინტერესების მიხედვით, ის ინარჩუნებს მნიშვნელობას, რადგან უზრუნველყოფს, რომ პრიორიტეტი, რომელიც შეესაბამება ერთი და იმავე კლასის მოთხოვნებს, ერთნაირად მოქმედებს აღნიშნული კლასის ყველა წევრზე“.

²⁹ UNICITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო, გვ. 13: „წესების თანმიმდევრული გამოყენება, პროცედურების დაცვა, ყველა მონაწილეს შეუძლია რისკების მართვისთვის საჭირო ზომების მიღება“.

³⁰ UNICITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო, გვ. 13.

³¹ პრეფერენციული მოთხოვნებისათვის უპირატესობის მინიჭება თანხმობაში უნდა იყოს ევროპის კანონმდებლობის ინსტიტუტის ანგარიშთან „ბიზნესის გადარჩენა გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების კანონში“:

https://www.europeanlawinstitute.eu/fileadmin/user_upload/p_eli/Publications/Instrument_INSOLVENCY.pdf

³² C12.4 პრინციპი;

³³ ევროპის საკანონმდებლო ინსტიტუტი, ანგარიში „ბიზნესების გადარჩენა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონში“, 4.04 რეკომენდაცია ამბობს, რომ კრედიტორების კონკრეტულ ჯგუფს არ უნდა მიეცეს დამატებითი ზოგადი შეღავათები სოციალური ინტერესების დაცვისთვის; ფისკალური ინტერესებისთვის შეღავათის მინიჭება უნდა

აღინიშნოს, რომ მოქმედ კანონთან შედარებით, რომელიც უპირობო უპირატესობას ანიჭებდა უზრუნველყოფილ საგადასახადო მოთხოვნებს სხვა არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებთან შედარებით, კანონპროექტში უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნების უპირატესობა შეზღუდულია.

მოქმედი კანონისგან განსხვავებით, კანონპროექტი ამკვიდრების *გამოქვითვის წესს*³⁴. უზრუნველყოფილი კრედიტორები მონაწილეობას იღებენ ხარჯების ანაზღაურებაში იმგვარად, რომ მიღებული თანხებიდან 7% პროცენტი ჩამოიჭრება და შედის გადახდისუუნარობის მასაში. მიზანი ის არის, რომ უზრუნველყოფილი ქონების რეალიზების გზით მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილი გადაიდოს არაუზრუნველყოფილი მოთხოვნებისა და საქმის წარმოების ხარჯების ასანაზღაურებლად.

c. დროითი შეზღუდვები და ვადები

ამ ნაწილში ვეცდებით გავანალიზოთ მთავარი კითხვა: რა დრო სჭრდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურება და ამ პროცესის თანმდევ გაკოტრების/რეაბილიტაციის რეჟიმებს. ზოგადად, კანონპროექტი აწესებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში შემავალი ღონისძიებებისა თუ ეტაპების ვადებს, რათა მოვალის პოტენციური გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდი განჭვრეტადი და გარკვეული იყოს. ეს ამოცანა თანხმობაშია სტანდარტულ მოთხოვნასთან, რომ გადახდისუუნარობა უნდა წარიმართოს და დასრულდეს დროულად, სწრაფად და ეფექტურად³⁵.

კანონპროექტი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მსვლელობისას ადგენს შემდეგ დროით შეზღუდვებს:

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების განხილვა

პირველ ეტაპზე სასამართლო ატარებს საგამომიებო პროცედურებს, რათა დაადგინოს, რეალურად არის თუ არა მოვალე გადახდისუუნარო. ეს გამომიება მოითხოვს გადახდისუუნარობის ტესტის ჩატარებას. კანონპროექტის თანახმად, სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების განხილვა უნდა დასრულდეს არა უმეტეს 10 დღის ვადაში.

გაკოტრების/რეაბილიტაციის შესახებ განცხადების განხილვა

თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოვალე არის გადახდისუუნარო, მომდევნო ეტაპზე მან უნდა დაადგინოს, მოვალე გაკოტრდა თუ მისი ფინანსური მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს რეაბილიტაციის გზით. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გაკოტრების/რეაბილიტაციის განხილვა უნდა დასრულდეს სასამართლოს მიერ მოვალის გადახდისუუნარობის დადასტურებისა და საწარმოს გადახდისუუნაროდ გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში. რომ შევაჯამოთ, კანონპროექტი იძლევა მოვალის გაკოტრების ან რეაბილიტაციის გადაწყვეტის მკაფიო ვადებს, მოქმედ კანონთან შედარებით, რომელიც არ ადგენს კონკრეტულ პერიოდს, რომლის დროსაც მომრიგებელმა საბჭომ უნდა მიიღოს გაკოტრების ან რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილება.

ასეთი მკაცრი ვადა თანხმობაშია ზოგადად მიღებულ სტანდარტებთან, რომლის თანახმადაც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დროულად დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და თანმდევი გაკოტრების/რეაბილიტაციის პროცესი, რათა პროცედურები ეფექტურად, გაჭიანურების გარეშე წარიმართოს³⁶.

განალიზდეს დეტალურად (მათ შორის, უნდა დადგინდეს მათი ზოგადი ზემოქმედება გადარჩენისკენ მიმართულ ძალისხმევაზე).

³⁴ ევროპის საკანონმდებლო ინსტიტუტი, ანგარიში „ბიზნესების გადარჩენა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონში“, 4.03 რეკომენდაცია, გამოქვითვის პრინციპი: „აქტივების არცერთი შემთხვევა არ უნდა დაფინანსდეს საჯარო ფონდებიდან, თუმცა მკაფიო და განჭვრეტადი გამოქვითვის პრინციპის შემოღებით უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა წვლილი უნდა შეიტანონ ხარჯების ანაზღაურებაში სხვა შემთხვევებში, მაგალითად, შესაძლებელია მოხდეს 10 პროცენტის დაქვითვა“.

³⁵ იხ. UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო.

³⁶ იხ. UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო, გვ. 58.

რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება

თუ სასამართლო გამოიტანს განჩინებას მოვალის რეაბილიტაციის შესახებ, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების თანახმად დანიშნულ რეაბილიტაციის მმართველს აქვს შეზღუდული დრო, მიაღწიოს შეთანხმებას კრედიტორებთან წარდგენილი რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, კრედიტორებმა რეაბილიტაციის გეგმა უნდა დაამტკიცონ სასამართლოს მიერ მოვალის გადახდისუუნაროდ გამოცხადების თარიღიდან არაუგვიანეს 9 თვისა. აღნიშნული პერიოდის გაგრძელება არ არის ნებადართული და, თუ აღნიშნულ ვადაში ვერ მოხდება კრედიტორების თანხმობის მოპოვება, რეაბილიტაციის რეჟიმი ავტომატურად შეიცვლება გაკოტრების რეჟიმით. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი სასამართლოს არ უწესებს რეაბილიტაციის მმართველის მიერ საბოლოო დამტკიცებისთვის წარდგენილი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების ვადებს. თუ სასამართლოს არ ექნება დროითი შეზღუდვა რეაბილიტაციის გეგმის მისაღებად, შეუძლებელი იქნება რეაბილიტაციის გეგმის საბოლოო დამტკიცებისთვის საჭირო დროის დადგენა. ამიტომ სასურველია, კანონპროექტმა სასამართლოს კრედიტორების მიერ მოწონებული რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისთვის დაუწესოს გარკვეული დროითი შეზღუდვები.

გაკოტრების საქმის წარმოების ვადა

კანონპროექტი არ ადგენს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესსა და მოვალის აქტივების რეალიზაციის დროით შეზღუდვებს. კერძოდ, გაკოტრების მმართველი არ არის დროში შეზღუდული, გადაწყვიტოს მოვალის აქტივების რეალიზაციის ფორმა. ანალოგიურად, იმ შემთხვევაში, თუ გაკოტრების მმართველი აირჩევს პირდაპირ გაყიდვის წესს, მას არ აქვს კონკრეტული დრო, რომელშიც უნდა დაასრულოს გაყიდვის პროცესი. თუმცა კანონპროექტი აწესებს დროით შეზღუდვებს, თუ პრობლემური ქონება უნდა გაიყიდოს აუქციონის გზით, რისთვისაც ადგენს ზუსტ პერიოდს, რა დროში უნდა დასრულდეს აუქციონის თითოეული რაუნდი.

ჯამში, მოქმედ კანონთან შედარებით, კანონპროექტი გადახდისუუნარობის ღონისძიებებისა და ეტაპების უმეტესობისთვის აწესებს ფიქსირებულ დროით შეზღუდვებს, რაც მეტ სიცხადესა და გამჭვირვალობას აძლევს როგორც მოვალეს, ისე კრედიტორებს. ამავდროულად, ფიქსირებული პერიოდი შეიძლება არ იყოს მოქნილი კონკრეტული შემთხვევების გარემოებების გათვალისწინების თვალსაზრისით. შეიძლება რთული იყოს იმის უზრუნველყოფაც, რომ სასამართლო და საქმის წარმოების სხვა მონაწილეები ემორჩილებიან დაწესებულ შეზღუდვებს. ეს განსაკუთრებით ეხება რეაბილიტაციის გეგმას, რომელიც, კანონპროექტის თანახმად, უნდა დაამტკიცონ კრედიტორებმა სასამართლოს მიერ მოვალის გადახდისუუნაროდ გამოცხადების თარიღიდან 9 თვის განმავლობაში. კანონპროექტის დასაბუთება ნათელია, რადგან მიზნად ისახავს მოვალის მიერ გადახდისუუნარობის რეჟიმის არასწორად გამოყენების შეზღუდვას, რომლებიც ცდილობენ, მორატორიუმისგან სარგებელი მიიღონ. თუმცა კომპლექსურ შემთხვევებში, სადაც კრედიტორებთან კონსულტაციების რამდენიმე რაუნდი შეიძლება იყოს საჭირო, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისთვის 9-თვიანი ვადის დაწესება შეიძლება არ იყოს საკმარისად მოქნილი ვარიანტი.

d. ფიზიკური პირის გაკოტრება

მოქმედი რეგულაცია

მოქმედი კანონი არ არეგულირებს ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საკითხებს. მოქმედი კანონის 2.2(ა) მუხლის თანახმად, კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა, რომელთა წინააღმდეგაც მოქმედი კანონი არ კრძალავს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებას რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმით.

წარდგენილი რეგულაცია

მოქმედ კანონთან შედარებით, კანონპროექტის მოქმედება ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, თუმცა მხოლოდ რეგულირებული შეთანხმების გზით³⁷.

რეგულირებული შეთანხმება წარმოადგენს კანონპროექტით წარმოდგენილ სიახლეს, რომელიც, განმარტების თანახმად, არის მოვალესა და კრედიტორებს შორის ამ კანონით დადგენილი წესით მიღწეული შეთანხმება, რომლის ფარგლებში თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი შეთანხმება სხვაგვარ დაკმაყოფილებას³⁸. ფიზიკური პირების შემთხვევაში, რეგულირებული შეთანხმების მიზანი არის ფიზიკური პირის ვადამოსული ვალებისგან გათავისუფლება³⁹.

რეგულირებული შეთანხმება კრედიტორს შეიძლება შესთავაზოს მხოლოდ მოვალე ფიზიკურმა პირმა. ასეთი შეთავაზება და მისი პირობები უნდა გაეგზავნოს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს, რომელიც უნდა იყოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი. ასეთი შეთავაზების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში ზედამხედველმა უნდა მოამზადოს ანგარიში. დადებითი შეფასების შემთხვევაში, მოვალე აღნიშნულ ანგარიშს შეთავაზებასთან ერთად წარუდგენს სასამართლოს.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს, რომ შეთავაზება და ანგარიში თანხმობაშია ფორმალურ მოთხოვნებთან, ზედამხედველი დანიშნავს შეხვედრას კრედიტორებთან, რომელთაც რეგულირებული შეთანხმება უნდა დაამტკიცონ არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების შემდეგ, თუ აღნიშნული შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კრედიტორებს არ აქვთ უფლება, დაიწყონ ან გააგრძელონ მოვალის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დავა იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელსაც აღნიშნული შეთანხმება არეგულირებს, თუ არ დაირღვა ხელშეკრულების პირობები.

ფიზიკური პირების შემთხვევაში, რეგულირებული შეთანხმება შეიძლება შეწყდეს: (ა) შეთანხმების შესრულების ან (ბ) დროზე ადრე, მათ შორის შეთანხმების დარღვევით შეწყვეტის შემთხვევაში.

რაც შეეხება რეგულირებულ შეთანხმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შეთანხმების შესახებ განცხადების რეგისტრაციის სახელმწიფო მოსაკრებელი შეადგენს 500 ლარს, რომელსაც განმცხადებელი (მოვალე) იხდის განცხადების გაკეთებისას. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის ცხადი, როგორ ხდება ზედამხედველის (გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის) ხარჯების ანაზღაურება. კანონპროექტის თანახმად, ასეთი პრაქტიკოსების ანაზღაურების წესები მხოლოდ იმ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების ანაზღაურების დადგენისას გამოიყენება, რომლებიც რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველის მოვალეობას ასრულებენ. ამიტომ ზედამხედველის კომპენსაციის რაოდენობა რეგულირებული შეთანხმების შემთხვევაში უნდა განსაზღვროს სასამართლომ და გადაიხადოს მოვალემ.

წარდგენილი რეგულაციის შეფასება

როგორც უკვე ვახსენეთ, მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას. ამიტომ დასაფასებელია კანონპროექტის მიერ ფიზიკური პირებისთვის რეგულირებული შეთანხმების კონცეფციის შემოღება. ცხადია, მსგავსი ინსტიტუტის შემოღების დადებითი და უარყოფითი მხარეები უკეთ გამოიჩნდება პრაქტიკაში, თუმცა ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ინსტიტუტის მუშაობა მთლიანად დამოკიდებული იქნება მოვალის საქმიანობასა და მის მზაობაზე. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველი არის შემდეგი:

³⁷ იხ. კანონპროექტის 4.2 და 4.3 მუხლები.

³⁸ იხ. კანონპროექტის 18.1 მუხლი.

³⁹ იხ. კანონპროექტის 18.3 მუხლი.

- რეგულირებული შეთანხმება არ წარმოადგენს გადახდისუნარობის საქმის წარმოების რეჟიმს;
- ვინაიდან აკრძალულია ფიზიკური პირი მოვალეების ჩართვა რეაბილიტაციის და გაკოტრების რეჟიმებში, ასეთი რეჟიმების რეგულირებული შეთანხმებად გარდაქმნა შეუძლებელია.

ამ ორი გარემოების გათვალისწინებით, კრედიტორებისთვის რეგულირებული შეთანხმების შეთავაზება არის მოვალის (ფიზიკური პირის) ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება. ცხადია, ფიზიკური პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში აირჩევს ამ ვარიანტს, როდესაც პოტენციური სარგებელი გადაწონის პოტენციურ ხარჯს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგულირებული შეთანხმების პროცედურა მოითხოვს მოვალის ინტენსიურ ჩართულობას (შეთავაზების, მათ შორის, ბიზნეს-ანგარიშის, მისი პირობების მომზადება; შეთავაზების ზედამხედველისთვის წარდგენა; ზედამხედველის დადებითი შეფასების მოპოვება და სასამართლოსთან ურთიერთობა), რეგულირებული შეთანხმების დასრულებისთვის მოვალეს დასჭირდება კვალიფიციური იურიდიული დახმარება, რაც მას დამატებით ხარჯებს უწესებს.

რეგულირებული შეთანხმების დაუყოვნებელი სარგებელია მორატორიუმის დაწესება, რომელიც აჩერებს აღსრულებასა და მოვალის წინააღმდეგ აღსრულების ღონისძიებებს, მიმდინარე დავებს და ვადამოსული ვალის პროცენტის დაგროვებას. მეორე მხრივ, დღეს არაუზრუნველყოფილი ვალდებულებების შემთხვევაში, მოვალის საუკეთესო „იარაღი“ კრედიტორებისგან დამალვაა.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს ჯარიმებისა და ასეთი ჯარიმების მინიმუმამდე შემცირებისადმი დამოკიდებულება იწვევს რეალობას, სადაც მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს მხოლოდ ვალის ძირი თანხა. მარტივად რომ ვთქვათ, კრედიტორთან რეგულირებული შეთანხმების მიღწევის ნაცვლად, მოვალეს ურჩევნია დავის გაგრძელება, რადგან: (ა) საშუალება აქვს, თავი აარიდოს ვალდებულების შესრულებას დავის მსვლელობის დროს და (ბ) იცის სასამართლო პრაქტიკა ჯარიმების შემცირებაზე, რომლის თანახმადაც მოვალე თავისუფლდება დაგროვილი პროცენტის გადახდისგან, თუნდაც აგვიანებდეს ვალის გადახდას.

გაჭიანურებული სასამართლო პროცედურების შემდეგ, როდესაც კრედიტორი იგებს საქმეს და მოვალე ვალდებულია, შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება, აღსრულების პროცედურის ეტაპი იწყება ორი პოტენციური სცენარით:

- 1) იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს არ აქვს ქონება, ოფიციალური შემოსავალი ან თანხა საბანკო ანგარიშზე, იგი ცდილობს, არ ჩაერთოს პროცესში, რადგანი იცის, რომ კრედიტორებს არ ექნებათ წვდომა მის ქონებაზე. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მოვალე „იმალება“ ხოლმე. ამიტომ ხშირად აუცილებელია მათი პოვნა პოლიციის დახმარებით, რათა წარდგინდეს აღსრულების მმართველის წინაშე. მეტიც, ასეთი მოვალის პოვნის შემთხვევაშიც კი, თუ მას არ აქვს ოფიციალური შემოსავალი ან ქონება, შეუძლებელია განჩინების აღსრულება და მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამიტომ ასეთი დავები წლობით ჭიანჭურდება იმ იმედით, რომ მოვალე ოდესმე შეიძენს ქონებას ან ექნება ოფიციალური შემოსავალი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კრედიტორების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;
- 2) იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს აქვს ქონება ან ოფიციალური შემოსავალი, როგორც წესი, მოვალე ნებაყოფლობით და დაუყოვნებლივ იხდის ვალს ან კრედიტორს სთავაზობს, გაყოს გადასახდელი თანხა. თუმცა არსებული რეგულაციების თვალსაზრისით, დაუშვებელია გადასახდელი თანხის გადანაწილება 12 თვეზე მეტ პერიოდზე. დროითი შეზღუდვის გამო, ეს შეიძლება ტვირთად დააწვეს მოვალეს, რადგან უწევს, დათანხმდეს ისეთ გადანაწილებას,

რომელსაც ვერ შეასრულებს ამ ვადაში და შეიძლება დადგეს დეფოლტის რისკის წინაშე, რის შედეგადაც ვერ გადაიხადოს ვადამოსული თანხა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოვალის სტრატეგია, როგორც წესი, მარტივია – არ იწყებს ვალდებულების შესრულებას უკანასკნელ მომენტამდე. სხვა შემთხვევებში, როდესაც მოვალეს არ აქვს არავითარი აღსრულებადი აქტივი, ის არც კი ფიქრობს ვალდებულებების შესრულებაზე.

ასეთი მარტივი სტრატეგიით რეგულირებული შეთანხმება და შედეგად მიღებული მორატორიუმი შეიძლება კიდევ ერთი იარაღი გახდეს მოვალისთვის, დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები. ამავდროულად, არ არის მოსალოდნელი, რომ მოვალე მიმართავს რეგულირებადი შეთანხმების პროცედურებს, რაც ხარჯებთანაა დაკავშირებული, როდესაც მოქმედი საკანონმდებლო რეჟიმის ფარგლებში, მას უკვე აქვს კონკრეტული გზები (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ), გვერდი აუაროს ან გააჭიანუროს ვალების გადახდა სერიოზული ხარჯების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი მონეტარული ვალდებულებების ანაზღაურების მოთხოვნებთან დაკავშირებით ითვალისწინებს ე.წ. გამარტივებულ საქმის წარმოებას, რომელსაც გარკვეული საერთო აქვს რეგულირებადი შეთანხმების ინსტიტუტთან. ასეთი გამარტივებული საქმის წარმოება საშუალებას აძლევს მოვალესა და კრედიტორს, მორიგდნენ ისე, რომ მოვალეს საშუალება ჰქონდეს, თანხა ნაწილებად გადაიხადოს ან გააგრძელოს ვალის გადახდის ვადა. რომ შევაჯამოთ, საქმის წარმოების შედეგი მთლიანად დამოკიდებულია მოვალესა და მის მზაობაზე, ითანამშრომლოს კრედიტორთან.

გარკვეული მსგავსებების მიუხედავად, გამარტივებულ საქმის წარმოებასა და რეგულირებულ შეთანხმებებს შორის ერთი დიდი განსხვავებაა, განსაკუთრებით შედეგების თვალსაზრისით. კერძოდ, პირველ შემთხვევაში გაიცემა აღსრულების ფურცელი, რომელიც წარმოადგენს აღსრულების საქმის წარმოების დაწყების პრერეკვიზიტს, მეორე შემთხვევაში კი კრედიტორი ვალდებულია, განაახლოს შეჩერებული დავა ან დაიწყოს სტანდარტული დავის გადაწყვეტის მექანიზმები. შედეგად, ცხადია, კრედიტორებს ურჩევნიათ გამარტივებული საქმის წარმოება.

დასკვნა

როგორც უკვე ვისაუბრეთ, არსებული სასამართლო სისტემა იმგვარადაა მოწყობილი, რომ მოვალეს ურჩევნია ვალის გადახდის უკანასკნელ მომენტამდე გადავადება და კრედიტორებთან ვალის რესტრუქტურირების პროცესში მონაწილეობისგან თავის არიდება. მართალია ამ შემთხვევაში კრედიტორის ხარჯებს მოვალე ანაზღაურებს, თუმცა მას უღირს დროის მოგებისთვის ხარჯების გაწევა.

ზემოხსენებული გარემოებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რეგულირებული შეთანხმება არის მოვალის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ფიზიკური პირი მოვალეები აქტიურად გამოიყენებენ რეგულირებულ შეთანხმებას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვადამოსული თანხა არის ძალიან დიდი და/ან მოვალეს არ აინტერესებს ის ფაქტი, რომ შეიძლება მოხვდეს მოვალეთა რეესტრში და/ან დაუწესდეს სხვა შეზღუდვები.

UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო არ საუბრობს იმ პირების (მაგალითად, მომხმარებლების) გადახდისუუნარობის საკითხებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ ეკონომიკურ საქმიანობაში. ის აღნიშნავს, რომ პოლიტიკის ვარიანტები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალური ვალისა და გადახდისუუნარობის შემთხვევებში, ხშირად კულტურულად მიკერძოებულია, რაც არ არის რელევანტური ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე მოვალეების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული ფიზიკური პირების ინტერესებსა და მომხმარებელ მოვალეებს შორის სხვაობის დასადგენი ტესტები, მაინც რთულია, ერთმანეთისგან

გავმიჯნოთ პირის პირადი დავალიანება მისი ბიზნესის დავალიანებისგან, რათა დავადგინოთ, როგორ უნდა მოვექცეთ მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას. ამიტომ საკანონმდებლო სახელმძღვანელო აქცენტს აკეთებს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების ეკონომიკურ საქმიანობაზე, მიუხედავად სამართლებრივი სტრუქტურისა, რომელშიც ეს საქმიანობა სრულდება და მიუხედავად იმისა, მოგების მიზნით სრულდება თუ არა ეს საქმიანობა, და არ ითვალისწინებს სპეციალურ გარემოებებს მომხმარებლის გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით⁴⁰.

თუმცა ბიზნესით დაკავებული ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში ბიზნესისა და პირადი მიზნებისთვის დაგროვილი თანხის ერთმანეთიგან გამიჯვნის დროს წარმოქმნილი სირთულეების გადაჭრისთვის საკანონმდებლო სახელმძღვანელო არ უწევს რეკომენდაციას ისეთი რეგულაციების შემოღებას, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ფიზიკური პირების ბიზნეს ვალებსა და მომხმარებელთა ვალებს.⁴¹

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონპროექტის მოქმედება ვრცელდება ფიზიკურ პირებზე რეგულირებული შეთანხმების გზით, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გახდება გადახდისუუნარობის (რეაბილიტაციის ან გაკოტრების) რეჟიმი. ამიტომ მისი გამოყენება ფიზიკური პირების შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულია. ეს ეწინააღმდეგება საკანონმდებლო სახელმძღვანელოს⁴² რეკომენდაციებს, რომელიც ხაზს უსვამს ისეთი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის შემოღებას, რომელიც დაარეგულირებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი მოვალის (ფიზიკური თუ იურიდიული პირების) წინააღმდეგ.

რეგულირებული შეთანხმება, მისი ნებაყოფლობითი ბუნების გათვალისწინებით, ძალიან ჰგავს ე.წ. ნებაყოფლობითი რესტრუქტურირაციის მოლაპარაკებებს, რომელიც არაერთ ქვეყანაში გამოიყენება და შექმნილია საბანკო სექტორის მიერ, როგორც შესაბამისი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონით გათვალისწინებული ოფიციალური რეორგანიზაციის პროცედურების ალტერნატივა, რომლის გამოყენებაც შეზღუდულია კორპორატიული ფინანსური სირთულეების ან ისეთი გადახდისუუნარობის შემთხვევაში, როდესაც ბანკებისა და ფინანსისტების ვალი დიდია⁴³. საკანონმდებლო სახელმძღვანელოს მიხედვით, იმისთვის, რომ ნებაყოფლობითი რესტრუქტურირაციის მოლაპარაკებები ეფექტური იყოს, შესაბამისმა საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა დაუშვას ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

ფიზიკური პირების ჭარბვალიანობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ კანონპროექტის მოქმედება ფიზიკურ პირებზე უნდა გასცდეს რეგულირებულ შეთანხმებას და შემოიღოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების წესები. გაკოტრება ან რეაბილიტაცია უნდა ეხებოდეს ფიზიკურ პირებს. ფიზიკური პირების დაცვა მისაღებია მსოფლიო ბანკის ეფექტიანი გადახდისუუნარობისა და კრედიტორების/მოვალეების რეჟიმის პრინციპებისთვის, რომელიც ხაზს უსვამს მკაფიო გამონაკლისების შემოღებას, რათა საშუალება მიეცეთ პირებს, შეინარჩუნონ საოჯახო საქონელი და მოვალის პროფესიის ან სამუშაოსთვის აუცილებელი აქტივები, ისევე, როგორც მოვალისა და მისი ოჯახის საარსებო საშუალება. IMF-ის⁴⁴ ანგარიშის თანახმად, ეკონომიკური

⁴⁰ იხ. UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო, გვ. 41.

⁴¹ იხ. UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო, გვ. 284.

⁴² იხ. UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო, გვ. 44.

⁴³ იხ. UNCITRAL-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის (2005 წ.) საკანონმდებლო სახელმძღვანელო, გვ. 21.

⁴⁴ საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2013 წ., ფინანსური კრიზისის დროს კერძო ვალის პრობლემასთან გამკლავება.

ეფექტიანობისთვის პირადი გადახდისუუნარობის შესახებ კანონმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ასპექტები:

1. მხარეებს შორის რისკების სამართლიანი და თანაბარი განაწილება;
2. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, ფინანსურად ანგარიშვალდებული პირების ვალდებულებებისგან გათავისუფლებით მათთვის საქმიანობის თავიდან დაწყების საშუალების მიცემა (როგორც წესი, 3-5 წლის შემდეგ);
3. განცხადების გაკეთების კრიტერიუმების დადგენა, რათა გადახდისუუნარობის პროცედურები ხელმისაწვდომი გახდეს ინდივიდუალური მოვალეებისთვის და მინიმუმამდე დავიდეს დარღვევები;
4. კრედიტორების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთან ერთად აღსრულების ღონისძიებებზე ავტომატური და დროებითი მორატორიუმის დაწესება;
5. გადახდის პირობების დაწესება, რომელიც ზუსტად ასახავს მოვალის გადახდისუუნარიანობას, რათა მას ჰქონდეს თავიდან დაწყების საშუალება.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ კანონპროექტი სათანადოდ არ ასახავს ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საკითხს და ამ მიმართულებით საჭიროა დამატებითი რეგულაციების შემოღება⁴⁵.

e. გამოკვლევა კონკრეტულ მაგალითზე და მისი შეფასება

ანგარიშის ამ ქვეთავში წარმოდგენილია გამოკვლევა კონკრეტულ მაგალითზე და მისი შეფასების შედეგები. შემთხვევა აღებულია ბიზნესის კეთების გადახდისუუნარობის გადაწყვეტის ინდიკატორის მეთოდოლოგიიდან, თუმცა გარკვეული ცვლილებებით, რათა გავითვალისწინოთ მთელი რიგი გარემოებები, რაც შეიძლება წარმოიშვას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს. აღნიშნული ქვეთავის უმთავრესი მიზანია კანონპროექტის ხარჯებისა და დროითი შედეგების გაგება და მათი შედარება მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოსთან. გარდა ამისა, ანალიზი ცდილობს, გამოავლინოს კანონპროექტის ხარვეზები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის ეფექტიან განხორციელებას. პირველ რიგში, ჩვენ ვსწავლობთ შემთხვევას მოქმედი კანონის საფუძველზე, რის შემდეგაც იგი განიხილება კანონპროექტის ჭრილში.

ბიზნესის შესახებ დაშვებები

ბიზნესი:

- არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- მუშაობს ეკონომიკის უმსხვილეს ბიზნეს-ქალაქში;
- აქვს უძრავი ქონება ქალაქის ცენტრში, სადაც ამუშავებს სასტუმროს, როგორც უმთავრეს აქტივს. სხვა აქტივები მოიცავს მოძრავ ქონებასა და ინვენტარს (საკვები, პროდუქტები, კომუნალური ინვენტარი), რაც გამოიყენება სასტუმროს ყოველდღიური ფუნქციონირებისას;
- ჰყავს პროფესიონალი გენერალური მენეჯერი;
- ჰყავს 201 თანამშრომელი და 50 მიწოდებელი და მართებს თითოეული მათგანის ვალი ბოლო მიწოდებისთვის;

⁴⁵ აღნიშნული დამატებით ხელს შეუწყობს 2030 დღის წესრიგით გათვალისწინებული „არავინ დარჩეს უწყურადღებოდ“ პრინციპის შესრულებას.

- გაფორმებული აქვს 10-წლიანი სასესხო ხელშეკრულება ადგილობრივ ბანკთან, რომელიც იპოთეკით არის უზრუნველყოფილი და ჩადებულია სასტუმროს უძრავი ქონება;
- კომპანიის ერთ-ერთმა აქციონერმა (შემდეგში „აქციონერი“) გასცა სესხი კომპანიაზე (შემდეგში „აქციონერის სესხი“), რომელიც უზრუნველყოფილია სასტუმროს სარგებლობაში არსებული ყველა მოძრავი ქონებისა და კომპანიის ინვენტარით, გარდა კომპანიის იმ სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც არ ექვემდებარება რაიმე სახის დატვირთვას;
- დღემდე იცავდა გადახდის განრიგსა და სესხის ყველა სხვა პირობას;
- მოქმედი ბიზნესის სახით მისი საბაზრო ღირებულება შეადგენს 200,000 აშშ დოლარს. საწარმოს აქტივების საბაზრო ღირებულება, ნაწილ-ნაწილ გაყიდვის შემთხვევაში, არის ბიზნესის საბაზრო ღირებულების 70% (140,000 აშშ დოლარი), საიდანაც სასტუმროს მთელი უძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 120,000 აშშ დოლარს.

შემთხვევის შესახებ დაშვებები

ბიზნესს აქვს ლიკვიდურობის პრობლემა. 2016 წელს მიღებული დანაკარგის გამო კომპანიის წმინდა ღირებულება უარყოფითი გახდა. ახლა 2017 წლის 1 იანვარია. საწარმოს არ აქვს ნაღდი ფული ბანკის საპროცენტო განაკვეთის ან ძირი თანხის სრულად გადასახდელად, რადგან ხვალ 2 იანვარია. შედეგად ბიზნესი ვერ იხდის სესხს. მენეჯმენტი ფიქრობს, რომ დანაკარგები მოსალოდნელია 2017 და 2018 წლებში. თუმცა ელის, რომ 2017 წლის ფულადი ნაკადები დაფარავს ყველა საოპერაციო ხარჯს, მათ შორის მიმწოდებლების ხარჯების, ხელფასებს, მოვლა-პატრონობის ხარჯებსა და გადასახადებს, თუმცა ვერ გადაიხდის ბანკის სესხის ძირსა და საპროცენტო განაკვეთს. 2017 წლის 15 იანვარს, დღგ და სხვა გადასახდელი გადასახადების სახით საწარმოს დაუგროვდა 40,000 აშშ დოლარი, რისი გადახდაც მან ვერ შეძლო. ამ ყველაფერის შედეგად, საწარმოს მთელ ქონებას დაეკისრა საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა.

სასესხო ხელშეკრულებით ვადამოსული თანხა შეადგენს 170,000 აშშ დოლარს. საწარმოს კრედიტორები არიან:

- შემოსავლების სამსახური, რომლის წინაშეც საწარმოს გადასახდელი აქვს 40,000 აშშ დოლარი;
- კომპანიის აქციონერების სესხი, 50,000 აშშ დოლარის ოდენობით;
- სხვა კრედიტორები (მიმწოდებლები, თანამშრომლები და კომუნალური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები), 60,000 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც 20,000 აშშ დოლარი არის სახელფასო დავალიანება.

საწარმოს უამრავ კრედიტორთან უწევს არაფორმალური, სასამართლოს ჩარევის გარეშე მოგვარებაზე მოლაპარაკება. ხელმისაწვდომია შემდეგი ვარიანტები: სასამართლო პროცედურა რეაბილიტაციის ან რესტრუქტურისაციის მისაღწევად, რათა საწარმომ შეძლოს მუშაობის გაგრძელება; სასამართლო პროცედურა, რომლის მიზანია საწარმოს ლიკვიდაცია; ან სასამართლოს ვალის აღსრულების პროცედურა საწარმოს წინააღმდეგ.

მხარეების შესახებ დაშვებები

ბანკს უნდა რაც შეიძლება მეტი ამოიღოს სესხიდან, თან რაც შეიძლება სწრაფად და იაფად. არაუზრუნველყოფილი კრედიტორები ყველაფერს იზამენ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, რომ თავიდან აიცილონ ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა. უმსხვილეს აქციონერს უნდა, საკუთარ კონტროლქვეშ შეინარჩუნოს და ამუშაოს საწარმო. მენეჯმენტს უნდა, შეინარჩუნოს საწარმოს მუშაობა და თანამშრომელთა სამუშაო ადგილები. ყველა მხარე არის ადგილობრივი ერთეული ან მოქალაქე; უცხოელი მხარეები არ არიან ჩართული.

სხვა დაშვებები

- გაკოტრების და/ან რეაბილიტაციის რეჟიმი იწყება და გართულებების გარეშე მიმდინარეობს;
- სასამართლო და პროცესის სხვა მხარეები შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ დროს იყენებენ;
- ყველა გამოთვლა კეთდება აშშ დოლარში; გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში არის ფიქსირებული 2.7;
- გამოთვლები არ ითვალისწინებს ადვოკატის საფასურს;
- მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რეაბილიტაციის მმართველი არ არის გათვალისწინებული სცენარში, თუმცა მოიაზრება კანონპროექტით გათვალისწინებულ თანხასთან მიმართებაში;
- გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნამდე აღსრულების ბიუროს, როგორც პროცესის ზედამხედველის, და გაკოტრების მმართველის ანაზღაურება მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში აღებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის #144 ბრძანებიდან.

- გაკოტრების და რეაბილიტაციის სცენარები გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის („მოქმედი კანონის“) თანახმად

რეაბილიტაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით

ქვემოთ წარმოდგენილი ანგარიშის მიზნებისთვის, ბანკი, შემოსავლების სამსახური და აქციონერი არიან „უზრუნველყოფილი კრედიტორები“, ყველა დანარჩენი – „არაუზრუნველყოფილი კრედიტორები“.

არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს უნდათ საწარმოს გადარჩენა, შესაბამისად, 2017 წლის 1 თებერვალს სასამართლოში შეაქვთ მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება („გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება“) და სახელმწიფო მოსაკრებელი 5,000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს აქვს ხუთი დღე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების⁴⁶ განსახილველად. გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლომ შეიძლება ვადა 10 დამატებითი დღით გააგრძელოს⁴⁷. გარდა ამისა, თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში არის ხარვეზები, სასამართლომ შეიძლება დამატებით 5 სამუშაო დღით გადაავადოს განხილვა⁴⁸. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას („გადახდისუუნარობის შესახებ განჩინება“) და დაიწყებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას („გადახდისუუნარობის საქმის წარმოება“). სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ განჩინებას აქვეყნებს ელექტრონულ სისტემაში/ვებ-გვერდზე: www.matsne.gov.ge, რათა ინფორმაცია მიაწოდოს საწარმოს კრედიტორებს⁴⁹.

შეჯამება: თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება გაკეთდა 2017 წლის 1 თებერვალს, სასამართლო განცხადებას დააკმაყოფილებს 2017 წლის 6 თებერვალს (რიგ შემთხვევებში, 2017 წლის 16 თებერვალს) და დაიწყებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას. ჩვენ შემთხვევაში, ვუშვებთ, რომ სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ განჩინებას გამოიტანს 2017 წლის 16 თებერვალს.

გადახდისუუნარობის მეურვის დანიშვნა

⁴⁶ იხ. მოქმედი კანონის 19.1 მუხლი.

⁴⁷ იხ. მოქმედი კანონის 22.2 მუხლი.

⁴⁸ იხ. მოქმედი კანონის 20.1 მუხლი.

⁴⁹ იხ. მოქმედი კანონის 20.5 მუხლი.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისთანავე გადახდისუუნარობის მეურვე („მეურვე“) ჩაიბარებს საწარმოს კონტროლს. კერძოდ, მოვალე ვეღარ მიიღებს გადაწყვეტილებებს ზედამხედველის ან სასამართლოს თანხმობის გარეშე⁵⁰. მეურვის ფუნქციას ასრულებს აღსრულების ბიურო⁵¹. მეურვის უფლებამოსილება შეწყდება სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნისთანავე (როგორც ქვემოთ არის განსაზღვრული).

კრედიტორების მოწვევა

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მეურვეს წარუდგინოს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ⁵². ამავე პერიოდში საწარმოს კრედიტორებმა სასამართლოს უნდა წარმოადგინონ მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნები⁵³.

სასამართლო და მეურვე იწვევენ კრედიტორთა კრებას („კრედიტორთა კრება“), რომელიც უნდა გაიმართოს განჩინების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 30-40 დღისა⁵⁴. კრედიტორთა პირველი კრების ხანგრძლივობაა არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა⁵⁵.

შეჯამება: კრედიტორთა პირველი კრება გაიმართება არა უგვიანეს 2017 წლის 27 მარტისა. თუ კრედიტორთა პირველი კრება გაიმართება 2017 წლის 27 მარტს, მაშინ უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 2017 წლის 6 აპრილისა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკაში და განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში, კრედიტორთა პირველ კრებას 7 სამუშაო დღეზე მეტი სჭირდება.

კრედიტორთა პირველ კრებაზე სასამართლო ამოწმებს კრედიტორების მოთხოვნებს⁵⁶. კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების შემდეგ, იქმნება მომრიგებელი საბჭო („მომრიგებელი საბჭო“)⁵⁷. მომრიგებელ საბჭოში შედის სამი წევრი: ერთ წევრს ირჩევს მოვალე, ერთს – კრედიტორები ხმათა უბრალო უმრავლესობით, ერთს კი – კრედიტორების წარმომადგენლები და საწარმო (თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მესამე წევრს ნიშნავს სასამართლო⁵⁸. მოქმედი კანონი არ ადგენს მომრიგებელი საბჭოს წევრების არჩევის ან კრედიტორებისა და მოვალის მიერ წევრთან დაკავშირებით შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრის დანიშვნის ვადებს.

შეჯამება: ვინაიდან მომრიგებელი საბჭო იქმნება კრედიტორთა პირველ კრებაზე, ვფიქრობთ, რომ იგი შეიქმნება 2017 წლის 6 აპრილს (კრედიტორთა პირველი კრების ბოლო დღე).

ბანკი, რომელსაც აქვს ხმათა უმრავლესობა კრედიტორთა პირველ კრებაზე, დანიშნავს მომრიგებელი საბჭოს ერთ წევრს. დიდი ალბათობით, კრედიტორები და მოვალე ვერ შეთანხმდებიან მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრზე. ამიტომ სასამართლოს მოუწევს მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრის დანიშვნა.

რეაბილიტაციის შესახებ განჩინება

⁵⁰ იხ. მოქმედი კანონის 21.2(ა) მუხლი.

⁵¹ იხ. მოქმედი კანონის 26.1 მუხლი.

⁵² იხ. მოქმედი კანონის 24.1 მუხლი.

⁵³ იხ. მოქმედი კანონის 29.1 მუხლი.

⁵⁴ იხ. მოქმედი კანონის 21.1(ბ) მუხლი.

⁵⁵ იხ. მოქმედი კანონის 27.22 მუხლი.

⁵⁶ იხ. მოქმედი კანონის 27.23 მუხლი.

⁵⁷ იხ. მოქმედი კანონის 27.23 მუხლი.

⁵⁸ ხშირად ხდება, რომ მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრი არ აირჩევა კრედიტორების პირველ შეხვედრაზე.

შექმნიდან 15 დღის განმავლობაში მომრიგებელმა საბჭომ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის გაკოტრებაზე ან რეაბილიტაციაზე⁵⁹. მოქმედი კანონი მომრიგებელ საბჭოს არ უწესებს კონკრეტულ დროს, რა ვადაშიც საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გაკოტრების ან რეაბილიტაციის შესახებ. კანონი მხოლოდ განმარტავს, რომ მომრიგებელმა საბჭომ შექმნიდან 15 დღის განმავლობაში უნდა შეისწავლოს (გადახედოს) საკითხი.

იმ შემთხვევაში, თუ მომრიგებელი საბჭო თანახმაა რეაბილიტაციაზე, საბჭომ სასამართლოს უნდა წარუდგინოს რეაბილიტაციის წინადადება⁶⁰. თანხმობის შემთხვევაში, სასამართლო ამტკიცებს რეაბილიტაციას („რეაბილიტაციის შესახებ განჩინება“). რეაბილიტაციის გეგმიდან 3 დღის განმავლობაში, კრედიტორები აირჩევენ რეაბილიტაციის მმართველს („რეაბილიტაციის მმართველი“), რომელიც უნდა დაამტკიცოს სასამართლომ⁶¹.

შეჯამება: მოქმედი კანონმდებლობა მომრიგებელ საბჭოს არ უწესებს კომპანიის რეაბილიტაციის მოგვარების ვადას. კანონი არც სასამართლოს არ უწესებს რეაბილიტაციის შესახებ განჩინების გამოტანის ვადას, თუ მომრიგებელი საბჭო რეაბილიტაციის წინადადებას წარადგენს. მეტიც, ვფიქრობთ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სასამართლოს არ შეუძლია მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლა. მეტიც, მოქმედი კანონი არ აწესებს კრიტერიუმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მომრიგებელმა საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას.

პრაქტიკის თანახმად, მომრიგებელი საბჭოს მიერ წარდგენილი რეაბილიტაციის დამტკიცება და თანმდევი რეაბილიტაციის შესახებ განჩინების გამოტანა უნდა მოხდეს მომრიგებელი საბჭოს შექმნიდან 30 დღის განმავლობაში. ამიტომ ვუშვებთ, რომ სასამართლომ რეაბილიტაციის შესახებ განჩინება უნდა გამოიტანოს 2017 წლის 7 მაისამდე.

რეაბილიტაციის გეგმა

რეაბილიტაციის გეგმის („რეაბილიტაციის გეგმა“) მომზადების ვადა აითვლება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან⁶². მოსამზადებელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს (თუ კრედიტორების უმრავლესობის მიერ სხვაგვარად არ არის დადგენილი)⁶³, რა ვადაშიც, გეგმა დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს მომრიგებელ საბჭოს. წარდგენიდან მომრიგებელ საბჭოს აქვს 10 დღე რეაბილიტაციის გეგმის პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად⁶⁴. მომრიგებელი საბჭოს დამტკიცების შემდეგ რეაბილიტაციის გეგმის პროექტი წარედგინება უზრუნველყოფილ კრედიტორებს, რომლებიც მომრიგებელი საბჭოს მიერ შესწავლილ და მოწონებულ რეაბილიტაციის გეგმას ამტკიცებენ მომრიგებელი საბჭოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის გადაცემიდან 7 დღის ვადაში. რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად საჭიროა ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობა⁶⁵. მოქმედი კანონი არ არეულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მომრიგებელი საბჭო არ ამტკიცებს რეაბილიტაციის გეგმის პროექტს და აქვს თუ არა უფლება, მოითხოვოს ცვლილებების შეტანა გეგმაში, რაც გამოიწვევს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცესის გაჭიანურებას. ასევე, გაურკვეველია, რა პროცედურები და დამტკიცების ვადები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორი არ ეთანხმება რეაბილიტაციის გეგმას.

⁵⁹ იხ. მოქმედი კანონის 33.1 მუხლი.

⁶⁰ იხ. მოქმედი კანონის 33 მუხლი.

⁶¹ იხ. მოქმედი კანონის 44.2 მუხლი.

⁶² იხ. მოქმედი კანონის 43.1 მუხლი.

⁶³ იხ. მოქმედი კანონის 43.2 მუხლი.

⁶⁴ იხ. მოქმედი კანონის 46.6 მუხლი.

⁶⁵ იხ. მოქმედი კანონის 47.1 მუხლი.

შეჯამება: რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა მომზადდეს და დასამტკიცებლად წარედგინოს მომრიგებელ საბჭოს არაუგვიანეს 2017 წლის 8 აგვისტოსი, მომრიგებელმა საბჭომ კი იგი უნდა დაამტკიცოს არაუგვიანეს 2017 წლის 18 აგვისტოსი. უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა კი რეაბილიტაციის გეგმა უნდა დაამტკიცონ 2017 წლის 25 აგვისტომდე.

ბანკს ექნება მნიშვნელოვანი ბერკეტი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცესის კონტროლისთვის, რადგან მოქმედი კანონის მიხედვით, რეაბილიტაციის გეგმის პროექტს უნდა დაეთანხმოს ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორი. შესაბამისად, ბანკს არ ექნება არავითარი სტიმული რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად, თუ ხედავს, რომ ვერ ამოიღებს სესხს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით (გაკოტრების გზით).

ხარჯები

კანონპროექტის თანახმად, რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებით არსებობს სამი ძირითადი ხარჯი:

1. სასამართლოს მოსაკრებელი 5,000 ლარის ოდენობით (დაახლოებით 1,852 აშშ დოლარი);
2. მეურვის ხარჯი. იუსტიციის სამინისტროს ბრძანების თანახმად, მეურვის საფასური შეადგენს მოვალის აქტივების 6%, დაახლოებით 18, 519 აშშ დოლარს⁶⁶;
3. რეაბილიტაციის მმართველის ხარჯი, რომელიც არ არის გაწერილი კანონმდებლობით და დამოკიდებულია კრედიტორების გადაწყვეტილებაზე. ამგვარად, ასეთი ხარჯები შეიძლება განსხვავდებოდეს შემთხვევების მიხედვით. საილუსტრაციოდ, ვუშვებთ, რომ ეს ხარჯი შეადგენს კანონპროექტით გათვალისწინებულ ოდენობას, რაც არის 21,296 აშშ დოლარი.

ბანკის პოზიცია და რეაბილიტაციის ალბათობა

უნდა აღინიშნოს, რომ ბანკს, როგორც უზრუნველყოფილ კრედიტორსა და ხმათა უმრავლესობის მფლობელს, კრედიტორთა კრებაზე ექნება მნიშვნელოვანი კონტროლი გადახდის უუნარობის პროცესზე.

პირველ რიგში, ბანკი შეძლებს მომრიგებელი საბჭოს ერთი წევრის დანიშვნას, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, მოხდება თუ არა კომპანიის რეაბილიტაცია. მეორე, რეაბილიტაციის გეგმის პროექტს უნდა დაეთანხმოს უზრუნველყოფილი კრედიტორი, მათ შორის ბანკი. ამგვარად, თუ ბანკი დაინახავს უზრუნველყოფისლი აქტივების რეალიზების გზით სესხის ამოღების შესაძლებლობას (გაკოტრების გზით), მაშინ დიდი ალბათობით ბანკი არ დაეთანხმება რეაბილიტაციის გეგმას და მოითხოვს საწარმოს გაკოტრებას.

დასკვნა

რაც შეეხება ვადებს, მოქმედი კანონით, რეაბილიტაციის გეგმა უნდა დამტკიცდეს გადახდის უუნარობის შესახებ განცხადების გაკეთებიდან 7 თვის ვადაში. თუმცა კომპლექსურ შემთხვევებში პროცესი შეიძლება გაიწელოს სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, ხშირ შემთხვევებში კრედიტორების მოთხოვნების შემოწმებას კრედიტორთა პირველ კრებაზე შეიძლება 7 სამუშაო დღეზე მეტი დრო დასჭირდეს.

რაც შეეხება ხარჯებს, რეაბილიტაციის დაახლოებითი ხარჯი იქნება 41,667 აშშ დოლარი. თუმცა ამ თანხაში არ შედის ადვოკატის ხარჯი.

გაკოტრება მოქმედი კანონის თანახმად

რეაბილიტაციის საქმის წარმოებისთვის ზემოთ დადგენილი 1, 2 და 3 ნაწილები გამოიყენება გაკოტრების საქმის წარმოებისთვის.

⁶⁶ იხ. იუსტიციის მინისტრის ბრძანების 9.1(ბ.გ) მუხლები.

ვინაიდან მომრიგებელი საბჭო უნდა შეიქმნას კრედიტორთა პირველ სხდომაზე, ვუშვებთ, რომ იგი შეიქმნება 2017 წლის 6 აპრილს (კრედიტორთა პირველი სხდომის უკანასკნელ დღეს).

ბანკი, რომელსაც აქვს ხმათა უმრავლესობა კრედიტორთა კრებაზე, დანიშნავს მომრიგებელი საბჭოს ერთ წევრს. დიდი ალბათობით, კრედიტორები და მოვალე ვერ შეთანხმდებიან მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრზე. შედეგად, სასამართლოს მოუწევს საბჭოს მესამე წევრის დანიშვნა.

გაკოტრების შესახებ განჩინება

შექმნიდან 15 დღის განმავლობაში მომრიგებელი საბჭო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის გაკოტრებაზე ან რეაბილიტაციაზე. მოქმედი კანონი მომრიგებელ საბჭოს არ უწესებს ვადებს, რა დროში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გაკოტრებაზე ან რეაბილიტაციაზე. კანონში ნათქვამია, რომ საბჭომ შექმნიდან 15 დღის განმავლობაში უნდა შეისწავლოს (გადახედოს) საკითხი. ჩვენ ვუშვებთ, რომ მომრიგებელმა საბჭომ შექმნიდან 15 დღის განმავლობაში ანუ 2017 წლის 21 აპრილს განიხილა და გამოიტანა გადაწყვეტილება მოვალის გაკოტრებაზე⁶⁷. საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს სასამართლო („გაკოტრების შესახებ განჩინება“)⁶⁸. გაკოტრების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის განმავლობაში, კრედიტორები ნიშნავენ გაკოტრების მმართველს („გაკოტრების მმართველი“). არაუგვიანეს 2017 წლის 24 აპრილისა, კრედიტორები ნიშნავენ გაკოტრების მმართველს. თუ კრედიტორები ვერ აირჩევენ გაკოტრების მმართველს, მაშინ სასამართლო გაკოტრების მმართველად ნიშნავს აღსრულების ბიუროს⁶⁹.

შეჯამება: მოქმედი კანონი არ უწესებს მომრიგებელ საბჭოს საწარმოს გაკოტრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადას. მოქმედი კანონი არც სასამართლოს უწესებს ვადას გაკოტრების შესახებ განჩინების გამოტანისთვის, თუ მომრიგებელი საბჭო წარადგენს გაკოტრების წინადადებას. მეტიც, ვფიქრობთ, რომ მოქმედი კანონის ფარგლებში სასამართლოს არ შეუძლია მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლა. მეტიც, მოქმედი კანონი არ ადგენს კრიტერიუმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მომრიგებელმა საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას.

აუქციონი

გაკოტრების საქმის წარმოებისას, სამეურვეო ქონება იყიდება მხოლოდ აუქციონის გზით⁷⁰. აუქციონის ვადა უნდა იყოს 7-10 დღე⁷¹. გაკოტრების მმართველის დანიშვნიდან 25 დღის განმავლობაში გაკოტრების მმართველმა უნდა მიმართოს აღსრულების ბიუროს აუქციონის ჩატარების შესახებ⁷². სანაცვლოდ, აუქციონის მომსახურების სარგებლობისთვის გარკვეული საფასური უნდა გადაეხადოს აღსრულების ბიუროს, რომელსაც ადგენს იუსტიციის მინისტრი⁷³.

პირველი აუქციონი უნდა ჩატარდეს გაკოტრების მმართველის დანიშვნიდან 40 დღის განმავლობაში⁷⁴. სამეურვეო ქონება უნდა გაიყიდოს ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით, ქონების საბაზრო ღირებულების 50%-ად (ჩვენ შემთხვევაში, 100,000 აშშ დოლარად)⁷⁵.

შეჯამება: პირველი აუქციონი უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს 2017 წლის 3 მაისისა. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი უნდა დასრულდეს 2017 წლის 14 მაისს.

⁶⁷ იხ. მოქმედი კანონის 33.3 მუხლი.

⁶⁸ იხ. მოქმედი კანონის 36.1 მუხლი.

⁶⁹ იხ. მოქმედი კანონის 37.2 მუხლი.

⁷⁰ იხ. მოქმედი კანონის 38.1 მუხლი.

⁷¹ იხ. მოქმედი კანონის 38.4 მუხლი.

⁷² იხ. მოქმედი კანონის 38.5 მუხლი.

⁷³ იხ. მოქმედი კანონის 38.5 მუხლი.

⁷⁴ იხ. მოქმედი კანონის 38.9 მუხლი.

⁷⁵ იხ. მოქმედი კანონის 38.9 მუხლი.

თუ ქონება პირველი აუქციონის დროს არ გაიყიდება, მეორე აუქციონი უნდა ჩატარდეს პირველი აუქციონის ჩატარებიდან არა უადრეს 10 და არა უგვიანეს 40 დღის ვადაში.

შეჯამება: მეორე აუქციონი უნდა ჩატარდეს არა უადრეს 2017 წლის 24 მაისისა და არა უგვიანეს 2017 წლის 24 ივნისისა.

თუ ქონება არ გაიყიდება მეორე აუქციონის დროს, მესამე აუქციონი უნდა ჩატარდეს მეორე აუქციონის დასრულებიდან 40 დღის განმავლობაში.

შეჯამება: მესამე აუქციონი უნდა ჩატარდეს არა უადრეს 2017 წლის 3 აგვისტოსი და არა უგვიანეს 2017 წლის 13 აგვისტოსი.

სცენარი 1: იდეალური სცენარი, თუ პირველი აუქციონის დროს ბიზნესი გაიყიდა ერთიანი ბიზნესის სახით 200,000 აშშ დოლარად, გადახდისუუნარობის ხარჯები შეადგენს 31,852 აშშ დოლარს, დანარჩენი ნაწილი კი მიდის უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების პროპორციულობის პრინციპით დასაკმაყოფილებლად. ასეთი განაწილების შედეგად, 109,944 აშშ დოლარი მიდის ბანკში (მოთხოვნის ამოღების დონე – 65.385%), 25,701 აშშ დოლარი – შემოსავლების სამსახურში (მოთხოვნის ამოღების დონე – 15.385%), 32,337 აშშ დოლარი კი – უზრუნველყოფილ აქციონერებთან (მოთხოვნის ამოღების დონე – 19.231%).

სცენარი 2: თუ ქონება იყიდება ნაწილ-ნაწილ 140,000 აშშ დოლარად. გადახდისუუნარობის ხარჯები შეადგენს 27,052 აშშ დოლარს, 73,850.6 აშშ დოლარი მიდის ბანკში, 17,376.62 აშშ დოლარი – შემოსავლების სამსახურში, 21,720.88 აშშ დოლარი – უზრუნველყოფილ აქციონერებთან.

სცენარი 3: პირველი აუქციონი წარუმატებლად სრულდება. ბანკი, მოქმედი კანონის 38(10) მუხლის თანახმად, იღებს ქონებას და სრულად იხდის გადახდისუუნარობის ხარჯებსა და შემოსავლების სამსახურისა და უზრუნველყოფილი აქციონერების ვალს. სხვა რიგის კრედიტორები რჩებიან ამოღების გარეშე.

ცხრილი 6. ამოღების დონე სხვადასხვა სცენარის შემთხვევაში⁷⁶

	სცენარი 1	ამოღების დონე %	სცენარი 2	ამოღების დონე %
გაიყიდა		\$200,000.00		\$140,000.00
უზრუნველყოფილი კრედიტორები – ბანკი	\$109,944	65,385%	\$73,850.6	65,385%
უზრუნველყოფილი კრედიტორები – აქციონერები	\$32,337	19.231%	\$21,720.77	19.231%
უზრუნველყოფილი კრედიტორები – შემოსავალი	\$25,701	15.385%	\$17,376.62	15.385%
არაუზრუნველყოფილი	\$-	0	\$-	0
სხვა არაუზრუნველყოფილი	\$-	0	\$-	0
გაკოტრების ხარჯები	\$31,852	100%	\$27,052	100%

წყარო: ავტორების გამოთვლები

⁷⁶ თუმცა ამაში არ შედის ფულის დროითი ღირებულება; არ მომხდარა დაანგარიშება კრედიტორების ალტერნატიული დანახარჯების გათვალისწინების მიზნით.

ხარჯები

მოქმედი კანონის თანახმად, გაკოტრების პროცესთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი მთავარი ხარჯები:

- სასამართლოს მოსაკრებელი 5,000 ლარის ოდენობით (დაახლოებით 1,852 აშშ დოლარი);
- მეურვის ხარჯი. იუსტიციის სამინისტროს ბრძანების თანახმად, მეურვის საფასური შეადგენს მოვალის აქტივების 6%, დაახლოებით 18, 519 აშშ დოლარს ;
- აუქციონის ხარჯი, ქონების საბაზრო ღირებულების 1% მეურვის მართვის ქვეშ;
- გაკოტრების მმართველის (აღსრულების ეროვნული ბიუროს შემთხვევაში) ხარჯი არის მოვალის სამეურვეო ქონების 7%.

დასკვნა

რაც შეეხება ვადებს, მოქმედი კანონის თანახმად, მომრიგებელი საბჭოს შექმნის მომენტიდან გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისთვის საჭირო დრო შეიძლება შეადგენდეს 4 თვესა და ერთ კვირას. რთულ შემთხვევებში, პროცესი შეიძლება გაიწელოს სხვადასხვა მიზეზების გამო, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

რაც შეეხება ხარჯებს, რეაბილიტაციის მინიმალური ხარჯი შეადგენს მოვალის აქტივების დაახლოებით 19%-ს, იმ დაშვებით, რომ გაკოტრების მმართველად აღსრულების ეროვნული ბიურო რჩება.

- გაკოტრებისა და რეაბილიტაციის სცენარები კანონპროექტის თანახმად

რეაბილიტაცია კანონპროექტის თანახმად

რეაბილიტაციის ბუნება

რეაბილიტაციის იდეა ის არის, რომ კრიზისში მყოფ საწარმოს („საწარმო“) მართავს: (1) მოვალე (კომპანიის მოქმედი მმართველობა) ან (2) რეაბილიტაციის მმართველი, რომლის მიზანია საწარმოს, როგორც მოქმედი ბიზნესის, შენარჩუნება და კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

რეაბილიტაციის დაწყება

რეაბილიტაციის საქმის წარმოება იწყება სასამართლოსთვის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენით („გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება“). გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ (1) საწარმო არის გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი და (2) განმცხადებელი მოითხოვს რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნას და დასაბუთება, რომ არსებობს რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის გონივრული ალბათობა⁷⁷. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება, რომელიც ითხოვს რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნას, უნდა აკმაყოფილებდეს კანონპროექტის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება გაკოტრების რეჟიმის გახსნის მოთხოვნით კი უნდა აკმაყოფილებდეს კანონპროექტის 43-ე მუხლის მოთხოვნებს. რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის განცხადებასთან ერთად, არაუზრუნველყოფილმა კრედიტორებმა უნდა გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟი მათი მოთხოვნის პროპორციულად კანონპროექტის 121-ე მუხლის თანახმად. აქ ჩვენ ვუშვებთ, რომ ბაჟის მაქსიმალური ოდენობა, 5,000 ლარი („სახელმწიფო ბაჟი“) გადაიხადეს არაუზრუნველყოფილმა კრედიტორებმა⁷⁸.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებამდე სასამართლო ამოწმებს, არის თუ არა საწარმო გადახდისუუნარო. მხოლოდ ამგვარი შემოწმების შემდეგ წყვეტს სასამართლო, მიიღოს

⁷⁷ იხ. კანონპროექტის 41-ე და 42-ე მუხლები.

⁷⁸ იხ. კანონპროექტის 121-ე მუხლი.

თუ არა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება და დაიწყოს რეაბილიტაციის საქმის წარმოება. დასაშვებად ცნობის განხილვას სჭირდება 10 დღე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანიდან და, მიღების შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე („განჩინება განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე“)⁷⁹. თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში ხარვეზებია, სასამართლო განმცხადებელს მისცეს 5 დღის ვადას ამ შეცდომების გამოსასწორებლად⁸⁰. განჩინება განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს და დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა („საჯარო რეესტრი“) და აღსრულების ეროვნულ ბიუროს („აღსრულების ბიურო“).

რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების სასამართლოს მიერ დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინების გამოტანისთანავე, დაუშვებელია გაკოტრების რეჟიმის დაწყების მოთხოვნით განცხადების სასამართლოში წარდგენა, ხოლო დასაშვებად ცნობილი გაკოტრების რეჟიმის დაწყების მოთხოვნით განცხადების განხილვა უნდა შეჩერდეს რეაბილიტაციის საკითხზე განჩინების გამოტანამდე⁸¹.

განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანისთანავე, სასამართლო ნიშნავს გადახდისუუნარობის ზედამხედველს („გადახდისუუნარობის ზედამხედველი“), რომელიც იქნება საწარმოს ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირი, სანამ სასამართლო არ გამოიტანს განჩინებას კომპანიის რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის დაწყებაზე. აღსრულების ბიურო შეასრულებს გადახდისუუნარობის ზედამხედველობის ფუნქციას და დაამტკიცებს საწარმოს გარკვეულ გარიგებებს და მოამზადებს კრედიტორების საწყის სიას⁸².

შეჯამება: გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების გაკეთებიდან განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანამდე 10 დღეა საჭირო. ამიტომ, თუ სხვა არაუზრუნველყოფილი კრედიტორები შეიტანენ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას 2017 წლის 1 თებერვალს, სასამართლო განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინებას გამოიტანს 2017 წლის 11 თებერვალს.

მორატორიუმი

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისთანავე ავტომატურად ამოქმედდება კანონპროექტის 56-ე მუხლით გათვალისწინებული მორატორიუმის სახეები. მორატორიუმის ღონისძიებებით, სხვებთან ერთად, ჩერდება და არ დაიშვება კრედიტორის დაკმაყოფილება უზრუნველყოფის საგნიდან⁸³. მორატორიუმის ღონისძიებები შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული მოთხოვნებიდან გამომდინარე⁸⁴. ზოგადად, მორატორიუმის მოქმედება წყდება რეაბილიტაციის რეჟიმის შეწყვეტასთან ან დასრულებასთან ერთად⁸⁵.

რეაბილიტაციის შესახებ განჩინება

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თარიღიდან 25 დღის განმავლობაში, გადახდისუუნარობის ზედამხედველმა უნდა მოამზადოს და სასამართლოს წარუდგინოს გადახდისუუნარობის შესახებ ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს აქტივებზე, საწყისი კრედიტორთა პირველად სიასა და სხვა საჭირო ინფორმაციას⁸⁶.

⁷⁹ იხ. კანონპროექტის 45.1 და 45.3 მუხლები.

⁸⁰ იხ. კანონპროექტის 46.1 მუხლი.

⁸¹ იხ. კანონპროექტის 47.1 მუხლი.

⁸² იხ. კანონპროექტის 48.1 და 48.2 მუხლები.

⁸³ იხ. კანონპროექტის 56(გ) მუხლი.

⁸⁴ იხ. კანონპროექტის 59-ე მუხლი.

⁸⁵ იხ. კანონპროექტის 60.1 მუხლი.

⁸⁶ იხ. კანონპროექტის 51-ე მუხლი.

სასამართლო მიღებიდან 5 დღის ვადაში განიხილავს გადახდისუუნარობის შესახებ ანგარიშს და გადაწყვეტს, დაიწყოს რეაბილიტაციის რეჟიმი თუ შეწყვიტოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

თუ სასამართლო დამტკიცებს რეაბილიტაციის რეჟიმს, იგი გამოსცემს განჩინებას რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებაზე („რეაბილიტაციის შესახებ განჩინება“)⁸⁷.

რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება შეინარჩუნებს მორატორიუმს, რომელიც შეაჩერებს უზრუნველყოფილი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების გადახდას.

შეჯამება: გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების გაკეთებიდან განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანამდე 30 დღეა საჭირო. ამიტომ, თუ გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინება 2017 წლის 11 თებერვალს გამოქვეყნდება, რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების განჩინება 2017 წლის 11 მარტს გამოქვეყნდება.

რეაბილიტაციის მმართველები

რეაბილიტაციის შესახებ განჩინების გამოტანისთანავე სასამართლო დანიშნავს რეაბილიტაციის რეჟიმზე პასუხისმგებელ პირს, რეაბილიტაციის მმართველს („რეაბილიტაციის მმართველი“). თუ საწარმო (მოვალე) ითხოვს რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებას, სასამართლომ შეიძლება მოვალე დანიშნოს რეაბილიტაციის მმართველად. თუ რეაბილიტაციას/გადახდისუუნარობას კრედიტორები ითხოვენ, სასამართლომ შეიძლება რეაბილიტაციის მმართველად დანიშნოს პირი, რომელიც არ არის მოვალე, თუ კრედიტორები შეთანხმდებიან, რომ მოვალემ შეიძლება გააგრძელოს კომპანიის მართვა⁸⁸. თუ მოვალე რჩება მმართველობაში, სასამართლო ნიშნავს რეაბილიტაციის ზედამხედველსაც („რეაბილიტაციის ზედამხედველი“), რომელიც აკონტროლებს მოვალის საქმიანობას, როგორც რეაბილიტაციის მმართველი⁸⁹.

რეაბილიტაციის მმართველი რეაბილიტაციის დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 2 თვის განმავლობაში შექმნის კრედიტორთა რეესტრს⁹⁰.

იმ ფაქტმა, ვინაა რეაბილიტაციის მმართველი, შეიძლება გამოიწვიოს რეაბილიტაციის ხარჯები:

1. ხარჯები, თუ მოვალე რჩება რეაბილიტაციის მენეჯერად, შეიძლება იყოს შემდეგი:
 - a. რეაბილიტაციის ზედამხედველის ანაზღაურება. მოვალეს, როგორც რეაბილიტაციის მმართველს, არ აქვს რეაბილიტაციის მმართველის მსგავსად ანაზღაურების მიღების უფლება⁹¹;
2. თუ რეაბილიტაციის მმართველის მოვალეობას ასრულებს მესამე მხარე, ხარჯი შეიძლება იყოს შემდეგი:
 - a. რეაბილიტაციის მმართველის ანაზღაურება, რაც ჩვენ შემთხვევაში მაქსიმუმ 21,296 აშშ დოლარი იქნება;
 - b. კომპანიის მოვალის ხარჯი, რომელიც დაეხმარება რეაბილიტაციის მმართველს და რომლის ანაზღაურებაც იქნება დასაბუთებული და დადასტურებული რეაბილიტაციის მმართველის მიერ⁹².

⁸⁷ იხ. კანონპროექტის 64.1 და 65-ე მუხლები.

⁸⁸ იხ. კანონპროექტის 66.1 მუხლი.

⁸⁹ იხ. კანონპროექტის 66.3 მუხლი. რეაბილიტაციის ზედამხედველი უნდა იყოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის სტატუსის მქონე პირი.

⁹⁰ იხ. კანონპროექტის 54-ე მუხლი.

⁹¹ იხ. კანონპროექტის 75.1 მუხლი.

⁹² იხ. კანონპროექტის 74.1 მუხლი.

რეაბილიტაციის მმართველის უმთავრესი მიზანია საწარმოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება („საწარმოს ანგარიში“)⁹³.

რეაბილიტაციის რეჟიმი და მისი კრიტერიუმები

მოქმედი კანონისგან განსხვავებით, კანონპროექტი ადგენს რეაბილიტაციის შემდეგ მიზნებს: (1) მოვალის გადარჩენა, რა შემთხვევაშიც კრედიტორების მოთხოვნები სრულად დაკამოფილებულია და (2) კრედიტორების ერთობლიობისთვის, როგორც ერთად აღებული მთლიანობისთვის, უკეთესი შედეგის მიღწევა, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა მოვალის იმთავითვე გაკოტრებისას, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც მოვალის იმთავითვე გაკოტრებისას მიიღებდა. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს (ა) პარაგრაფით განსაზღვრულ მიზანს, თუ რეაბილიტაციის მმართველი არ მიიჩნევს, რომ ამ მიზნის შესრულება არ არის გონივრულად განხორციელებადი⁹⁴.

შეჯამება: იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მმართველობა „ელის, რომ 2017 წლის ფულადი ნაკადები დაფარავს ყველა საოპერაციო ხარჯს, მათ შორის მიმწოდებლების ხარჯების, ხელფასებს, მოვლა-პატრონობის ხარჯებსა და გადასახადებს, თუმცა ვერ გადაიხდის ბანკის სესხის ძირსა და საპროცენტო განაკვეთს“ და საწარმო განაგრძობს ამ რეჟიმში მუშაობას მომავალში (მიუხედავად იმისა, რომ განიცადა მოულოდნელი საოპერაციო დანაკარგი, რაც გამოიწვია ინდუსტრიის შეცვლილმა პირობებმა), ჩვენ ვუშვებთ, რომ რეაბილიტაციის მიზნები შეიძლება შესრულდეს ანგარიშის ამ ნაწილის მიზნებისთვის.

რეაბილიტაციის გეგმა

საწარმოს ანგარიშისა და კრედიტორთა რეესტრის საფუძველზე, რეაბილიტაციის მმართველი რეაბილიტაციის განჩინების გამოქვეყნებიდან 2 თვის განმავლობაში მოამზადებს რეაბილიტაციის გეგმას („რეაბილიტაციის გეგმა“). ეს პერიოდი შეიძლება კიდევ ერთი თვით გაგრძელდეს, სასამართლოს თანხმობის შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის მმართველი დაასაბუთებს ამგვარი გაგრძელების საჭიროებას. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორებისთვის რეაბილიტაციის გეგმის პროექტის წარდგენის ვადა არის სამი თვე რეაბილიტაციის განჩინების გამოქვეყნების თარიღიდან. რეაბილიტაციის გეგმის პროექტი წარედგინება კრედიტორთა კრებას.

შეჯამება: რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების თარიღიდან მისი კრედიტორთა კრებისთვის წარდგენამდე პერიოდი 3 თვე ამგვარად, თუ რეაბილიტაციის განჩინება დამტკიცდება 2017 წლის 11 მარტს, რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა მომზადდეს და წარედგინოს კრედიტორთა კრებას 2017 წლის 11 ივნისს.

რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა დაამტკიცონ კრედიტორებმა რეაბილიტაციის განჩინების გამოქვეყნების თარიღიდან 6 თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ 3 თვით. ნებისმიერ შემთხვევაში, რეაბილიტაციის გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას რეაბილიტაციის განჩინებიდან არაუგვიანეს 9 თვისა⁹⁵. თუ რეაბილიტაციის გეგმის პროექტი არ დამტკიცდება, სასამართლო მიიღებს განჩინებას გაკოტრების რეჟიმის დაწყების თაობაზე⁹⁶.

შეჯამება: თუ რეაბილიტაციის განჩინება მიიღება 2017 წლის 11 მარტს, რეაბილიტაციის გეგმის პროექტს კრედიტორთა კრება დაამტკიცებს არა უგვიანეს 2017 წლის 11 დეკემბრისა.

⁹³ იხ. კანონპროექტის მე-80 მუხლი.

⁹⁴ იხ. კანონპროექტის 71.2 და 71.3 მუხლები.

⁹⁵ იხ. კანონპროექტის 84.1 მუხლი.

⁹⁶ იხ. კანონპროექტის 84.2 მუხლი.

ყველა არაუზრუნველყოფილ კრედიტორს აქვს კენჭისყრის უფლება. უზრუნველყოფილ კრედიტორს გეგმის დამტკიცების თაობაზე კენჭისყრაში ხმის უფლება არ აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რეაბილიტაციის გეგმით მოვალესა და უზრუნველყოფილ კრედიტორს შორის არსებული ხელშეკრულების პირობები იცვლება⁹⁷.

კრედიტორთა კრებაზე ხმის მიცემის უფლება განაწილდება შემდეგნაირად:

- ყველა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, გარდა საწარმოსთან დაკავშირებული კრედიტორებისა. ამავდროულად, შემოსავლების სამსახურის თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ რეაბილიტაციის გეგმის პროექტი ითვალისწინებს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში⁹⁸; და
- უზრუნველყოფილი კრედიტორები, გარდა კომპანიასთან დაკავშირებული კრედიტორებისა⁹⁹.

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის გეგმის პროექტის დამტკიცებას უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორები კენჭს უყრიან ცალ-ცალკე¹⁰⁰.

დამტკიცების შემდეგ და კრედიტორთა კრების მიერ დამტკიცებიდან 5 დღის განმავლობაში რეაბილიტაციის გეგმა წარედგინება სასამართლოს საბოლოო დამტკიცებისთვის.

რეაბილიტაციის გეგმის შესწავლისას სასამართლო იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით: (1) კრედიტორთა კრების მოწვევისა და კენჭისყრის პროცედურები მკაცრად იქნება დაცული; (2) რეაბილიტაციის გეგმა არ დამტკიცდება, თუ: (ა) კრედიტორი არ მიიღებს, სულ მცირე, თავისი მოთხოვნის შესატყვის ისეთ ღირებულებას, რომელსაც მიიღებდა გაკოტრების განჩინების შედეგად, ან (ბ) უზრუნველყოფილი კრედიტორი მიიღებს უფრო ნაკლებს, ვიდრე უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიიღებდა¹⁰¹.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორთა კრება არ დაამტკიცებს შეთავაზებული გეგმის პროექტს ამ კანონით დადგენილი წესით, რეაბილიტაციის მმართველის მიმართვის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია, დაამტკიცოს რეაბილიტაციის გეგმა, თუ სახეზეა შემდეგი პირობები:

- ა) არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფი ან უზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფი მხარს უჭერს რეაბილიტაციის გეგმას ამ კანონით დადგენილი უმრავლესობით;
- ბ) სასამართლო მიიჩნევს, რომ გონივრული ალბათობის გათვალისწინებით, გეგმა განხორციელდება და კრედიტორთა უფლებები დაცულია კანონპროექტის 85-ე მუხლის შესაბამისად (კრიტერიუმები იხ. ზემოთ); და
- გ) უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ შეწყვეტილი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებით ანუიტეტის წესის დაცვით¹⁰².

შეჯამება: გადახდისუუნარობის დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან კრედიტორების მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებამდე შეიძლება მაქსიმუმ 9 თვე გავიდეს. შესაბამისად, თუ რეაბილიტაციის განჩინება მიღებულია 2017 წლის 11 მარტს, მაშინ

⁹⁷ იხ. კანონპროექტის 84.6 მუხლი.

⁹⁸ იხ. კანონპროექტის 84.11 მუხლი.

⁹⁹ იხ. კანონპროექტის 84.9 მუხლი.

¹⁰⁰ იხ. კანონპროექტის 84.7 მუხლი.

¹⁰¹ იხ. კანონპროექტის 85-ე მუხლი.

¹⁰² იხ. კანონპროექტის 86-ე მუხლი.

რეაბილიტაციის გეგმის პროექტი კრედიტორთა კრებამ უნდა დაამტკიცოს არა უგვიანეს 2017 წლის 11 დეკემბრისა. თუმცა კანონპროექტი არ განსაზღვრავს, რა ვადაში უნდა დაამტკიცოს სასამართლომ რეაბილიტაციის მმართველის მიერ წარდგენილი რეაბილიტაციის გეგმის პროექტი.

ბანკსა და აქციონერს, როგორც უზრუნველყოფილ კრედიტორებს, კრედიტორთა კრებაზე არ ექნებათ ხმის მიცემის უფლება. შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ გეგმის დაწუნების შემთხვევაშიც კი არაუზრუნველყოფილი კრედიტორები მაინც შეძლებენ რეაბილიტაციის გეგმის პროექტის დამტკიცებასა და მისი განხორციელების აღსრულებას. თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ რეაბილიტაციის გეგმა აკმაყოფილებს კანონპროექტის 86-ე მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს.

რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება

რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისას, მორატორიუმის ღონისძიებები (მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის აკრძალვა) დარჩება ძალაში და ამგვარად, უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული აქტივებზე არ იმოქმედებს აღსრულების ღონისძიებები. ამავდროულად, უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაცია, თუ მოვალე ზედიზედ 2-ჯერ არ ასრულებს მიმდინარე ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში, უზრუნველყოფილ კრედიტორებს შეუძლიათ მოითხოვონ, უზრუნველყოფილ საგნად გამოყენებულ ქონებაზე მოიხსნას მორატორიუმი და ეს ქონება დაექვემდებაროს აღსრულებას¹⁰³.

ბანკის როლი და პოზიცია

ბანკს აქვს სტიმული, მოიწონოს რეაბილიტაციის რეჟიმი, თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაცია (მათ შორის, რეალიზაცია გაკოტრების საქმის წარმოებისას) საშუალებას მისცემს ბანკს, ამოიღოს მოვალის ვადამოსული სესხი. ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზის (იხ. ქვეთავი „მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობა“) საფუძველზე, ბანკის ამოღების დონე საწარმოს გაყიდვის შემთხვევაში თითქმის 71%-ია. ამგვარად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ბანკის ინტერესში შედის რეაბილიტაციის რეჟიმის მოწონება.

ამავდროულად, ბანკს არ აქვს სრული კონტროლი რეაბილიტაციის რეჟიმზე და ვერ შეაჩერებს რეაბილიტაციას, თუ უნდა გაკოტრების რეჟიმის გამოყენებით სწრაფად გაყიდოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონება. თუ დავუშვებთ, რომ ბანკი არ მოიწონებს რეაბილიტაციას და არ მისცემს ხმას რეაბილიტაციის გეგმის პროექტს, შეიძლება მაინც ჩაერთოს რეაბილიტაციის პროცესში, თუ არაუზრუნველყოფილი კრედიტორები დაამტკიცებენ რეაბილიტაციის გეგმას, რომელსაც მოგვიანებით სასამართლოც დაამტკიცებს.

მიუხედავად ამისა, ბანკი მაინც ინარჩუნებს რეაბილიტაციის რეჟიმის დაბლოკვის ან რეაბილიტაციის პროცესიდან უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების ამოღების ბერკეტს (ჩვენ შემთხვევაში დეფაქტოდ შეაფერხებს რეაბილიტაციას). მაგალითად, იმისთვის, რომ სასამართლომ დაამტკიცოს რეაბილიტაციის გეგმა (მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკი წარდგენილი რეაბილიტაციის გეგმის პროექტის წინააღმდეგ მისცემს ხმას), იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უზრუნველყოფილი კრედიტორი (ბანკის ჩათვლით) მიიღებს უფრო მეტს, ვიდრე უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიიღებდა¹⁰⁴; და

¹⁰³ იხ. კანონპროექტის 89.3 მუხლი.

¹⁰⁴ იხ. კანონპროექტის 85.2(დ) მუხლი.

- უზრუნველყოფილი კრედიტორის (ბანკის ჩათვლით) მიერ მოვალის მიმართ შეწყვეტილი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებით ანუიტეტის წესის დაცვით¹⁰⁵.

ამგვარად, ბანკმა შეიძლება შეაფერხოს ან შეცვალოს დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ წარმოდგენილ კრიტერიუმებს.

მეტიც, ბანკმა შეიძლება რეაბილიტაციის პროცესიდან ამოიღოს და გაყიდოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონება, თუ რეაბილიტაციის შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან ნებისმიერ მომენტში მოვალე 2-ჯერ ზედიზედ ვერ მოახერხებს სესხის შენატანის გადახდას. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მოხსნის ბანკის უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულ ქონებაზე დაწესებულ მორატორიუმს და საშუალებას მისცემს ბანკს, დაიწყოს აღსრულების ღონისძიებები უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონებაზე.

კონვერსია

რეაბილიტაციის განმავლობაში სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება და რეაბილიტაციის რეჟიმი გაკოტრების რეჟიმით შეცვალოს.

ზოგადად, კანონპროექტი იძლევა კონვერსიის ორ გზას: (1) რეაბილიტაციის რეჟიმი გადადის გაკოტრების რეჟიმში („გაკოტრების კონვერსია“), და (2) გაკოტრების რეჟიმი გადადის რეაბილიტაციის რეჟიმში („რეაბილიტაციის კონვერსია“).

გაკოტრების კონვერსია გაცილებით რთულია, ვიდრე რეაბილიტაციის კონვერსია. უფრო კონკრეტულად, გადახდისუუნარობის დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინება (რეაბილიტაციის რეჟიმის მოთხოვნის საფუძველზე) კრძალავს გადახდისუუნარობის განცხადებას, რომელიც ითხოვს მოვალის გაკოტრების რეჟიმის გააქტიურებას ან, თუ გაკოტრების რეჟიმის მოთხოვნით გაკეთებული გადახდისუუნარობის განცხადება დაკმაყოფილდება, იქამდე უნდა შეჩერდეს, სანამ სასამართლო არ გამოიტანს მოვალის რეაბილიტაციის შესახებ განჩინებას¹⁰⁶. ასეთი კონვერსია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: (1) სასამართლო არ დაამტკიცებს რეაბილიტაციის რეჟიმის მოთხოვნით გაკეთებულ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას, რის შემდეგაც კრედიტორები სასამართლოს მიმართავენ გაკოტრების მოთხოვნით, (2) სასამართლო მიიღებს რეაბილიტაციის განჩინებას, თუმცა არ დაამტკიცებს რეაბილიტაციის გეგმის პროექტს, რის შედეგადაც სასამართლომ შეიძლება მიიღოს გაკოტრების რეჟიმით შეცვლის გადაწყვეტილება¹⁰⁷, (3) რეაბილიტაციის მმართველის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ნათელია, რომ შეუძლებელია რეაბილიტაციის მიზნის შესრულება.

ხარჯები

კანონპროექტის თანახმად, რეაბილიტაციის რეჟიმის უმთავრესი ხარჯებია:

1. სახელმწიფო ბაჟი 5,000 ლარის ოდენობით (დაახლოებით 1,852 აშშ დოლარი)¹⁰⁸;
2. გადახდისუუნარობის ზედამხედველის ხარჯი. კანონპროექტი არ ადგენს ხარჯს. თუმცა იუსტიციის მინისტრის მოქმედი ბრძანების თანახმად, გადახდისუუნარობის ზედამხედველის საფასური შეადგენს მოვალის აქტივების ღირებულების 6%-ს, რაც დაახლოებით 18,519 აშშ დოლარია. ვუშვებთ, რომ ჩვენი ანგარიშისთვისაც ეს თანხა იქნება.
3. რეაბილიტაციის მმართველის საფასური, რაც დადგენილია კანონპროექტის 122.6 მუხლით და ჩვენ შემთხვევაში არ უნდა აჭარბებდეს 21,296 აშშ დოლარს.

¹⁰⁵ იხ. კანონპროექტის 86-ე მუხლი.

¹⁰⁶ იხ. კანონპროექტის 45.1 მუხლი.

¹⁰⁷ იხ. კანონპროექტის 97.1 მუხლი.

¹⁰⁸ იხ. კანონპროექტის 121.3 მუხლი.

დასკვნა

რაც შეეხება დროს, კანონპროექტის თანახმად, რეაბილიტაციის გეგმა უნდა დამტკიცდეს და წარედგინოს სასამართლოს მოვალის მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღიდან მაქსიმუმ 10 თვის განმავლობაში. თუმცა კანონპროექტი მოსამართლეს არ უწყებს წარდგენილი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების ვადას. ამიტომ ვერ ვახერხებთ სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის საბოლოო დამტკიცებისთვის საჭირო დაახლოებითი ვადის განსაზღვრას.

რაც შეეხება ხარჯებს, რეაბილიტაციის რეჟიმის მინიმალური ხარჯი იქნება დაახლოებით 41,667.21 აშშ დოლარი, რაც მოვალის აქტივების 21%-ს შეადგენს.

გაკოტრება კანონპროექტის თანახმად

გაკოტრების ბუნება

გაკოტრების მმართველის („გაკოტრების მმართველი“), როგორც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის, მიზანია კრედიტორების ზედამხედველობის ქვეშ მოვალის ქონების რეალიზაციით დააკმაყოფილოს ყველა კრედიტორის მოთხოვნა, როდესაც შეუძლებელია მოვალის გადარჩენა რეაბილიტაციის გზით.

გაკოტრების დაწყება

გაკოტრების რეჟიმი იწყება სასამართლოსთვის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენით. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, რომ: (1) მოვალე არის გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი და (2) მოვალის გაკოტრების მოთხოვნა და დასაბუთება, რომ გაკოტრება არ მოდის აშკარა წინააღმდეგობაში კრედიტორ(ებ)ის ინტერესებთან¹⁰⁹. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების მოთხოვნით უნდა აკმაყოფილებდეს კანონპროექტის 41-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენისას, განმცხადებელი (თუ იურიდიული პირია) იხდის სახელმწიფო ბაჟს 5,000 ლარის ოდენობით¹¹⁰.

აქ ვუშვებთ, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას წარადგენს ბანკი, რომელიც ითხოვს მოვალის გაკოტრების რეჟიმის დაწყებას. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთება, რომ მოვალე არის გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი და რომ გაკოტრება არ მოდის აშკარა წინააღმდეგობაში კრედიტორ(ებ)ის ინტერესებთან¹¹¹.

სასამართლო არეგისტრირებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას, თუ ის აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. რეგისტრაციის შემდეგ კრედიტორს ეძლევა ორი თვე, მოვალეს წარუდგინოს გაკოტრების შესახებ განცხადება და შესაბამისი მასალები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 70-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად¹¹². გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებამდე, სასამართლო ამოწმებს, არის თუ არა მოვალე გადახდისუუნარო. მხოლოდ ასეთი შემოწმების შემდეგ იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას, მიიღოს თუ არა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება და დაიწყოს გაკოტრების რეჟიმი. სასამართლომ განცხადების დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინება უნდა გამოიტანოს კრედიტორის მიერ მოვალისთვის გაკოტრების შესახებ განცხადებისა და შესაბამისი მასალების წარდგენიდან 10 დღის

¹⁰⁹ იხ. კანონპროექტის 43-ე მუხლი.

¹¹⁰ იხ. კანონპროექტის 121-ე მუხლი.

¹¹¹ იხ. კანონპროექტის 43-ე მუხლი.

¹¹² იხ. კანონპროექტის 44-ე მუხლი.

განმავლობაში¹¹³. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში შეცდომების შემთხვევაში, სასამართლო განმცხადებელს აღნიშნული შეცდომების გამოსასწორებლად აძლევს 5 დღეს¹¹⁴. გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინება დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს და გაეზავნოს საჯარო რეესტრსა და აღსრულების ბიუროს.

სასამართლო უარს იტყვის გაკოტრების შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინების გამოტანაზე, თუ: (1) თუ განცხადება არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და/ან (2) მოვალე არ არის გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაში მყოფი ან (3) მოვალის ქონება ვერ დაფარავს საპროცესო ხარჯებს¹¹⁵.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისთანავე ავტომატურად ამოქმედდება მორატორიუმის ღონისძიებები.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისთანავე სასამართლო ნიშნავს გადახდისუუნარობის ზედამხედველს (აღსრულების ბიუროს). აღსრულების ბიუროს გასცემს თანხმობას მოვალის გარიგებებზე და მოამზადებს კრედიტორთა პირველად რეესტრს¹¹⁶.

შეჯამება: გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების გაკეთებიდან გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ვადა შეიძლება იყოს (1) შვიდი დღე, თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას აკეთებს მოვალე ან (2) ათი დღე, მოვალის მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების მიღებიდან (ჯამში მაქსიმუმ 2 თვე და 10 დღე), თუ აკეთებს კრედიტორი. ამგარად, თუ უზრუნველყოფილი კრედიტორი 2017 წლის 1 თებერვალს გააკეთებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას, სასამართლო 2017 წლის 11 აპრილამდე გამოიტანს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინებას¹¹⁷.

გაკოტრების განჩინება

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან 25 დღის ვადაში გადახდისუუნარობის ზედამხედველი ადგენს გადახდისუუნარობის ანგარიშს მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარუდგენს მას სასამართლოს. აღნიშნულ ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ინფორმაცია მოვალის აქტივებზე, კრედიტორთა პირველადი რეესტრი და სხვა საჭირო ინფორმაცია¹¹⁸. სასამართლომ უნდა განიხილოს და ანგარიშის მიღებიდან 5 დღეში გადაწყვიტოს, დაიწყოს გაკოტრების რეჟიმი თუ შეწყდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

გაკოტრების რეჟიმის დამტკიცების შემთხვევაში, სასამართლო გამოსცემს განჩინებას გაკოტრების რეჟიმის დაწყების შესახებ („გაკოტრების განჩინება“)¹¹⁹. გაკოტრების განჩინება განსაზღვრავს გაკოტრების რეჟიმის მართვისა და მორატორიუმის ღონისძიებებს და ნიშნავს გაკოტრების მმართველს („გაკოტრების მმართველი“). გაკოტრების მმართველმა გაკოტრების რეჟიმის დაწყების

¹¹³ თუ განცხადებას წარადგენს მოვალე, მაშინ სასამართლომ დასაშვებად ცნობაზე განჩინება უნდა გამოიტანოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების მიღებიდან 7 დღის განმავლობაში. კანონპროექტის 44-ე მუხლი განსაზღვრავს კონკრეტულ წესებს მოვალისთვის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენისთვის, როდესაც განცხადებას კრედიტორი წარადგენს.

¹¹⁴ იხ. კანონპროექტის 46.1 მუხლი.

¹¹⁵ იხ. კანონპროექტის 46.5 მუხლი.

¹¹⁶ იხ. კანონპროექტის 48.1 და 48.2 მუხლები.

¹¹⁷ დათვლილია მაქსიმალური დრო, დამატებით გართულბული სცენარებისა და დახარჯული დროის გარეშე.

¹¹⁸ იხ. კანონპროექტის 51-ე მუხლი.

¹¹⁹ იხ. კანონპროექტის 64-ე მუხლი.

თაობაზე განჩინების გამოტანიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია გაკოტრების რეჟიმის დაწყების შესახებ¹²⁰.

შეჯამება: გადახდისუუნარობის დასაშვებად ცნობიდან გაკოტრების რეჟიმის დაწყების თაობაზე განჩინებამდე შეიძლება გავიდეს 30 დღე. ამგვარად, თუ გადახდისუუნარობის დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინება გამოქვეყნდება 2017 წლის 11 აპრილს, რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების თაობაზე განჩინება უნდა გამოქვეყნდეს 2017 წლის 11 მაისს.

გაკოტრების მმართველი

გაკოტრების მმართველი ინიშნება სასამართლოს მიერ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ განჩინებით. გაკოტრების მმართველი უნდა იყოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი.

გაკოტრების მმართველის დანიშვნისთანავე, დირექტორ(ებ)ს უჩერდება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. დირექტორი ვალდებულია, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ითანამშრომლოს გაკოტრების მმართველთან და დახმარება გაუწიოს მას, თუ ამას გაკოტრების მმართველი საჭიროდ მიიჩნევს¹²¹.

კრედიტორთა რეესტრთან ერთად, გაკოტრების მმართველმა უნდა მოიძიოს ინფორმაცია მოვალის ქონებასა და გადახდისუუნარობის მასაზე, გაანაწილოს აქტივები კრედიტორებს შორის და დაიწყოს ქონების რეალიზაცია¹²². გაკოტრების მმართველი ამზადებს ანგარიშს მოვალის ფინანსური მდგომარეობისა და ქონების რეალიზაციის შერჩეული ფორმის შესახებ და აქვეყნებს მას ელექტრონული ფორმით.

შეჯამება: გადახდისუუნარობის დასაშვებად ცნობიდან კრედიტორთა რეესტრის დასრულებამდე ვადა შეიძლება იყოს 60 დღე. ამგვარად, კრედიტორთა რეესტრი დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს, თუმცა კანონპროექტი გაკოტრების მმართველს არ უწევს კონკრეტულ ვადას ქონების რეალიზაციისა და/ან მოვალის ქონებაზე ინფორმაციის მოძიებისთვის.

ქონების რეალიზაცია და მოთხოვნების დაკმაყოფილება, მათ შორის, ხარჯების ანაზღაურება

გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია გადაწყვიტოს გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციის ფორმა. რეალიზაცია შეიძლება მოხდეს აუქციონის ან პირდაპირი გაყიდვის გზით, მოქმედი ბიზნესის სახით ან ნაწილ-ნაწილ (რეალიზაცია უნდა მოხდეს იმ გზით, რომლიდანაც მოსალოდნელია უფრო მეტი თანხის ამოღება)¹²³. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არ ეხება უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონებას, რომლის რეალიზებაც უნდა მოხდეს უზრუნველყოფილ კრედიტორებთან შეთანხმებით (იხ. ქვემოთ)¹²⁴.

გაკოტრების მმართველი ინფორმაციას რეალიზაციის ფორმის შერჩევის თაობაზე აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. კრედიტორ(ებ)ი უფლებამოსილია, მიმართოს გაკოტრების მმართველს ქონების რეალიზაციის ალტერნატიული შეთავაზებით. გადაწყვეტილებას რეალიზაციის (საბოლოო) ფორმის თაობაზე იღებს გაკოტრების მმართველი¹²⁵.

თუ ქონების სხვა გზით რეალიზაცია შეუძლებელია, გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია, მიმართოს ქონების აუქციონის გზით რეალიზაციას. კრედიტორთა უფლებების დაცვის მიზნით,

¹²⁰ იხ. კანონპროექტის მე-100 მუხლი.

¹²¹ იხ. კანონპროექტის 101-ე მუხლი.

¹²² იხ. კანონპროექტის 102-ე მუხლი.

¹²³ იხ. კანონპროექტის 103-ე მუხლი.

¹²⁴ იხ. კანონპროექტის 107-ე მუხლი.

¹²⁵ იხ. კანონპროექტის 103-ე მუხლი.

აუქციონზე ქონების გაყიდვას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო. აუქციონის სერვისის საფასურს ადგენს იუსტიციის მინისტრის ბრძანება და მისი ანაზღაურება ხდება ქონების რეალიზებიდან მიღებული თანხიდან¹²⁶.

აუქციონის ხანგრძლივობა (აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო) არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი¹²⁷. მეტიც, პირველ აუქციონზე საწყისი ფასი განისაზღვრება ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, ამ ქონების საბაზრო ღირებულების 75%. თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია და ქონების საწყისი ფასი კრედიტორთა მოთხოვნებზე ნაკლებია, ნებისმიერ კრედიტორს, რომლის მოთხოვნასაც ფარავს, მაგრამ არ აღემატება პირველ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ქონების საწყისი ფასი, უფლება აქვს, პირველი აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში მიმართოს გაკოტრების მმართველს ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორი ვალდებულია, დაფაროს წინა და იმავე რიგების კრედიტორთა მოთხოვნები.

თუ პირველ აუქციონზე ქონება ვერ გაიყიდა ან არ მოხდა ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა, პირველი აუქციონის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღის და არაუმეტეს 40 დღის ვადაში ტარდება მეორე აუქციონი. მეორე აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ამ ქონების საბაზრო ღირებულების 50%-ს¹²⁸.

თუ მეორე აუქციონზე ქონება ვერ გაიყიდა ან მეორე აუქციონის ჩატარების შემდეგ დარჩა ქონების ნაწილი, მეორე აუქციონის ჩატარებიდან არაუმეტეს 40 დღის ვადაში ტარდება მესამე აუქციონი. მესამე აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს¹²⁹.

თუ მესამე აუქციონზე ქონება ვერ გაიყიდა ან მესამე აუქციონის ჩატარების შემდეგ დარჩა ქონების ნაწილი, აღსრულების ეროვნული ბიურო გამოაქვეყნებს ამ ქონების კრედიტორებისათვის საერთო საკუთრებაში გადაცემის შეთავაზებას. ქონება საკუთრებაში გადაცემამთ იმ კრედიტორებს, რომლებიც შეთავაზების გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარადგინენ განცხადებას ამ ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ. კრედიტორებს ქონება ნატურით გადაეცემათ საბაზრო ღირებულებით¹³⁰.

შეჯამება: აუქციონის გზით ქონების გაყიდვის (აუქციონის სამი რაუნდის) პროცესის მაქსიმალური ვადა უნდა იყოს 120 დღე. პირველი აუქციონის ხანგრძლივობა 10+შუალედი პირველ და მეორე აუქციონს შორის, 40+ შუალედი მეორე და მესამე აუქციონს შორის, 40+მეორე და მესამე აუქციონების ხანგრძლივობა 2*10+10 დღე გადახდისთვის, ჯამში 120 დღე.

მოთხოვნების დაკმაყოფილების თანმიმდევრობა

(ა) არაუზრუნველყოფილი კრედიტორები

ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხებიდან კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა შემდეგია¹³¹.

1. პირველი რიგი: გაკოტრების რეჟიმთან დაკავშირებული ხარჯები კანონით დადგენილი თანმიმდევრობით.

¹²⁶ იხ. კანონპროექტის 103-ე მუხლი.

¹²⁷ იხ. კანონპროექტის 103.4 მუხლი.

¹²⁸ იხ. კანონპროექტის 103.9 მუხლი.

¹²⁹ იხ. კანონპროექტის 103.10 მუხლი.

¹³⁰ იხ. კანონპროექტის 103.11 მუხლი.

¹³¹ იხ. კანონპროექტის 106-ე მუხლი.

2. მეორე რიგი: გადახდისუუნარობის დასაშვებად ცნობით წარმოქმნილი მოვალის ვალი, მათ შორის საგადასახადო ვალდებულებები;
3. მესამე რიგი: კრედიტორთა რეესტრში მითითებული კრედიტორები. რეესტრის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება შემდეგი თანმიმდევრობით: (1) პრეფერენციული მოთხოვნები – გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე 3 თვის სახელფასო და შვებულების ხარჯები, ასევე სამუშაო ტრავმის გამო გადასახადის მოთხოვნები, თითოეულ კრედიტორზე მაქსიმუმ 1000 ლარამდე ოდენობით; (2) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები – გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არაუადრეს 1 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზისა და იმპროტის გადასახადი) თანხა; (3) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, სხვა გადასახადების თანხა; (4) მოთხოვნები, რომელიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები, დარიცხული ჯარიმები/საურავები, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებები; (5) კრედიტორების არაპრივილეგირებული მოთხოვნები, რომლის თაობაზე მოვალე და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდნენ; და (6) კორპორატიული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდის, აქციათა გამოსყიდვის ან შენატანის დაბრუნების ვალდებულებები)¹³².

განაწილება უნდა განხორციელდეს *პროპორციულობის* პრინციპის დაცვით. განაწილების შემდეგ გაკოტრების მმართველმა უნდა შეადგინოს გაკოტრების საბოლოო ანგარიში, რომელიც უნდა წარედგინოს კრედიტორებსა და სასამართლოს და დაამტკიცოს სასამართლომ¹³³.

(ბ) უზრუნველყოფილი კრედიტორები

უზრუნველყოფილი კრედიტორები (ბანკი) არ შედიან კრედიტორთა რეესტრში. ისინი უნდა დაკმაყოფილდნენ უზრუნველყოფით დატივრთული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან¹³⁴. ამ მიზნით, გაკოტრების მმართველი აფასებს გადახდისუუნარობის მასაში შემავალ ქონებას¹³⁵.

უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაცია. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნის შესაბამისად, განახორციელებს უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაციას, თუ სხვაგვარად შეუძლებელია უფრო მეტი თანხის მიღება¹³⁶. გაკოტრების მმართველი რეალიზაციიდან მიღებულ თანხას ჩამოაჭრის 7% პროცენტს, რომელიც შედის გადახდისუუნარობის მასაში.¹³⁷

უზრუნველყოფილი კრედიტორები დაკმაყოფილდებიან შესაბამისი ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

თუ ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე ნაკლებია და კრედიტორები შეთანხმდებიან, უზრუნველყოფილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებელი ნაწილი გადავა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების კატეგორიაში. თუ ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა უზრუნველყოფილი კრედიტორ(ებ)ის მოთხოვნაზე,

¹³² იხ. კანონპროექტის 106-ე მუხლი.

¹³³ იხ. კანონპროექტის 106-ე მუხლი.

¹³⁴ იხ. კანონპროექტის 107-ე მუხლი.

¹³⁵ იხ. კანონპროექტის 102-ე მუხლი.

¹³⁶ იხ. კანონპროექტის 107-ე მუხლი.

¹³⁷ იხ. კანონპროექტის 107-ე მუხლი.

მეტია, უზრუნველყოფილი კრედიტორ(ებ)ის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა შევა გადახდისუუნარობის მასაში¹³⁸.

აქ განვიხილავთ ორ სცენარს:

- (ა) საწარმო (ბიზნესი) აუქციონზე გაიყიდა მოქმედი ბიზნესის სახით;
- (ბ) უზრუნველყოფილი ქონება აუქციონზე გაიყიდა ნაწილ-ნაწილ.

ა. აუქციონზე ბიზნესის გაყიდვა მოქმედი ბიზნესის სახით:

- ბიზნესი გაიყიდა 200,000 აშშ დოლარად მოქმედი ბიზნესის სახით;
- გაკოტრების ხარჯი შეადგენს 39,148 აშშ დოლარს (ამაში შედის სასამართლოს ხარჯი, გაკოტრების მმართველისა და მეურვის საფასური)¹³⁹;
- ბანკი, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორი, მთლიანი მოთხოვნიდან (170,000 აშშ დოლარი) იღებს 120,000 აშშ დოლარს (სასტუმროს მთელი უძრავი ქონების ღირებულებას);
- აქციონერი, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორი, მთლიანი მოთხოვნიდან (50,000 აშშ დოლარი) იღებს 10,000 აშშ დოლარს (სასტუმროს მოძრავი ქონების ღირებულება (ნაწილ-ნაწილ გაყიდვის შემთხვევაში), სატრანსპორტო საშუალებების გამოკლებით);
- პირველი რიგის პრეფერენციული კრედიტორები (ხელფასი) იღებენ მოთხოვნის 100%-ს (20,000 აშშ დოლარს);
- მეორე რიგის პრეფერენციული კრედიტორები (საგადასახადო მოთხოვნა) იღებენ დარჩენილ თანხას (10,852 აშშ დოლარს).

ცხრილი 7. ამოღების დონე სხვადასხვა სცენარის შემთხვევაში

	სცენარი 1	ამოღების დონე %
გაიყიდა	\$	200,000.00
უზრუნველყოფილი კრედიტორები – ბანკი	\$120,000.00	71%
უზრუნველყოფილი კრედიტორები – აქციონერები	\$10,000.00	20%
პრეფერენციული – ხელფასი	\$20,000.00	100%
პრეფერენციული – გადასახადი	\$10,851.85	27%
არაუზრუნველყოფილი	\$-	0
სხვა არაუზრუნველყოფილი	\$-	0
გაკოტრების ხარჯები	\$39,148	100%

წყარო: ავტორების გამოთვლები

ბ. უზრუნველყოფილი ქონება აუქციონზე იყიდება ნაწილ-ნაწილ.

ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი ქონება იყიდება აუქციონზე ნაწილ-ნაწილ 140,000 აშშ დოლარად. გაკოტრების ხარჯები შეადგენს 34,348 აშშ დოლარს. თუმცა გაურკვეველია, როგორ განაწილდება მიღებული თანხა კრედიტორებსა და საპროცესო ხარჯებს შორის.

შეჯამება: კანონპროექტი არ აწესებს, რა ვადაში უნდა შეთანხმდნენ გაკოტრების მმართველი და უზრუნველყოფილი კრედიტორები უზრუნველყოფის ქონების რეალიზაციის ფორმასა და ღირებულებაზე და, თუ ვერ შეთანხმდებიან, რა ვადაში უნდა მიიღოს გაკოტრების მმართველმა

¹³⁸ იხ. კანონპროექტის 107-ე მუხლი.

¹³⁹ მთლიანი ხარჯების ჩაზღაურება: 1,852 აშშ დოლარი (5,000 ლარი) – გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების სახელმწიფო ბაჟი; 21,296 აშშ დოლარი – გაკოტრების მმართველის საფასური; 14,000 აშშ დოლარი აღსრულების ბიუროს მეურვის საფასური; 2,000 აშშ დოლარი – აუქციონის საფასური (მიღებული თანხების 1%).

გადაწყვეტილება. აუქციონის შემთხვევაში, გაურკვეველია, რა ვადაში უნდა შეაფასოს ექსპერტმა ქონება.

უხეში გამოთვლების საფუძველზე, პროცესი უნდა დასრულდეს გაკოტრების რეჟიმის დაწყების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან 4 თვის ვადაში (თუ რეალიზება უნდა მოხდეს აუქციონის გზით). კანონპროექტისა და დაშვებების საფუძველზე, საჭირო იქნება 7 თვე და 10 დღე, ამიტომ მოვალის გაკოტრება უნდა დასრულდეს 2017 წლის სექტემბრის ბოლოსთვის.

გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება

გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისთანავე გაკოტრების მმართველი მოამზადებს და კრედიტორებსა და სასამართლოს წარუდგენს მოვალის გაკოტრების ანგარიშს. აღნიშნული ანგარიშისა და კრედიტორთა ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს მეწარმეთა და არსამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმო გაიყიდა, როგორც მოქმედი ბიზნესი და მისი შემძენი დარეგისტრირდა საწარმოს პარტნიორად¹⁴⁰.

f. ანტიკორუფციული რისკები გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში

ვფიქრობთ, კანონპროექტი შეიცავს გარკვეულ მექანიზმებს, რომლებიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში კორუფციის რისკების თავიდან აცილებას ან შემცირებას ემსახურება. ეს რისკები შეიძლება დადგეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში მონაწილე სხვადასხვა მოთამაშეების შეთანხმებული მოქმედებით. აღნიშნულ რისკებზე საუბარია მომდევნო ქვეთავში.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის შემთხვევითობის პრინციპით დანიშვნა

კანონპროექტის თანახმად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის არჩევა ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით, რის შემდეგაც მას ამტკიცებს სასამართლო. შემთხვევითი შერჩევის პრინციპს შეიძლება ჰქონდეს დადებითი და უარყოფითი მხარეები (მაგალითად, კრიზისში მყოფი საწარმოს კონკრეტული მახასიათებლები შეიძლება არ ემთხვეოდეს შერჩეული პრაქტიკოსის კვალიფიკაციებს), მაგრამ ამავდროულად, ეს უზრუნველყოფს პრაქტიკოსის კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას, რადგან შერჩევის პროცესზე გავლენას ვერ მოახდენენ კრედიტორები. ეს მნიშვნელოვანი წინსვლაა მოქმედ კანონთან შედარებით, რომლის თანახმადაც გაკოტრების და რეაბილიტაციის მმართველს ნიშნავენ კრედიტორები.

რომ შევაჯამოთ, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის შერჩევის წარდგენილი მოდელი უზრუნველყოფს, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი იქნება მიუკერძოებელი, დაიცავს კრიზისში მყოფი საწარმოსა და ყველა კრედიტორის ინტერესებს და არ გაატარებს კრედიტორთა გარკვეული ჯგუფის ვიწრო ინტერესებს.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურების შეზღუდვები

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურებაზე შეზღუდვების დაწესება დაიცავს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის არასასურველი ზემოქმედებისგან. კანონპროექტში მოცემულია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურების ზღვრული დონე, რაც არის ფიქსირებული და დამოკიდებულია გადახდისუუნარობის მასის ღირებულებაზე. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, სასამართლომ შეიძლება

¹⁴⁰ იხ. კანონპროექტის 108-ე მუხლი.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს დაუწესოს დადგენილ ზღვარზე მეტი ან ნაკლები ანაზღაურება. ამ თვალსაზრისით, კანონპროექტი ირჩევს მოქმედი კანონისგან განსხვავებულ მიდგომას. მოქმედი კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურებას განსაზღვრავს კრედიტორთა უმრავლესობა და ასეთი ანაზღაურების ოდენობა არ არის შეზღუდული კანონით.

კანონპროექტით ანაზღაურების წარდგენილი რეგულაცია კრედიტორებს ართმევს გარკვეულ ბერკეტს, გავლენა მოახდინონ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ქცევაზე და უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკოსი მიუკერძოებლად და ობიექტურად იმოქმედებს.

საწარმოს გაკოტრების/რეაბილიტაციის შესახებ განჩინება

კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომელმაც შეიძლება შეამციროს კორუფციის რისკი, არის კანონპროექტის დებულება, რომლის თანახმადაც, საბოლოო გადაწყვეტილებას გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებაზე იღებს სასამართლო. მოქმედი კანონით, მომრიგებელი საბჭო (რომელშიც შედის კრედიტორების მიერ დასახელებული წევრები) იღებს გადაწყვეტილებას, გადახდისუუნარობის რომელი საქმის წარმოება ეხება კრიზისში მყოფ საწარმოს. კანონპროექტი განსხვავებულ მიდგომას ირჩევს და საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილებას მოსამართლეს ანიჭებს. მეტიც, კანონპროექტი ადგენს კრიტერიუმების, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ. ეს კრიტერიუმები ეყრდნობა ეკონომიკურ და არა ნომინალურ ან მკაცრად სამართლებრივ ფაქტორებს და ადგენს რა თანხას მიიღებდა კრედიტორი მისი მოთხოვნის გაკოტრების (ქონების გაყიდვით) ან რეაბილიტაციის რეჟიმით დაკმაყოფილების შემთხვევაში.

რომ შევაჯამოთ, შეიძლება დავუშვათ, რომ კრიზისში მყოფი საწარმოს გაკოტრების და რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სასამართლოსთვის გადაცემამ და ამ უფლებამოსილებით სარგებლობისთვის კრიტერიუმების შემოღებამ შეიძლება შეამციროს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში შეთანხმებით მოქმედების რისკი. მზარდი გაურკვევლობასა და საკანონმდებლო სისტემაში განჭვრეტადობის გაზრდასთან ერთად, ეს დაეხმარება ქვეყნის წინსვლასა და ევროკავშირის დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ, 16.5 ამოცანის შესრულებას, რომლის მიზანია კორუფციისა და ქრთამის აღების პრაქტიკის ეფექტური შემცირება, რისთვისაც საჭიროა ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე.

გ. მდგრადი განვითარების მიზნები

წარდგენილმა ცვლილებებმა საკანონმდებლო ჩარჩოში მთელი რიგი პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა უნდა მოახდინოს მდგრადი განვითარების მიზნებზე. მთავარი მიზანი ის არის, რომ ინიციატივა ხელს შეუწყობს მე-8 მიზნის (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა) და უფრო კონკრეტულად 8.1¹⁴¹ და 8.3¹⁴² ამოცანების, მე-9¹⁴³ მიზნის (ინდუსტრია, ინოვაციები და ინფრასტრუქტურა) 9.3 ამოცანის შესრულებას. როგორც ნაწილი II-შია ნახსენები, პოზიტიური კორელაციაა ქვეყნის გადახდისუუნარობის ჩარჩოს სიძლიერესა და ამ მიზნებში აღებულ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგების შორის. ნაშრომის მეორე ნაწილში ჩვენ ვთვლით შემოთავაზებული კანონმდებლობის მოსალოდნელ შედეგებს ეკონომიკურ ზრდასა და

¹⁴¹ ქვეყნის ვითარების გათვალისწინებით ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება, კერძოდ, მინიმუმ მთლიანი შიდა პროდუქტის 7%-იანი წლიური ზრდა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

¹⁴² განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ვარიანტების ხელშეწყობა, რომლებიც ხელს უწყობს პროდუქტულ საქმიანობას, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, მეწარმეობას, შემოქმედებითობასა და ინოვაციებს, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების გაჩენასა და ზრდას, მათ შორის, მათთვის ფინანსურ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფით.

¹⁴³ მცირე ზომის ინდუსტრიული და სხვა საწარმოებისთვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის, ხელმოსაწვდომ კრედიტებზე, წვდომის გაზრდა და მათი ჩართვა ღირებულებათა ჯაჭვებსა და ბაზრებში.

დასაქმებაზე. ძირითადი არხი, რითიც გადახდისუუნარობის ჩარჩო ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენას ახდენს არის ფინანსური ბაზრის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი კატალიზატორია ეკონომიკური პროგრესის, სამრეწველო განვითარებისა და ინოვაციების.

წარდგენილი კანონპროექტი ხელს შეუწყობს ძლიერი ინსტიტუტების შექმნას, მათ შორის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში სასამართლოს პოზიციის გაძლიერებას მისი უფრო ფართო უფლებამოსილებების გათვალისწინებით. აღნიშნული კი უზრუნველყოფს გაეროს 2030 დღის წესრიგის მე-16 მიზნის (მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები) შესრულებას (16.6¹⁴⁴ ამოცანა).


მე-12 გრაფიკზე წარმოდგენილია ჩვენი შეფასება, დაახლოებით რა მასშტაბის გავლენას მოახდენს კანონპროექტი თითოეული მიზნის შესრულებაზე¹⁴⁵. მიზნის გვერდით რიცხვი აღნიშნავს ამოცანას, რომელზეც ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს კანონპროექტი. მართალია, სხვა მიზნებზე პირდაპირი გავლენა არ არის მოსალოდნელი, მაგრამ არაპირდაპირი სარგებელი გრძელვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს ბრძოლას უთანასწორობის, სიღარიბისა და შიმშილის წინააღმდეგ უფრო ძლიერი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ინსტიტუტების მეშვეობით.

გარემოსდაცვით მდგრადობაზე შესაძლო გავლენა ძირითადად არაპირდაპირია. გაზრდილმა ეკონომიკურმა საქმიანობამ და ინდუსტრიალიზაციამ შესაძლოა გაზარდოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედება (Global Footprint Network, 2007 წ.), გაუმჯობესებული სამართლებრივი და საკანონმდებლო ჩარჩო წახალისებს ეკოლოგიურად და სოციალურად უფრო მეტად პასუხისმგებელ კორპორატიულ მმართველობას. ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვისას მხოლოდ ეკონომიკურ საზომებს არ შევხედოთ, ვმართოთ კომპრომისები და ხელი შევუწყოთ მიზნებს შორის სინერგიებს.

¹⁴⁴ ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე.

¹⁴⁵ მდგრადი განვითარების მიზნებზე კანონპროექტის ზემოქმედების ღონისძიებების შეფასების მიზნით, ეროვნულ დონეზე დამტკიცებული ამოცანები დავალაგეთ 0-დან 10-მდე შკალაზე და ამოცანის მაქსიმალური მნიშვნელობა დავაკავშირეთ შესაბამის მიზანთან. მაგალითად, 8.3 ამოცანას მიენიჭა მაქსიმალური 10 ქულა, რაც ყველაზე მაღალი შედეგია მე-8 მიზნის ამოცანებში, შესაბამისად, მე-8 მიზანს მიენიჭა 10 ქულა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ამოცანებმა 10 ქულაზე ნაკლები მიიღო.

გრაფიკი 4. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები



C. რაოდენობრივი ანალიზი

a. ბიზნესის კეთების ინდიკატორები

ამ თავში ჩვენ ვაკეთებთ პროგნოზს, რა იქნება საქართველოს შედეგი გადახდისუნარობის ჩარჩოს სიძლიერეზე, რაც ამჟამად 11 ქულაა. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ქულა 14-მდე გაიზრდება. ცალკეული ინდიკატორების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-8 ცხრილში. ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი მოსალოდნელია რეორგანიზაციის საქმის წარმოების ინდექსში, რომელშიც ამჟამად საქართველო სამი შესაძლო ქულიდან 0-ს იღებს.

ცხრილი 8. ბიზნესის კეთების გადახდისუნარობის ინდიკატორი საქართველოსთვის (პროგნოზი)

გადახდისუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს სიძლიერის ინდექსი		14	
საქმის წარმოების დაწყების ინდექსი		3	მუხლი
შეუძლიათ მოვალეებს დაიწყოთ როგორც ლიკვიდაციის, ისე რეორგანიზაციის საქმის წარმოება?	მოვალეებს შეუძლიათ დაიწყოთ ორივე სახის საქმის წარმოება	1	41.2
	შეუძლიათ დაიწყოთ მხოლოდ ერთი სახის პროცედურა (ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია)	0.5	
	არ შეუძლიათ გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყება	0	
შეუძლიათ კრედიტორებს დაიწყოთ როგორც ლიკვიდაციის, ისე რეორგანიზაციის საქმის წარმოება?	კრედიტორებს შეუძლიათ დაიწყოთ ორივე სახის საქმის წარმოება	1	41.2
	შეუძლიათ დაიწყოთ მხოლოდ ერთი სახის პროცედურა (ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია)	0.5	
	არ შეუძლიათ გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყება	0	
რა სტანდარტი გამოიყენება გადახდისუნარობის საქმის წარმოების დასაწყებად?	გამოიყენება ლიკვიდობის ტესტი (მოვალეს არ შეუძლია ვალის გადახდა)	1	
	გამოიყენება საბალანსო უწყისი (მოვალის ვალდებულებები აჭარბებს მის აქტივებს)	0.5	
	ხელმისაწვდომია როგორც ლიკვიდობის ტესტი, ისე საბალანსო უწყისები, თუმცა გადახდისუნარობის საქმის წარმოების დასაწყებად მხოლოდ ერთია საჭირო	1	6.3
	ორივე ტესტი სავალდებულოა	0.5	
	გამოიყენება სხვადასხვა ტესტი	0	
მოვალის აქტივების მართვის ინდექსი		6	
შეუძლია მოვალეს (ან მისი სახელით მოქმედ გადახდისუნარობის წარმომადგენელს) გააგრძელოს მოვალის გადარჩენისთვის მნიშვნელოვანი კონტრაქტების შესრულება?	კი	1	58.c
	კონტრაქტის გაგრძელება შეუძლებელია ან კანონში ამ საკითხთან დაკავშირებით ჩანაწერები არ არის.	0	

შეუძლია მოვალეს (ან მისი სახელით მოქმედ გადახდისუუნარობის წარმომადგენელს) შეწყვიტოს დამამძიმებელი კონტრაქტები?	კი	1	58(d)
	კონტრაქტების შეწყვეტა შეუძლებელია	0	
შესაძლებელია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე ძალაში შესული იმ გარიგებების აცილება საქმის წარმოების დაწყების შემდეგ, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს ერთ ან რამდენიმე კრედიტორს?	კი	1	67.1.c
	ასეთი გარიგებების აცილება შეუძლებელია	0	
შესაძლებელია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე ძალაში შესული ღირებულებაზე დაბალი ოდენობის გარიგებების აცილება საქმის წარმოების დაწყების შემდეგ?	კი	1	67.1.c
	ასეთი გარიგებების აცილება შეუძლებელია	0	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოში შედის კონკრეტული დებულებები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოვალეს (ან მისი სახელით მოქმედ გადახდისუუნარობის წარმომადგენელს), გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ, მიიღოს საქმის წარმოების პროცესში ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსები.	კი	1	77.5.d
	დაწყების შემდგომი დაფინანსების მოპოვება შეუძლებელია ან კანონი არ შეიცავს საკითხთან დაკავშირებულ დებულებებს	0	
აქტივების განაწილებისას დაწყების შემდგომ ფინანსებს ენიჭება უპირატესობა რიგით არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით?	კი	1	82.2
	დაწყების შემდგომ დაფინანსებას ენიჭება პრიორიტეტი ყველა (უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ) კრედიტორთან შედარებით	0.5	
	დაწყების შემდგომ დაფინანსებას არ ენიჭება არავითარი უპირატესობა	0	
რეორგანიზაციის საქმის წარმოების ინდექსი		3	
რეორგანიზაციის გეგმას ხმას აძლევენ მხოლოდ კრედიტორები, რომელთა უფლებებსაც ცვლის ან გავლენას ახდენს აღნიშნული გეგმა?	კი	1	84.6
	ყველა კრედიტორი აძლევს ხმას გეგმას, მიუხედავად იმისა, რა გავლენას ახდენს მის ინტერესებზე	0.5	
	კრედიტორები არ აძლევენ ხმას გეგმას ან რეორგანიზაცია არ არის შესაძლებელი	0	

გეგმაზე ხმის მიცემის უფლების მქონე კრედიტორები იყოფიან კლასებად, თითოეული კლასი ხმას აძლევს ცალ-ცალკე და კლასში შემავალი კრედიტორების მიმართ მოქმედებს თანაბარი მოპყრობის პრინციპი?	კენჭისყრის პროცედურა მოიცავს სამივე ნიშანს	1	84.7
	კენჭისყრის პროცედურა არ მოიცავს ამ სამ პუნქტს ან რეორგანიზაცია შეუძლებელია	0	
გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო მოითხოვს, რომ უარზე მყოფმა კრედიტორებმა რეორგანიზაციის გეგმით ზუსტად იმდენი მიიღებონ, რამდენსაც მიიღებდნენ ლიკვიდაციის დროს?	კი	1	85.2
	ასეთი დებულება არ არსებობს ან რეორგანიზაცია შეუძლებელია	0	
კრედიტორის მონაწილეობის ინდექსი		2	
კრედიტორები ნიშნავენ ან ამტკიცებენ გადახდისუუნარობის წარმომადგენელს, ამტკიცებენ ან უარყოფენ გადახდისუუნარობის წარმომადგენლის დანიშვნას.	კი	1	
	არა	0	11.1&11.2
კრედიტორები ამტკიცებენ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას მოვალის მნიშვნელოვანი აქტივების გაყიდვას.	კი	1	
	არა	0	77.5.c
ცალკეულ კრედიტორს აქვს უფლება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას გადახდისუუნარობის წარმომადგენლისგან გამოითხოვოს ან ოფიციალური ჩანაწერების შესწავლის შედეგად ჰქონდეს წვდომა მოვალის ფინანსურ ინფორმაციაზე.	კი	1	49.2
	არა	0	
ცალკეულ კრედიტორებს შეუძლიათ გასაჩივრონ სასამართლოს განჩინება ან გადახდისუუნარობის წარმომადგენლის გადაწყვეტილება, რათა დაამტკიცონ ან უარყონ მოვალის წინაშე არსებული მისი ან სხვა კრედიტორების მოთხოვნები?	კი	1	55.1
	არა	0	

წყარო: ავტორების გამოთვლები


b. ეკონომიკური გავლენები

ბოლო წლებში სწრაფად იზრდება აკადემიური ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც ძლიერ ურთიერთდამოკიდებულებას ხედავენ ეკონომიკურ შედეგებსა და ინსტიტუციურ ხარისხს, მათ შორის კრედიტორების დაცვის პრაქტიკას შორის. მე-2 გრაფიკზე ჩანს დადებითი კორელაცია ეკონომიკურ კეთილდღეობასა და გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს შორის, რომელსაც ზომავს გადახდისუუნარობის გარემოს შეფასების ინდექსის საუკეთესო მაჩვენებელამდე დაშორების იდინაკატორი.

ერთ სულ მოსახლეზე მაღალი მშპ-ის მქონე ქვეყნები ახლოს არიან გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს საუკეთესო მაჩვენებელთან. მართალია, ემპირიული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა რთულია, თუმცა ვიცით, რომ გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო უაღრესად მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრის განვითარებისთვის. ფინანსური ბაზრები კი, თავის მხრივ, ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი კატალიზატორია. აღნიშნული თავის დანარჩენ ნაწილში მიმოხილულია ოთხი ტიპის ლიტერატურა, რომელიც ეხება გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის ეფექტს: (1) გადახდისუუნარობის

საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის გავლენა კაპიტალისა და კრედიტების ბაზრებზე; (2) გადახდისუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის გავლენა საწარმოების დაფინანსების პირობებზე; (3) გადახდისუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის გავლენა მეწარმეობასა და საწარმოების დაფუძნებაზე; (4) გადახდისუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის გავლენა მაკროეკონომიკურ შედეგებზე.

გრაფიკი 5. DTF-სა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის შორის კორელაციის ანალიზი



წყარო: მსოფლიო ბანკი

გადახდისუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის გავლენა კაპიტალისა და კრედიტების ბაზრებზე

ლა პორტა და მისი თანაავტორები (La Porta et al., 1997) სწავლობენ ფინანსური განვითარების იმ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რომელიც აქცენტს აკეთებს საკანონმდებლო გარემოსა და ფინანსურ ბაზრებს შორის კავშირზე. 49 ქვეყნიდან აღებული ნიმუშის გამოყენებით ავტორებმა დაადგინეს, რომ ღარიბი ინვესტორების დაცვა (სამართლებრივი რეგულაციებისა და კანონის აღსრულების ხარისხი) იწვევს შედარებით მცირე და ვიწრო კაპიტალის ბაზრებს. შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყნის სამართლებრივი წარმოშობა მნიშვნელოვანია. კერძოდ, სამოქალაქო სამართლის მქონე ქვეყნებს აქვთ ინვესტორების ყველაზე სუსტი დაცვა და, შესაბამისად, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ფინანსური ბაზრები, საერთო სამართლის მქონე ქვეყნებთან შედარებით.

ჯანკოვა და თანაავტორებმა (Djankov et al., 2008) 88 ქვეყნის მონაცემების გამოყენებით შეისწავლეს ვალის აღსრულების პროცედურების ეფექტიანობა. ავტორებმა წარმოადგინეს გადახდისუნარო საწარმოს ერთი და იგივე შემთხვევის ანალიზი თითოეული ქვეყნისთვის და შეაგროვეს პასუხები, ვალის აღსრულების რა პროცედურა (აღსრულება, ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია) გამოიყენება. პასუხებმა აჩვენა, რომ თითქმის თანაბარი რაოდენობის ქვეყნები იყენებს აღსრულებას, ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციას ასეთ საწარმოებისთვის. პასუხების საფუძველზე დაანგარიშდა შერჩეული პროცედურების დრო და ხარჯები და პროცედურის ეფექტიანობა თითოეული ქვეყნისთვის. ანალიზი იყენებს ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ეკონომიკურ და საკანონმდებლო მახასიათებლების შესახებ მონაცემებსაც.

ავტორებმა დაადგინეს, რომ საშუალოდ ყველა პროცედურა საკმაოდ დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს და არაეფექტიანია. არაეფექტიანობა გამოწვეულია გაჭიანურებებით, მაღალი ადმინისტრაციული ხარჯებითა და სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების ნაწილ-ნაწილ გაყიდვით. საწარმოს, როგორც მოქმედი ბიზნესის შენარჩუნების ეფექტური მაჩვენებელი მხოლოდ 36%-ია. საშუალოდ საწარმოს ღირებულების 48% იკარგება ვალის აღსრულებისას. პროცედურებს შორის ეფექტიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვაობა არაა. ვალის აღსრულების ეფექტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორებია ქვეყნის სამართლებრივი წარმოშობა და შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. საშუალოდ, საერთო სამართლის მქონე ქვეყნებს ვალის აღსრულების ეფექტიანობის უფრო მაღალი ქულა აქვთ, ვიდრე გერმანული ან ფრანგული სამართლის წარმოშობის მქონე ქვეყნებს. მდიდარი ქვეყნები გაცილებით ეფექტიანები არიან ვალის აღსრულების თვალსაზრისით და უფრო ხშირად ინარჩუნებენ საწარმოს, როგორც მოქმედ ბიზნესს. თუმცა რიგ შემთხვევებში მდიდარი ქვეყნებიც კი (მაგალითად, საფრანგეთი და იტალია) ვერ ახერხებენ ეფექტიანი შედეგების მიღებას. მაღალი ეფექტიანობის ქულის მქონე ქვეყნებს უფრო მაღალი კერძო ვალი აქვთ მშპ-სთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღსრულების ეფექტიანი რეჟიმი ხელს უწყობს საკრედიტო ბაზრის ზრდას.

არაუჯომ და მისმა თანაავტორებმა (Araujo et al, 2012) შეაფასეს ბრაზილიაში 2005 წელს ჩატარებული გაკოტრების საქმის წარმოების რეფორმის შედეგები. რეფორმამდე ბრაზილიის გაკოტრების საქმის წარმოების კანონმდებლობას რამდენიმე ხარვეზი ჰქონდა, მათ შორის კრედიტორების სუსტი დაცვა, ლიკვიდაციის დრო და კრედიტორების მწირი გავლენა რეორგანიზაციის პროცედურებზე. ახალი კანონმდებლობის მიზანი აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა იყო. ბრაზილიური და არაბრაზილიური საწარმოების მონაცემების გამოყენებით ავტორებმა შეაფასეს რეფორმის ეფექტი საკრედიტო ბაზრების განვითარებაზე. რეფორმამდე ბრაზილიაში საშუალო კერძო კრედიტის შეფარდება მშპ-სთან 9.36% იყო, რეფორმის შემდეგ კი მაჩვენებელი 12.88%-მდე გაიზარდა. რეფორმამ მნიშვნელოვნად გაზარდა ვალის საერთო მოცულობა და გრძელვადიანი ვალი, თუმცა ვალის ფინანსირების ხარჯი 7.8-16.8%-ით შემცირდა, მოდელის სპეციფიკაციების გათვალისწინებით. ანალოგიურად, მთელი რიგი ემპირიული ლიტერატურის თანახმად, ეფექტური გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონმდებლობა და კრედიტორების უფლებები ხელს უწყობს ფინანსებზე წვდომას და ამცირებს სესხების ხარჯებს¹⁴⁶.

გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის გავლენა საწარმოების დაფინანსების პირობებზე

დავიდენკო და ფრენკსი (Davydenko & Franks, 2008) სწავლობენ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს უზრუნველყოფილი კრედიტორებისადმი განსხვავებული დამოკიდებულების ეფექტს კრედიტის პირობების მიხედვით. მათ გამოიყენეს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ბანკების მონაცემებს უზრუნველყოფით გაცემულ სესხებზე და დაადგინეს, რომ არასასურველი გაკოტრების საქმის წარმოების დებულებები კრედიტორებს აიძულებს, მოითხოვონ მეტი უზრუნველყოფა. ავტორები ამტკიცებენ, რომ ფრანგული გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონი ყველაზე ნაკლებად მოქნილია კრედიტორებისთვის, გერმანულ და ინგლისურ კანონებთან შედარებით.

ფერანდომ და მისმა თანაავტორებმა (Ferrando et al , 2015) შეისწავლეს, რა გავლენას ახდენს საწარმოს მიერ კრედიტის აღების აღბათობაზე კრედიტორების დაცვის სიძლიერე, საკუთრების უფლებების სიძლიერე, დავების გადაწყვეტის დრო და ხარჯები. ევროპის 11 ქვეყნის თითქმის 50,000 საწარმოს

¹⁴⁶ გამოკითხვის სანახავად იხ. არმორი და თანაავტორები (Armour et al (2015)).

მონაცემების გამოყენებით ავტორებმა დაადგინეს, რომ საწარმოს მიერ კრედიტის მიღების ალბათობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო მცირეა დავების გადაწყვეტისთვის საჭირო დრო და ხარჯები. საკუთრების უფლებების სიძლიერე და კრედიტორების დაცვა ზრდის კრედიტებზე წვდომის ალბათობას. გაირკვა, რომ შესწავლილი ნიმუშისთვის კრედიტის მოპოვების ალბათობა 40%-ით მაღალია უკეთესი სასამართლო სისტემის მქონე ქვეყნებში.

გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის გავლენა მეწარმეობასა და საწარმოების დაფუძნებაზე

ითვლება, რომ მეწარმეობა და ახალი საწარმოს დაფუძნება ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელია. სულ უფრო მეტი ეკონომიკური ნაშრომი საუბრობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონსა და მეწარმეობას შორის პირდაპირ კავშირზე. ლიმ და მისმა თანაავტორებმა (Lee et al, 2011) 19 წლის განმავლობაში დაგროვილი 29 ქვეყნის მონაცემების გამოყენებით დაითვალეს ახალი საწარმოს შესვლის მაჩვენებელი, რათა პასუხი გაეცათ კითხვაზე, განსხვავებები გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონში ახდენს თუ არა გავლენას მეწარმეობის განვითარებაზე. ავტორებმა დაადგინეს, რომ მეწარმეობაზე მორგებული გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონი მნიშვნელოვან კორელაციაშია მეწარმეობის განვითარების დონესთან. კერძოდ, ავტორები ხაზს უსვამენ მეწარმეობაზე მორგებული გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის შემდეგ კომპონენტებს: (1) გაკოტრების პროცედურაზე დახარჯული დრო; (2) გაკოტრების პროცედურის ხარჯები; (3) თავიდან დაწყების შესაძლებლობა ლიკვიდაციით გზით გაკოტრების შემთხვევაში; (4) აქტივების ავტომატურად შენარჩუნების შესაძლებლობა; და (5) გაკოტრების შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ მმართველებისთვის სამსახურის შენარჩუნების შესაძლებლობა.

კარცა და მისი თანაავტორები (Carcea et al, 2015) იკვლევენ გადახდისუუნარობის წინარე საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანობას ვალის რესტრუქტურისადრეულ ეტაზე და მის გავლენას მეწარმეობაზე. ავტორებმა დაადგინეს, რომ ეფექტიანი გადახდისუუნარობის წინარე საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ხელს უწყობს ვალის რესტრუქტურისადრეულ ეტაზე წარმოების ადრეულ დაწყებას არაფორმალური, სასამართლოს გარეთ მოლაპარაკების გზით, ზრდის ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოს გადარჩენის შანსს და ამარტივებს მეწარმეობას (თვითდასაქმების მაჩვენებლის მიხედვით) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში.

გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმის გავლენა მაკროეკონომიკურ შედეგებზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯანკოვმა და მისმა თანაავტორებმა (Djankov et al, 2008) დაადგინეს, რომ ვალის აღსრულების ეფექტიანობა მჭიდრო კორელაცია ქვეყნის შემოსავალთან ერთ სულ მოსახლეზე. მდიდარ ქვეყნებს უფრო ეფექტური შედეგები აქვთ ვალის აღსრულებაში და მეტი შანსი აქვთ, შეინარჩუნონ საწარმო მოქმედი ბიზნესის სახით. ანალოგიურად, ეთგო-ის წევრი 29 სახელმწიფოს მონაცემების გამოყენებით სმრცკამ და მისმა თანაავტორებმა (Smrcka et al, 2014) დაადგინეს, რომ, რაც უფრო მაღალია მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მით ეფექტურია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

AFME-ის 2016 წლის ანგარიშმა შეაფასა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის ევროკავშირთან ჰარმონიზების პოტენციური ეკონომიკური გავლენა და დაადგინა გადახდისუუნარობის რეჟიმსა და ქვეყნის ეკონომიკურ შედეგებს შორის კავშირი. თავდაპირველად, ანგარიში ევროკავშირში ფინანსური ბაზრების მუშაობაზე გადახდისუუნარობის რეჟიმის გავლენის შეფასებისთვის იყენებს ობლიგაციების ფასდადების მოდელს. კერძოდ, შესწავლილია ამოღების დონის ეფექტი (მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიში) კორპორატიული ობლიგაციების სპრედებზე (სხვაობა ობლიგაციის განაკვეთი და ურისკო პროცენტი). შემდეგ, ფინანსური ბაზრის

მუშაობა დაკავშირებულია მაკროეკონომიკურ ცვლადებთან და გამოვლინდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონის რეფორმის ეფექტი ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე. ანგარიშის უმთავრესი დასკვნებია: ამოღების დონე 10 პროცენტული პუნქტით გაზრდა უკავშირდება ობლიგაციების სპრედის 0.37 პროცენტული პუნქტით შემცირებას, რაც გვაფიქრებინებს, რომ უკეთესი გადახდისუუნარობის რეჟიმის მქონე ევროკავშირის ქვეყნებში სესხის აღების ხარჯები ნაკლებია. ქვეყნისთვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინების შემდეგ, ამოღების დონის 10 პროცენტული პუნქტით გაზრდა უკავშირდება ობლიგაციების სპრედის 0.18 პროცენტული პუნქტით შემცირებას და ეფექტი მნიშვნელოვანია 1%-ზე. ანგარიშის შეფასებით, თუ ევროკავშირის ყველა ქვეყანა მიაღწევს 85% ამოღების დონეს, ევროკავშირის მშპ წელიწადში 41-78 მილიარდი ევროთი, დასაქმება კი 600,000-1.2 მილიონით გაიზრდება.

მოდელის აღწერა

ამ ნაწილში საუბარია იმ მიდგომაზე, რომელსაც ვიყენებთ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის რეფორმის ეკონომიკური შედეგების შეფასებისთვის.

ჩვენ ვიყენებთ ბიზნესის კეთების გადახდისუუნარო საწარმოს შემთხვევის ანალიზს და ვამტკიცებთ, რომ საწარმოს რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან აღსრულების საქმის წარმოების ალბათობა დამოკიდებულია გადახდისუუნარობის რეჟიმის მახასიათებლებზე. მულტინომიული ლოჯიტის მოდელი გამოთვლები, რომელშიც დამოკიდებული ცვლადი არის გადახდისუუნარობის შედეგის ალბათობა (რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან აღსრულება), საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ მოდელით მიღებული მნიშვნელობები საქართველოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის რეფორმამდე და მის შემდეგ შედეგების ალბათობისთვის. ალბათობების გამოთვლის შემდეგ, შეგვიძლია დავადგინოთ რეფორმის ეფექტი უზრუნველყოფილი კრედიტორების ამოღების დონეზე. დაბოლოს, ჩვენ ვითვლით რეფორმის ეფექტს მშპ-სა და დასაქმებაზე AFME-ის 2016 წლის ანგარიშში გამოყენებული მექანიზმების მიხედვით.

უფრო დეტალურად რომ აღვწეროთ მოდელი, $p_{ij} = pr(\text{შედეგი}_i = j)$ არის ალბათობა, რომ გადახდისუუნარო საწარმო ქვეყანაში i იღებს გადახდისუუნარობის შედეგს j , სადაც $j \in \{\text{რეორგანიზაცია} = 1; \text{ლიკვიდაცია} = 2; \text{აღსრულება} = 3\}$. ამის შემდეგ შეგვიძლია შევადგინოთ ზოგადი მულტინომიული ლოჯიტის მოდელი:

$$\ln\left(\frac{p_{i1}}{p_{i3}}\right) = \beta_{01} + B_1 X_i \quad (1)$$

$$\ln\left(\frac{p_{i2}}{p_{i3}}\right) = \beta_{02} + B_2 X_i \quad (2),$$

სადაც, X_i აერთიანებს ქვეყნის დამოუკიდებელი ცვლადების მნიშვნელობებს i რომლებიც გავლენას ახდენს გადახდისუუნარობის შედეგებზე. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ $\ln\left(\frac{p_{i1}}{p_{i2}}\right)$ -ის მნიშვნელობა (2)ისთვის (1)ის გამოკლებით.

გადახდისუუნარობის შესახებ არსებული ლიტერატურის საფუძველზე, გადახდისუუნარობის შედეგებში არსებული ქვეყნებს შორის სხვაობების ასახსნელად ჩვენ ვიყენებთ შემდეგ დამოუკიდებელ ცვლადებს: გადახდისუუნარობის პროცედურის დრო, გადახდისუუნარობის პროცედურის ხარჯი, გადახდისუუნარობის ჩარჩოს სიძლიერის ქვე-ინდექსების – საქმის წარმოების დაწყების ინდექსი, მოვალის აქტივების მართვის ინდექსი, რეორგანიზაციის საქმის წარმოების ინდექსი და კრედიტორის მონაწილეობის ინდექსი; ქვეყნის სამართლებრივი წარმოშობა; ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე.

შეფასების მეორე ეტაპია საწარმოს, როგორც მოქმედი ბიზნესის შენარჩუნების ან გაყიდვის და ნაწილ-ნაწილ გაყიდვის ალბათობები. საქართველოში ბიზნესის კეთების ინდიკატორების მიხედვით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ლიკვიდაციის შედეგის მიღწევის შემდეგ, საწარმო გაიყიდება მოქმედი ბიზნესის სახით. მოსალოდნელია, რომ რეფორმის ერთადერთი ეფექტი ამ შედეგზე იქნება მოვალის ქონების რეალიზაციის დამატებითი ვარიანტების შემოღება. ვფიქრობთ, საწარმო გაიყიდება ნაწილ-ნაწილ, თუ არ დაიწყება რეაბილიტაციის რეჟიმი, შესაბამისად, მოქმედი ბიზნესის ალბათობა დამოკიდებულია რეაბილიტაციის ალბათობაზე, რომელსაც ახლა დავიანგარიშებთ.

ამოღების დონის დასაანგარიშებლად ვიყენებთ ჯანკოვისა და მისი თანაავტორების (2008 წ.) მიერ შემოღებულ და ბიზნესის მეთოდოლოგიის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიებს:

$$R_{gc} = \frac{(100 - cost - 0.2 * 0.25 * t)}{(1+r)^t}; \quad R_{liq} = \frac{(70 - cost - 0.2 * 0.25 * t)}{(1+r)^t} \quad (3)$$

სადაც, R_{gc} არის საწარმოს ამოღების დონე რეაბილიტაციის რეჟიმის შემთხვევაში ან სხვა შედეგების დროს მოქმედი ბიზნესის სახით გაყიდვის შემთხვევაში, რა შემთხვევაშიც ღირებულების 100% შენარჩუნებულია, თუმცა ფორმულა ითვალისწინებს აქტივების გაუფასურებას და საქმის დასრულებისთვის საჭირო დროს. საბოლოო ღირებულებას აკლდება გასესხების განაკვეთი, რათა გავითვალისწინოთ ფულის დროითი ღირებულება. R_{liq} არის უზრუნველყოფილი კრედიტორის უკუგების დონე, თუ საწარმო ნაწილ-ნაწილ გაიყიდება, რა შემთხვევაშიც, იგი ინარჩუნებს ღირებულების 70%-ს; c არის საწარმოს როგორც მოქმედი ბიზნესის ღირებულების ხარჯი (პროცენტული მაჩვენებელი); r არის დისკონტის, t – დრო გადახდამდე.

(3) ალბათობებისთვის მოდელით მიღებული მნიშვნელობები გამოყენების შემთხვევაში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონის რეფორმის შედეგად ვიღებთ ცვლილებას ამოღების დონეში.

მოდელს ვასრულებთ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონის რეფორმის ეფექტის გამოთვლით მშპ-სა და დასაქმებაზე. AFME-ის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ამოღების დონის თითოეული პროცენტული პუნქტით გაუმჯობესება დაკავშირებულია მშპ-ის 0.03-0.06%-ით გაზრდასთან. ამიტომ ჩვენ ვითვლით ამოღების დონის ყველაზე დაბალ შესაძლო ეფექტს მშპ-ზე შემდეგი ფორმულით:

$$\frac{GDP_{after} - GDP_{before}}{GDP_{before}} = \frac{R_{after} - R_{before}}{R_{before}} \times 0.03 \quad (4)$$

ეფექტის ზედა ზღვარი ითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{GDP_{after} - GDP_{before}}{GDP_{before}} = \frac{R_{after} - R_{before}}{R_{before}} \times 0.06 \quad (5)$$

ამავე ანგარიშის თანახმად, ამოღების დონის თითოეული პროცენტული პუნქტით გაუმჯობესება ნიშნავს დასაქმების 0.02-0.04%-ით გაზრდას.

მე-9 ცხრილში წარმოდგენილია გამოთვლებში გამოყენებული ცვლადების მნიშვნელობები. ხარჯებისა და დროის ცვლადები მოქმედი და წარდგენილი ჩარჩოს ფარგლებში დაანგარიშდა ზემოთ გაანალიზებული შემთხვევის ანალიზის მიხედვით. თუმცა მოქმედ კანონში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო, რომელიც არ უწყესებს გონივრულ ვადებს სხვადასხვა მოთამაშეებს, ჩვენი ანალიზი დაფუძნებულია ბიზნესის კეთების გადახდისუუნარობის გარემოს შეფასების ინდიკატორების დროის მნიშვნელობაზე. რაც შეეხება წარდგენილი რეფორმის მნიშვნელობებს,

ვუშვებთ, რომ გადახდისუნარობის საქმის წარმოების დასრულებას დასჭირდება წარდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული და შემთხვევის ანალიზის ნაწილში მითითებული ვადები.

ამოღების დონესა და შესაბამის ეკონომიკურ ზემოქმედებას ვითვლით სამი სხვადასხვა სცენარის შემთხვევაში, რომლებზეც აღნიშნულ თავშია საუბარი.

სცენარი 0 – არ იცვლება არც ერთი პარამეტრი, რაც განსაზღვრავს კრედიტორების უკუგების დონეს. ამოღების დონე განსხვავდება ბიზნესის კეთების ინდიკატორის მაჩვენებლისგან, რადგან ჩვენ ვიყენებთ შემთხვევის ანალიზის დროს მიღებული ხარჯების რეალურ რაოდენობას. ეს არის საბაზისო სცენარი, რომელსაც ვადარებთ რეფორმის ეკონომიკურ შედეგებს.

ცხრილი 9. შეფასებაში გამოყენებული ცვლადების სავარაუდო მნიშვნელობები

კანონი	ინდიკატორი	ლიკვიდაცია	რეაბილიტაცია
მოქმედი კანონი	დრო (წელი)	2	2
	ხარჯი (აქტივების %)	18	21
	საქმის წარმოების დაწყების ინდექსი		2.5/3
	მოვალის აქტივების მართვის ინდექსი		5.5/6
	რეორგანიზაციის საქმის წარმოების ინდექსი		0/3
	კრედიტორის მონაწილეობის ინდექსი		3/4
კანონპროექტი	დრო (წელი)	0.58	0.83
	ხარჯი (აქტივების %)	25	21
	საქმის წარმოების დაწყების ინდექსი		3/3
	მოვალის აქტივების მართვის ინდექსი		6/6
	რეორგანიზაციის საქმის წარმოების ინდექსი		3/3
	კრედიტორის მონაწილეობის ინდექსი		2/4

სცენარი 1 – ამ სცენარში ვუშვებთ, რომ ბიზნეს-ქეისის ყველაზე მეტად მოსალოდნელი შედეგი არის რეაბილიტაცია, შესაბამისად, საწარმოს, როგორც მოქმედი ბიზნესის, ღირებულება შენარჩუნებულია. ეს იწვევს კრედიტორების ამოღების დონის მნიშვნელოვან ზრდას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან ზრდას და 2030 დღის წესრიგის მე-8

და მე-9 მიზნების შესრულებას. ამ სცენარის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს იმ მაქსიმუმად, რისი მიღწევაც შესაძლებელია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმით. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწრაფი ცვლილება ლიკვიდაციიდან რეაბილიტაციაზე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგებში ნაკლებად მოსალოდნელია.

სცენარი 2 – ამ სცენარის შემთხვევაში, ვუშვებთ, რომ საქმის წარმოების ყველაზე მეტად მოსალოდნელი შედეგი არის ლიკვიდაცია და ნაწილ-ნაწილ გაყიდვა. საბაზისო სცენარისგან ერთადერთი განსხვავება არის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დასრულებისთვის საჭირო დრო და ხარჯი. შესაბამისად აღნიშნული სცენარისთვის დათვლილი ეკონომიკური შედეგები შეიძლება მივიღოთ როგორც შესაძლო ეკონომიკური სარგებლის ქვედა ზღვარი.

სცენარი 3 – ამ სცენარით ვითვლით რეაბილიტაციის ალბათობას ზემოთ აღწერილი ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით. საკანონმდებლო ჩარჩოს ხარისხის მოსალოდნელ ცვლილებებთან ერთად ამ მოდელის მიხედვით, რეაბილიტაციის ალბათობა 0.05%-იდან დაახლოებით 52%-მდე იცვლება.

ამოღების დონეზე სავარაუდო ზემოქმედებაზე, საუკეთესო მაჩვენებლიდან დაშორების ქულებზე, პოტენციურ რეიტინგებსა და მაკროეკონომიკურ შედეგებზე საუბარია მე-10 და მე-11 ცხრილებში. თუმცა მნიშვნელოვანი დაწინაურება რეიტინგებსა და მაკროეკონომიკურ შედეგებში მოსალოდნელია, თუ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, ბიზნესის კუთების გადახდისუუნარობის ინდიკატორების კონტრიბუტორები რეაბილიტაციის რეჟიმს მიიღებენ ყველაზე მოსალოდნელ შედეგად.

ცხრილი 10. სცენარების აღწერა და მოსალოდნელი ამოღების მაჩვენებლები, საუკეთესო მაჩვენებლიდან დაშორების ქულები და რეიტინგი

	რეაბილიტაცია	მოქმედი ბიზნესი	რეფორმა	ამოღების მაჩვენებელი	დაშორება საუკეთესო მაჩვენებლიდან	რეიტინგი
სცენარი 0	არა	არა	არა	33.84	52.59%	63 ¹⁴⁷
სცენარი 1	კი	კი	კი	68.39	80.56%	15
სცენარი 2	არა	არა	კი	39.51	65.02%	46
სცენარი 3	52%	52%	კი	54.53	73.10%	30

წყარო: ავტორების გამოთვლები

ეს ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ყველა ვადა დაცულია. მოქმედი კანონით გათვალისწინებული უამრავი ვადის დაცვა არ ხდება კანონს გარეთ არსებული პრობლემების გამო, თუმცა ძალიან რთულია დავუშვათ, რომ ეს ვადები შესრულდება წარდგენილი კანონპროექტით შეტანილი ცვლილებების გამო, თუ დამატებით ძალისხმევას არ ჩავდებთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში.

¹⁴⁷ ეს რეიტინგი ოდნავ განსხვავდება მიმდინარე რეიტინგისგან, რადგან ხარჯებისთვის ჩვენ ვიყენებთ სავარაუდო მნიშვნელობებს და არა ბიზნესის კუთების ანგარიშის მნიშვნელობებს.


ცხრილი 11. მოსალოდნელი მაკროეკონომიკური ზემოქმედება

	ზემოქმედება მშპ-ზე				ზემოქმედება დასაქმებაზე			
	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	('000)	%	('000)
სცენარი 1	6.13%	2330	3.1%	1165	4.08%	70	2.0%	35
სცენარი 2	1.0%	382	0.5%	191	0.7%	11	0.3%	6
სცენარი 3	3.7%	1395	1.8%	698	2.4%	42	1.2%	21

D. გავლენების შეჯამება

ამ ნაწილში წარმოდგენილი გავლენების ანალიზი აჯამებს ყველა შესაძლო პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენასა და დისტრიბუციურ ეფექტს (მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა ამ ეფექტის დაანგარიშება). გავლენები შეფასებულია სტატუს ქუოსთან შედარებით, 1-ლი ვარიანტი „არავითარი პოლიტიკის ცვლილება“.

ცხრილი 12. შერჩეული ვარიანტების გავლენის შეჯამება¹⁴⁸



გავლენა	მე-2 ვარიანტი
ადმინისტრაციული	საჯარო უწყებების ადმინისტრაციული ტვირთი მაღალი იქნება, კანონპროექტით გათვალისწინებული მკაცრი ვადები მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ტვირთს დააკისრებს აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და თბილისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს. საკმარისი რაოდენობით ადმინისტრაციული რესურსები უნდა გამოიყოს, თუ გვინდა რეფორმით დაგეგმილმა ცვლილებებმა დადებითი შედეგები გამოიღოს.
საკანონმდებლო ჩარჩო	გავლენა კანონპროექტის საკანონმდებლო ჩარჩოზე მაღალი იქნება. კანონპროექტი შემდეგი გზებით იმოქმედებს საკანონმდებლო ჩარჩოზე: <ul style="list-style-type: none"> - მოქმედ კანონთან შედარებით, კანონპროექტი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში ჩართული მოთამაშეებზე კომპიტენციების განსხვავებულ გადანაწილებას. მაგალითად, კრიზისში მყოფი საწარმოს გაკოტრების ან რეაბილიტაციის შესახებ განჩინება გამოაქვს მოსამართლეს და არა მომრიგებელ საბჭოს, როგორც მოქმედი კანონით არის დადგენილი; - კანონპროექტს შემოაქვს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის კონცეფცია, რომლის თანახმად, პირმა შეიძლება იკისროს გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის ფუნქცია, თუ აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს; - კანონპროექტი ცვლის კრედიტორების მოქმედ რიგითობას. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, შემოსავლების სამსახური, მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებს (საგადასახადო გირავნობას/იპოთეკას), არ არის უზრუნველყოფილი კრედიტორი; - გაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში კანონპროექტის თანახმად, უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება ხდება უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან; - კანონპროექტი აწესებს ზუსტ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც უნდა მომზადდეს რეაბილიტაციის გეგმა და წარედგინოს სასამართლოს

¹⁴⁸ ზემოქმედების შეფასება ეფუძნება ორ ფაქტორს: ანალიზის დომენებში ქცევითი ან ინსტიტუციური ცვლილებების ალბათობა და მასშტაბები. მაგალითად, მაღალი ზემოქმედება მიუთითებს იმაზე, რომ სავარაუდოდ, რომ დომეინზე გავლენა განხორციელდება და ცვლილებების მასშტაბები მნიშვნელოვანი იქნება.

	<p>დასამტკიცებლად. ამგვარი კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ რეაბილიტაციის გეგმა არ მტკიცდება კრედიტორების ინტერესების საზიანოდ;</p> <ul style="list-style-type: none"> - კანონპროექტი არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს ანიჭებს მეტ ძალაუფლებას რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას, თუნდაც უზრუნველყოფილი კრედიტორები არ ეთანხმებოდნენ გეგმას. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს უნდათ, უპირატესობა მიენიჭოთ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას, აღნიშნული გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს კანონპროექტით დადგენილ კრიტერიუმებს; - კანონპროექტი ადგენს ვაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველების ანაზღაურების მაქსიმალურ ზღვარს. დასაბუთების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს ანაზღაურება; <p>შედეგი იქნება გადახდისუუნარობის ისეთ საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურება, როგორცაა ბიზნესის კუთების გადახდისუუნარობის აღმოფხვრის ინდიკატორები.</p>
ეკონომიკური	<p>რეგორმას არაერთი მიმართულებით ექნება ეკონომიკური გავლენა. ემპირიულმა ლიტერატურამ, რომელიც სწავლობს ურთიერთობას სამართლებრივ გარემოსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის, დაადგინა, რომ ამ ორს შორის მყარი კავშირია, კერძოდ, ძლიერი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სისტემები და კრედიტების დაცვა ზოგადად იწვევს კაპიტალისა და კრედიტების ბაზრების განვითარებას, აუმჯობესებს საწარმოების ფინანსური პირობებს, ხელს უწყობს მეწარმეობასა და საწარმოების დაფუძნებას და მიყვავართ ხელსაყრელ მაკროეკონომიკურ შედეგებამდე.</p> <p>ჩვენი გამოთვლების თანახმად, საკანონმდებლო ჩარევებმა ქვეყნის მშპ შეიძლება 0.5%-იდან 6.13%-მდე, დასაქმება კი 0.3%-დან 4.08%-მდე გაზარდოს, იმ დაშვებით, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული მკაცრი ვადები და პროცედურები შესრულდება. ეს თავისთავად ხელს შეწყობს 2030 დღის წესრიგის მე-8 მიზნის მიღწევას.</p>
სოციალური	<p>კანონპროექტის სოციალური გავლენა დაბალია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალი კანონმდებლობა გამოყოფს კრედიტორთა ახალ, პრეფერენციულ კრედიტორების კლასს, რომელიც აერთიანებს კრიზისში მყოფი საწარმოს თანამშრომლებს, რომელთა მოთხოვნებსაც ენიჭება უპირატესობა უზრუნველყოფილი თუ არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან შედარებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს (ფიზიკური პირები), მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეებს, არ შეეხება. ამიტომ არ უნდა ველოდეთ კრიზისში მყოფ ფიზიკური პირებთან დაკავშირებულ სოციალური ცვლადების გაუმჯობესებას.</p>
ეკოლოგიური	<p>კანონპროექტის მოსალოდნელი გავლენა გარემოზე დაბალია, თუმცა გრძელვადიან პერიოდში უკეთესი კორპორატიული მმართველობის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მეტი პასუხისმგებლობის მქონე კორპორატიული კულტურის განვითარებას, რაც სასარგებლოა გარემოსდაცვითი მდგრადობისთვის.</p>
საჯარო დაფინანსება	<p>მოსალოდნელი გავლენა საჯარო დაფინანსებაზე მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში მაღალია რაც მოხდება ახალი სისტემების ინსტიტუციონალიზების პროგრამებით:</p> <ul style="list-style-type: none"> - გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ინსტიტუტის შექმნის ხარჯები; - მოსამართლეთა გადამზადების ხარჯები; - სხვა საჯარო უწყებების თანამშრომელთა გადამზადების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იქნებიან ჩართული კანონის აღსრულებაში; - საკანონმდებლო ინფრასტრუქტურის კანონპროექტთან მორგების ხარჯები, რაც გულისხმობს შესაბამის კანონებში, კანონქვემდებარე აქტებში, ადმინისტრაციულ კოდექსებსა და სხვ. ცვლილებების შეტანას;
მცირე და საშუალო საწარმოები	<p>გავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე და განსაკუთრებით მცირე და მიკრო საწარმოებზე დაბალი იქნება. კანონპროექტის თანახმად, საქმის წარმოების ხარჯი მნიშვნელოვნად არ შემცირდება, ამიტომ ფინანსური შეზღუდვები კვლავ შეუზღუდავს მცირე საწარმოებს კანონპროექტით გათვალისწინებული სარგებლის გამოყენების შესაძლებლობას. მეტიც, დაფინანსების არსებული მექანიზმების გამო მცირე საწარმოები ნაკლებად გადიან ფორმალური გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესს. თუმცა საკანონმდებლო</p>

	გარემომ უნდა უზრუნველყოს საკმარისი მოქნილობა, პირი სწრაფად გამოვიდეს წარუმატებელი ბიზნესიდან და რესურსები უფრო პროდუქტიულად გამოიყენოს.
ფიზიკური პირები	იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტი გათვალისწინებული რეგულირებული შეთანხმება არის მოვალის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ფიზიკური პირი მოვალეები აქტიურად გამოიყენებენ ამ შეთანხმებას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვადამოსული თანხა არ არის დიდი და/ან მოვალეს არ ალელვებს ის ფაქტი, რომ შეიძლება მოხვდეს მოვალეთა რეესტრში და/ან დაუწესდეს სხვა შეზღუდვები. ამიტომ ფიზიკურ პირებზე მოსალოდნელი გავლენა დაბალია.

VI. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით ვარიანტების შედარება

საუკეთესო ვარიანტის დადგენის მიზნით, სხვადასხვა ალტერნატივების შედარებისთვის ვიყენებთ მთელ რიგ კრიტერიუმებსა რომელიც ფარავს სტანდარტიზებული პოლიტიკის ანალიზის პრაქტიკის ხუთ ძირითად განზომილებას¹⁴⁹. ესენია:

ეფექტურობა: სასურველი შედეგების მიღების უნარი. ჩვენ შემთხვევაში, უნარი:

1. გადახდისუნარობის საქმის წარმოების საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანობის გაუმჯობესება სიცოცხლისუნარიანი საწარმოებისთვის გადარჩენის შესაძლებლობების გაზრდით და მოვალის აქტივების განაწილებისას სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობის ხელშეწყობით, როდესაც საწარმოს გადარჩენა შეუძლებელია.
 - a. საწარმოს აქტივების ღირებულების და კრედიტორების ამოღების დონის გაზრდა;
 - b. ეფექტიანობის გაუმჯობესება როგორც არასიცოცხლისუნარიანი ბიზნესების ლიკვიდაციისას, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ლიკვიდაცია კრედიტორებს უფრო მეტ უკუგებას აძლევს, ასევე სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების რეორგანიზაციისას;
 - c. ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს ხელშეწყობა.

განხორციელებადობა: ეს კრიტერიუმი აფასებს, რამდენად მარტივია პოლიტიკის ვარიანტის განხორციელება. ეს გულისხმობს შესაბამისობის მაჩვენებლებს, რესურსების შესაძლო სიმწირეს და რთული საკანონმდებლო ცვლილებების გამკლავებისთვის საჭირო კომპეტენციას.

რისკების შემცირება: ეს კრიტერიუმი აფასებს, რამდენად ამცირებს პოლიტიკის ვარიანტი სისუსტეებსა და რისკებს:

- აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სასამართლოს კომპეტენციის შეზღუდვებით გამოწვეული კანონპროექტის განხორციელებასა და აღსრულების ხარვეზები, რასაც ემატება საჯარო ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუარესება;
- უზრუნველყოფილი კრედიტორების არასაკმარისი ნდობა გადახდისუნარობის საქმის წარმოების საკანონმდებლო ჩარჩოსადმი;
- კერძო საწარმოების მზაობა, ისარგებლონ ადრეული რესტრუქტურის ვარიანტებით ან შეცვლილი ფორმალური გადახდისუნარობის საქმის წარმოებით.

თანმდევი სარგებლის გაზრდა: ეს კრიტერიუმი აფასებს, რამდენად ზრდის პოლიტიკის ვარიანტი რეფორმით გამოწვეულ დადებით გარეგან ფაქტორებს, მათ შორის, რამდენად იზრდება:

- უცხოელი ინვესტორების თვალში ქვეყნის მიმზიდველობა;
- საწარმოებისთვის შიდა და საერთაშორისო კაპიტალზე წვდომა, ეკონომიკურ ზრდაზე დადებითი გავლენის გათვალისწინებით;

¹⁴⁹ მაგალითად იხილეთ Morestin, Florence. A framework for analyzing public policies: practical guide. Centre de collaboration nationale sur les politiques publiques et la santé, Institut national de santé publique Québec, 2012

- სამეწარმეო საქმიანობა და სამუშაო ადგილები;
- დადებითი გავლენა მდგრადი განვითარების კონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განზომილებებზე. (2030 დღის წესრიგის ინტეგრირებული მიდგომის პრინციპი)

გადანაწილების ეფექტი: ეს კრიტერიუმი აფასებს პოლიტიკის ვარიანტის ეფექტს საზოგადოების ყველაზე დაუცველ ნაწილზე. (2030 დღის წესრიგის არავინ დარჩეს უყურადღებოდ პრინციპი)

ვარიანტების შეჯამება

პოლიტიკის თითოეული ვარიანტის შეფასება თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში შეჯამებულია მე-13 ცხრილში. პოლიტიკის თითოეული ვარიანტის შეფასება გაკეთდა უკვე მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე და რანჟირება მოხდა არაწრფივი/არაკომპენსატორული მიდგომისა და მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით¹⁵⁰.

ცხრილი 13. ვარიანტების შედარება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით

შეფასების კრიტერიუმი	1-ლი ვარიანტი	მე-2 ვარიანტი
ეფექტურობა	+	++
განხორციელებადობა / დანერგვის სიმარტივე	++	+
პოტენციური რისკების შემცირება	++	+
პოტენციური სარგებლის გაზრდა	+	++
გადანაწილების ეფექტი	+	++

ვარიანტების რეიტინგი

ანალიზის თანახმად, ორივე ვარიანტს აქვს გარკვეული უპირატესობები. ჩვენ არ ვანიჭებთ წონებს თუმცა, თუ ყველა კრიტერიუმს ერთნაირ წონას მივანიჭებთ მაშინ მე-2 ვარიანტი აშკარად გადაწონის 1-ელ ვარიანტს და უნდა იყოს უპირატესი არჩევანი. თუ კი განხორციელებადობის/შესაბამისობის სიმარტივის და პოტენციური რისკების შემცირების კრიტერიუმებს სხვა კრიტერიუმებთან შედარებით მეტ წონას მივანიჭებთ, მაშინ 1-ლი ვარიანტი მე-2 ვარიანტთან შედარებით უმჯობესია.

VII. მონიტორინგისა და შეფასების გეგმა¹⁵¹

განხორციელების შემდეგ კანონპროექტის ეფექტიანობის ანალიზისთვის საჭიროა მკაცრი მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავება, რათა შევადგინოთ მისი მუშაობის შედეგები დადგენილ მიზნებთან მიმართებაში. ამ ნაწილში წარმოვადგენთ მთელ რიგ ინდიკატორებს, რომელთა საჯაროდ მონიტორინგიც უნდა მოხდეს. აღნიშნული ინდიკატორების რეგულარული მონიტორინგი დაეხმარება პოლიტიკის გამტარებლებს, აკონტროლონ რეფორმის მუშაობის შედეგები და დროულად უპასუხონ შესაძლო დაბრკოლებებს, განსაკუთრებით რეფორმის განხორციელების ადრეულ ეტაპზე. ამ ინდიკატორებზე რეგულარული (ყოველწლიური) საჯარო

¹⁵⁰ +-ების რაოდენობა განისაზღვრება შედარებით თვისობრივ ანალიზზე დაყრდნობით. + და ++ შორის მანძილი არ არის რაოდენობრივი.

¹⁵¹ 2030 დღის წესრიგი, ანგარიშვალდებულების პრინციპი

ანგარიშგება ხელს შეუწყობს საჯარო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდას და ქვეყანას დაახლოვებს მდგრადი და ინკლუზიური განვითარების სტანდარტებთან.

პასუხისმგებლობა: თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები

- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონით დარეგულირებული სამეწარმეო სასამართლო დავების რიცხვი – ვფიქრობთ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, ვინაიდან კანონპროექტს პირდაპირი და დაუყოვნებელი გავლენა ექნება ამ საზომზე.

სამეწარმეო სასამართლო დავების შესახებ არსებული სტატისტიკა არ შეიცავს მნიშვნელოვან დეტალებს, რაც დაგვეხმარებოდა დაინტერესებული მხარეების წინაშე არსებული კონკრეტული პრობლემებისა და გამოწვევების დადგენაში. ამიტომ ჩვენ რეკომენდაციას ვუწვევთ მთელი რიგი დამატებითი ინდიკატორების შემოღებას:

- გადახდისუუნარობის შესახებ სამეწარმეო სასამართლო დავების რაოდენობა, განმცხადებლის (მოვალე/კრედიტორი) ტიპის მიხედვით;
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხანგრძლივობა რეჟიმის მიხედვით (თვეების #);

პასუხისმგებლობა: აღსრულების ეროვნული ბიურო

- გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმების წილი (%);
- უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ამოღების დონე (%);
- აქტივების გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემდგომი ღირებულება გადახდისუუნარობის მასასთან მიმართებაში (%);
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხარჯები რეჟიმების მიხედვით (გადახდისუუნარობის მასის %).

პასუხისმგებლობა: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ბიზნესის კეთების გადახდისუუნარობის გარემოს შეფასების ქულა და რეიტინგი

ქვემოთ მოყვანილი ინდიკატორები არის შედგენილი და/ან დამოკიდებულია აღქმაზე, ამიტომ წლები დასჭირდება ამ ინდიკატორებში მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს. მეტიც, ბევრი სხვა ინდიკატორი, მათ შორის მაკროეკონომიკური განვითარება, გავლენას მოახდენს ამ სფეროში პროგრესზე. ამიტომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის გავლენების ატრიბუცია და იზოლირება საკმაოდ რთული იქნება. თუმცა ინტერვენციის მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია, ვაკონტროლოთ სოციოეკონომიკური განვითარების შემდეგი ღონისძიებების პროგრესი:

- დავების მოგვარებაში საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანობა – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი;
- დაფინანსება ადგილობრივი კაპიტალის ბაზრიდან – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი;
- სესხებზე წვდომის სიმარტივე – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი;
- მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (SDG 16.6).
 - o კანონის უზენაესობა
 - o მმართველობის ეფექტიანობა
 - o გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება
 - o კორუფციის კონტროლი
 - o რეგულირების ხარისხი

VIII. პროცედურული საკითხები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

A. კონსულტაციები და გამოცდილება

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ მოქმედი კანონის ამომწურავი შეფასებისა და წინა თავში წარმოდგენილი პრობლემების პოტენციური გადაწყვეტის გზების დასაადგენად RIA-ის გუნდმა გამოიყენა რამდენიმე მეთოდი, მათ შორის: სამაგიდე კვლევა, ლიტერატურის მიმოხილვა, ოფიციალური მონაცემების გამოთხოვა, სატელეფონო ინტერვიუები, სიღრმისეული ინტერვიუები გამოვლენილ ფორმალურ თუ არაფორმალურ დაინტერესებულ მხარეებთან.

კონსულტაციებისა და მონაცემთა შეგროვების პირველი ეტაპის მიზანი იყო პრობლემის, პოლიტიკის მიზნ(ებ)ის განსაზღვრა და შესაძლო პოლიტიკის ვარიანტების დადგენა. კონსულტაციებისა და მონაცემების შეგროვების მეორე, დამატებითი ეტაპის მიზანი იყო იმ ნაკლები ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება, რაც საჭიროა პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტის სტატუს კვოსთან შედარებისა და უპირატესი ვარიანტის შერჩევითვის.

პარალელურად, იუსტიციის სამინისტრო მთელ რიგ საკონსულტაციო შეხვედრებს ატარებდა დაინტერესებულ მხარეებთან, RIA-ის გუნდი ესწრებოდა აღნიშნულ შეხვედრებს და ისმენდა დაინტერესებულ მხარეთა სიტყვიერ თუ წერილობით შეფასებებს. მოწვეულ და გამოკითხულ დაინტერესებულ მხარეთა სია წარმოდგენილია მე-4 დანართში.

RIA-ის გუნდს სამართლებრივ დახმარებას უწევდა Berlin Economics, კერძოდ კი მისი საერთაშორისო ექსპერტი, ჰანს იანუსი, რომელიც გადახდისუუნარობის სისტემების შესახებ არაერთი საერთაშორისო კვლევის ავტორია. მომდევნო ქვეთავში წარმოდგენილია ექსპერტის შეფასება.

საერთაშორისო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის ექსპერტის შეფასება¹⁵²

რეკომენდაცია, მოქმედი კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ შეიცვალოს სრულიად ახალი კანონით, შესრულდა. 2018 წელს წარდგენილი კანონპროექტი არის თანამედროვე, კარგად ჩამოყალიბებული, გამჭვირვალე და ეკონომიკურად ჯანსაღი საკანონმდებლო აქტი.

ყველაზე დიდი ცვლილება და მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფილოსოფიის სრულიად შეცვლა. ახლა მოვალის საწარმოს რეაბილიტაცია, როცა ამის შესაძლებლობა არსებობს, არის ყველა გადახდისუუნარობის ღონისძიების ამოსავალი წერტილი.

სახელმწიფო ადმინისტრაციის გავლენა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაზე მნიშვნელოვნად შემცირდა, უნდა აღინიშნოს აღსრულების ეროვნული ბიუროს როლის მნიშვნელოვნად შემცირება და სასამართლოს ფუნქციის მნიშვნელოვნად გაზრდა.

ფასდაუდებელია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ახალი პროფესიის შემოღება და მათი სავალდებულო ჩართულობა ნებისმიერი სახის გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში.

კრედიტორების როლი გაძლიერდა უკეთესი უფლებებით მოვალის გადახდისუუნარობის მოთხოვნით და ახალშექმნილი კრედიტორთა კომიტეტისთვის მეტი უფლების მინიჭებით.

არსებობს შანსი, რომ კორუფცია, აქტივების დატაცება და არაგამჭვირვალე გაყიდვა საქმის წარმოების განაწილება ახალი კანონით შემცირდება, თუ დამტკიცდება.

კანონპროექტის საფუძველზე, საქართველოს რეიტინგი მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში აუცილებლად გაუმჯობესდება.

¹⁵² შეფასების ვრცელი ვერსია იხ. მე-2 დანართში.

B. RIA-ის გუნდის მიერ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გამოკითხვა

უპირველეს ყოვლისა, ინტერესებისა და გავლენების მატრიცის ფორმატით გამოვლინდა და კატეგორიებად დაიყო მთავარი დაინტერესებული მხარეები. ცაკლეული კატეგორიის დაინტერესებული მხარეებისთვის შეიქმნა კითხვები და ოფიციალური კონსულტაციები/ინტერვიუები ჩატარდა პრაქტიკოს იურისტებთან, ბიზნეს-ასოციაციებთან, საინვესტიციო კომპანიებთან, საქართველოს მთავრობის სააგენტოებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, კვლევით ინსტიტუტებთან და სხვ.

ცხრილი 14. დაინტერესებულ მხარეთა რუკა

გავლენა / ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	<ul style="list-style-type: none"> ბიზნეს-ასოციაციები ბიზნეს ომბუდსმენი პარტნიორობის ფონდი საჯარო რეესტრის ეროვნული სამსახური საქართველოს საკანონმდებლო მაცნე არასამთავრობო ორგანიზაციები 	<ul style="list-style-type: none"> საპარლამენტო კომიტეტები (იურიდიულ საკითხთა კომიტეტი და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი)
მაღალი ინტერესი	<ul style="list-style-type: none"> იურისტები, პრაქტიკოსები ბიზნესები გამოცდილებით გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში არაუზრუნველყოფილი კრედიტორები შემოსავლების სამსახური კონკურენციის სააგენტო მეწარმეები უზრუნველყოფილი კრედიტორები (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სხვ.) 	<ul style="list-style-type: none"> აღსრულების ეროვნული ბიურო სასამართლო იუსტიციის სამინისტრო ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ცხრილი 15. დღემდე იურიდიულ ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების შეჯამება

დაინტერესებული მხარე / დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	პასუხების შეჯამება
<p>იურიდიული ექსპერტი/კონსულტანტი</p> <p>თორნიკე ართქმელიძე – დამოუკიდებელი იურისტი, მომრიგებელი საბჭოს წევრი</p> <p>თამთა ივანიშვილი – უფროსი პარტნიორი, იურიდიული ფირმა BLC</p> <p>ირაკლი გაფინდაშვილი – მმართველი პარტნიორი, GLCC</p> <p>ობერონ კვოკი – ბარისტერი, St Philips Chambers</p>	<p>ხარვეზები კანონში</p> <ul style="list-style-type: none"> • მოქმედი კანონის გაცხადებული მიზანი „...მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა“ არ არის მისაღები იურიდიული ექსპერტებისა და პრაქტიკოსების უმეტესობისთვის. თუმცა ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ კრედიტორები და მოვალეები თანაბრად უნდა იყვნენ დაცული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში. საწარმოს გადარჩენა თანაბრად მნიშვნელოვანია გრძელვადიანი მიზნებისთვის და პროცესი მთლიანად ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. სხვაგვარად, კრედიტორებს შეუძლიათ თანხა აღსრულების გზით მიიღონ. • აღსრულების ეროვნული ბიური არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც შეიძლება იყოს მეურვე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გარდამავალ პერიოდში. ეს ქმნის რამდენიმე თანმდევ პრობლემას. საქართველოში მეურვე (აღსრულების ეროვნული ბიური) საწარმოსგან ჩამოშორებულია მისი საქმიანობის ყველაზე რთულ ეტაპზე. სხვა ქვეყნებში მეურვე საწარმოში შედის, რათა შეისწავლოს, შეაფასოს და მოამზადოს დაინტერესებულ მხარეთა პოზიციები არსებულ ვითარებასა და საწარმოს სამომავლო პერსპექტივებზე. აღსრულების ეროვნული ბიუროს უკიდურესად შეზღუდული კომპეტენციის გამო, პრაქტიკაში ასე არ ხდება. ამავდროულად, მეურვის სტატუსი საჯარო ინსტიტუტს იმაზე მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს, ვიდრე საჭიროა (მაგალითად, შეუძლია გაყინოს საბანკო ანგარიშები). კანონის გამო საქმიანობა მონოპოლიზებულია, რაც არ ქმნის სფეროში კომპეტენციის გაუმჯობესების სტიმულს. ზოგადად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის უფლება-მოვალეობები ძალიან მნიშვნელოვანი და კომპლექსურია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის სავალდებულო კვალიფიკაციების სიმცირე კანონის ერთ-ერთი უმთავრესი ხარვეზია. • საქმის წარმოების ხარჯები განსაკუთრებით მაღალია. ხარჯებში შედის მთავრობის/აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური, იურიდიული მომსახურების ხარჯი და სხვ. ეს ყველაფერი მთლიანი მოთხოვნის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს. მეტიც, გაკოტრების საქმის წარმოების შემდეგ დარჩენილი გაუნაწილებელი აქტივები აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა გადაეცეს. ამიტომ ცხადია, საწარმოს არ აქვს სტიმული, დროულად მიმართოს სასამართლოს, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია საწარმოს გადარჩენა.

- არსებულ პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, ხშირ შემთხვევაში, საკრედიტო ფონდის ყველაზე დიდი წილი მოდის **შემოსავლების სამსახურზე**. მთავრობის უზრუნველყოფილ თუ მთავარ არაუზრუნველყოფილ კრედიტორად განხილვა ამცირებს უმცროსი არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ამოდების დონეს. შემოსავლების სამსახური არ უნდა უყრიდეს კენჭს რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული დაგვიანებული გადახდის დამტკიცებას, რადგან ასეთი მაღალი პრიორიტეტის მქონე სტატუსი სტიმულს აძლევს შემოსავლების სამსახურს, გამოვიდეს დაუყოვნებელი გადახდით, რაც გაკოტრებას ნიშნავს.
- **არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებები** (და არა შემოსავლების სამსახურის) არ შეესაბამება მათ ინტერესებს. ბუნებრივია, არაუზრუნველყოფილი კრედიტორები ეცდებიან, თავიდან აიცილონ აქტივების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა და ამუშაონ საწარმო. ამჟამად კანონით არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს არ აქვთ რეაბილიტაციის გეგმაზე ხმის მიცემის უფლება, უზრუნველყოფილ კრედიტორებს კი სურთ მაქსიმალურად ამოიღონ სესხი, რაც შეიძლება სწრაფად და იაფად, ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა საწარმოს რეაბილიტაცია შესაძლებელია.

ხარვეზები განხორციელებაში

- აღსრულების ეროვნული ბიურო, როგორც მეურვე, ეცდება, თავიდან აიცილოს გადახდისუუნარო საწარმოს შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რამაც შეიძლება გააუმჯობესოს საწარმოს ლიკვიდობა. მაგალითად, თუ საწარმოს აქვს ქონება, რომელიც არ არის გამოყენებული სესხის უზრუნველყოფის სახით და შეიძლება გაიყიდოს, რათა გამოსწორდეს ლიკვიდობა ან შემცირდეს თანამშრომელთა რაოდენობა, აღსრულების ეროვნული ბიურო არაეფექტური ინსტიტუტია.
- პროექტის ეფექტიანობაზე ყველაზე მეტად მოქმედებს განხორციელების დროს დაგვიანებები. პრობლემა ძირითადად მოდის გადატვირთული სასამართლო სისტემისგან. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში შეიქმნა სპეციალური კატეგორია, კანონით გაწერილი პირობების დაგვიანება რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად. ძირითადად დაინტერესებული მხარეები საუბრობენ კრედიტორთა კრების მოთხოვნისას ვადების დარღვევაზე, როცა სწრაფი გადაწყვეტილება და მოქმედება უკიდურესად მნიშვნელოვანია აქტივების ღირებულების შესანარჩუნებლად. ყველაზე მტკივნეულია გარდამავალი პერიოდი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებიდან რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის დაწყებამდე. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: არ არსებობს მომრიგებელი საბჭოს შექმნის ვადები, მეურვე ვერ ამზადებს კვალიფიციურ ანგარიშს, რაც დაეხმარება კრედიტორებს, სწრაფად მიიღონ გადაწყვეტილება.
- პრაქტიკაში საქართველოში საწარმოები გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას ფინანსური კრიზისის უკანასკნელ ეტაპზე აკეთებენ, როდესაც საწარმოს რეაბილიტაცია შეუძლებელია. ამ პრაქტიკას ხელს უწყობს საქმის წარმოების მაღალი ხარჯები. რაც

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სასამართლო არ იძლევა საქმის გახსნის ნებართვას, სანამ საწარმო უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება, სხვაგვარად სასამართლო უარზეა, თითქოს საწარმოს უნდა ამ უფლებით ბოროტად სარგებლობა და გამოიყენოს მორატორიუმი, რათა შეწყვიტოს მიმდინარე ვალდებულებები, გადაავადოს აღსრულების პროცესი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ გადახდისუუნარობის პირობები კარგად არის გაწერილი მოქმედ კანონში (როგორც მოსალოდნელი, ისე რეალური გადახდისუუნარობა), ის რეალობაში არ მუშაობს და პროცესის ღიაობა კვლავ რჩება პრობლემად საწარმოებისთვის.

რჩევა/რეკომენდაცია

- აღსრულების ეროვნული ბიუროს, როგორც მეურვის, საქმის წარმოებიდან ჩამოშორება. შესაძლო გამოსავალი: გონივრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე ავტორიზებული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის რეესტრის შექმნა. ეს რამდენიმე პრობლემას მოაგვარებს ერთდროულად: გადასვლისთვის საჭირო დროის შემცირება, დამოუკიდებელი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის (კონკურენციის ხარჯზე) ხარჯების შემცირება, უკეთ ინფორმირებული კრედიტორები უფრო ეფექტური გადაწყვეტილებებით.
- არ მიენიჭოს შემოსავლების სამსახურს პრიორიტეტი კრედიტორებს შორის. ეს გაზრდის ყველა კრედიტორის ამოღების ალბათობასა და რეაბილიტაციის ალბათობას.
- პირობების გადახედვა და კანონში რეალისტური პირობების გაწერა. ეს პროექტს უფრო გამჭვირვალესა და სანდოს გახდის.
- სასამართლოს კომპეტენციის გაძლიერება. ეს შეამცირებს საჭირო დროს და საშუალებას მისცემს, მეტი საქმე მიიღოს და გადაწყვიტოს.
- არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებების გაზრდა – რეაბილიტაციის გეგმაზე ხმის მიცემის უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Araujo, A., Ferreira, R., & Funchal, B. (2012), “The Brazilian Bankruptcy Law Experience”, *Journal of Corporate Finance*, 18 (4), 994–1004 pp.
2. AFME report (2016), “Potential economic gains from reforming insolvency law in Europe”.
3. Armour, J., Menezes, A., Uttamchandani, M., & van Zwieten, K. (2015), “How do creditor rights matter for debt finance? A review of empirical evidence”, in *Research Handbook on Secured Financing in Commercial Transactions*, Edward Elgar Publishing, chapter 1, 3-25 pp.
4. Carcea, M.C., D. Ciriraci, C. Cuerpo, D. Lorenzani and P. Pontuch (2015), “The Economic Impact of Rescue and Recovery Frameworks in the EU”, *European Commission Discussion Papers, No. 4*.
5. Claessens, S., Djankov, S., Mody, A., (2001), “Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws”, Eds., *World Bank Institute Development Studies*, Washington, D.C.
6. Claessens, S., & Klapper, L. (2005), “Bankruptcy around the World: Explanations of Its Relative Use”, *American Law and Economics Review* 7(1), 253–283 pp.
7. Davydenko, S., & Franks, J. (2008) “Do Bankruptcy Codes Matter? A Study of Defaults in France, Germany, and the U.K.”, *Journal of Finance*, 63 (2): 565–608 pp.
8. Djankov, S., Hart, O., McLiesh, C., & Shleifer, A., (2008), Debt Enforcement around the World, *Journal of Political Economy*, 116 (6), 1105-1149 pp.
9. EBRD (2014), Assessment of Insolvency Office Holders
10. European Commission (2016), “Impact assessment study on policy options for a new initiative on minimum standards in insolvency and restructuring law”
11. Ferrando, A., Maresch, D., & Moro, A. (2015) “Creditor protection, judicial enforcement and credit access”, *ECB Working Paper Series, No. 1829. July 2015*
12. Hart, O. (2000), “Different approaches to bankruptcy”, *Harvard Institute of Economic Research Paper*.
13. IMF (2013), Dealing with private debt distress in the wake of the financial crisis
14. IMF (1999), Orderly & Effective Insolvency Procedures
15. La Porta, R., Lopez-de-Silanes, F., Shleifer, A., & Vishny, R. (1997), “Legal determinants of external finance”, *Journal of Finance* 52 (3), 1131–1150.
16. Lee, S. H., Yamakawa, Y., Peng, M. W., & Barney, J. B. (2011) “How do bankruptcy laws affect entrepreneurship development around the world?” *Journal of Business Venturing*, 26(5): 505-520 pp.
17. Smrcka, L., Arltova, M., Schonfeld, J., & Louda, L. (2014), “Parameters of insolvency proceedings in developed countries and their dependence on economic performance”, <http://inase.org/library/2014/santorini/bypaper/ENVIR/ENVIR-53.pdf>
18. World Bank (2016), Principles for effective insolvency and creditor and debtor regimes
19. United Nations Commission on International Trade Law (2005), Legislative Guide on Insolvency Law
20. USAID (2015), Assessment of the Insolvency System in Georgia

დანართი I- გადახდიისუნარობის კანონის შეფასების შემჯამებელი

მიმოხილვა (G4G/USAID, 2015)

EXECUTIVE SUMMARY

The Ministry of Justice of Georgia (“MoJ”) has requested the USAID *Governing for Growth (G4G) in Georgia* project to perform an assessment of the Georgian insolvency system. The MoJ is currently considering amending the *2007 Law on Insolvency Proceedings* (the “Law”)¹⁵³ and has formed an internal working group to prepare draft amendments in response to a widespread recognition that there are problems in its application and to its sparse utilization. The Deputy Minister of Justice requested G4G support in performing an evaluation of both the Law and the overall insolvency system to assist the ministry in its drafting efforts and to ensure that the resulting legislation will be more consistent with emerging “international best practices” for insolvency regimes. The results of the assessment¹⁵⁴ by the G4G team are set out in the following sections of this report.

LOW LEVEL OF USE OF INSOLVENCY PROCEEDINGS

It appears that the Law is utilized relatively infrequently as a tool to resolve financial distress in Georgia.¹⁵⁵ It is possible, as we have been told, that the Law’s infrequent use is in part because of the stigma that still attaches to insolvency. However, another reason may also be because the Law, and the manner in which it has been interpreted, has not met the needs of either debtors or creditors in the current economy. As discussed further herein, the Law adversely affects the rights of senior secured creditors, largely ignores the rights of unsecured creditors, and does not provide a flexible enough framework for “rehabilitation” to be a useful strategy for either debtors or creditors. Managers and directors of companies facing financial difficulty might be more inclined to take timely insolvency action if the legal framework were to provide appropriate incentives to encourage sooner intervention and better overall practice. In the context of financial distress, the sooner action is taken, the more options there are to address the problem.

PRINCIPAL FINDINGS

- The report’s most significant findings are summarized below:
- The stated purpose of the Law is not expressed in terms which maximize the protection of creditors’ rights or of the net value of the debtor’s assets. The stated purpose of the Law, “...to equally protect the rights of a debtor and of a creditor (creditors),” is unusual in the emphasis that it gives to the debtor. Insolvency laws are more commonly thought of as providing a collective mechanism for creditors to maximize the recovery of amounts due to them when the debtor is unable to generally meet its contractual obligations when they become due. While reorganization of the debtor’s business is generally considered preferable to the outright sale of the debtor’s assets, reorganization is best viewed as a strategy to maximize the value of the debtor’s assets for the benefit of its creditors, rather than an end in itself. Such a change in the orientation of the legislation will require substantial redrafting.
- The lack of clarity in the responsibilities of the Insolvency Office Holder (“IOH”) and the debtor significantly hinders the maximization of the value of the insolvent debtor’s assets.
- It is not clear in the Law that the protection of the net asset value of all of the debtor’s assets for the benefit of the pre-insolvency creditors is the most basic of the trustee’s responsibilities.
- The National Bureau of Enforcement (“NBE”) in its role as trustee, does not appear to be organized in such a way as to effectively allow it to protect the intangible assets of an

¹⁵³ All references herein are to the *Law of Georgia on Insolvency Proceedings*. Parliament of Georgia, 28th of March 2007, (No: 4522-IS), as amended 11th of December 2014 (No: 2922-IS) unless otherwise indicated.

¹⁵⁴ We wish to note the excellent cooperation our team received from the Georgian Ministry of Justice, and its agency, the National Enforcement Bureau, in particular the NBE’s openness and candor in discussing the many challenges they face in carrying out the complex requirements under difficult circumstances on a day-to-day basis.

¹⁵⁵ See chart in Appendix G, displaying the few case filings in number (approximately 25 – 100 per year) relative to business registrations (approximately 10,000 – 20,000 per year).

insolvent debtor, including accounts receivable. The IOH has an obligation to protect the value of all intangible assets of the debtor, as well as the real and moveable tangible assets. Where it lacks the specialized expertise to convert a particular type of asset (accounts receivable, for example) into cash, the IOH should be able to engage such experts to assist it.

- The Law fails to establish a framework to ensure that people performing IOH roles are accountable, competent, honest, or have the necessary experience. Protecting the assets of the debtor for the benefit of the creditors is a complex and difficult role, which requires a broad understanding of the laws which affect an insolvent business, as well as sufficient business knowledge to deal with the debtor's assets effectively.
- The lack of rigorous qualifications and experience required by parties who carry out the duties of an IOH remain unaddressed since the 2009 European Bank for Reconstruction and Development ("EBRD") survey which previously identified these deficiencies.
- The NBE, in carrying out its responsibilities in insolvency cases, should seek specialized technical training for the staff of its Insolvency Department.
- The MoJ should also consider developing a mid-term strategy to convert the Insolvency Department of the NBE into a regulatory body for the oversight and licensing of private sector IOHs.¹⁵⁶
- The use of mandatory auction as the exclusive sales method for assets in bankruptcy cases is not always the most effective method for realizing the highest net value. Other suitable mechanisms for disposal of assets in a transparent and appropriate manner should be included in an amended law, including the power to sell perishable and time-dated inventory.
- The relatively few articles which comprise the Law leave many common situations unaddressed. This lack of detail in the Law to address specific issues impacts efficient case resolution and the ultimate realization of asset values. There is often no legal basis provided to protect the interests of either creditors or the debtor in certain common situations. For example, the Law does not contain provisions:
 - That require public utilities to continue to provide essential services;
 - Regarding the rights of the IOH and creditors when there are goods in transit at the time a proceeding is opened;
 - That allows the IOH to effectively recover assets divested by the debtor immediately before the insolvency proceeding is opened;
 - That specify whether and under which circumstances the IOH can temporarily continue some of the operations of the debtor in order to protect the value of the assets;
 - That specify under what circumstances the IOH can sell perishable or time-dated inventory urgently, to protect their value.
- The lack of precision in the current Law has also led to its inconsistent application by the courts in numerous instances.
- The grouping of all secured creditors into a single rank of creditors seriously undermines the principle of "first-in-time" to register collateral, which is a foundational rule generally used to establish priority of mortgage charges and liens in modern commercial usage globally. This important principle of determining the priority of mortgages, liens and other types of security fails to apply once an insolvency proceeding has been opened. Instead, in certain circumstances, the claims of all secured creditors are "pooled," together and treated as though all secured creditors had the same rights irrespective of priority. Besides lacking fairness, this treatment increases the level of uncertainty and unpredictability for lenders, which negatively impacts the cost and availability of credit to all borrowers. This treatment is inconsistent with international best practices.
- Ineffective provisions in the Law regarding rehabilitation plans restrict the use of business rescue as a tool to maximize value. In particular:
 - The rehabilitation provisions of the Law lack fairness, in that the unsecured creditors are not entitled to vote on a plan that affects their rights profoundly;

¹⁵⁶ Georgia is the only country in the EBRD survey in which the IOH is a government agency; other countries have opted for solutions in which private sector individuals and sometimes legal entities are appointed to IOH roles, subject to varying degrees of oversight.

- The rehabilitation provisions of the Law require *full* settlement of the claims of all creditors. This is in sharp contrast to the more usual requirement that a plan may propose *less than full* recovery, subject to creditor agreement expressed by vote, with the typical safeguard that the plan should provide at least as great a recovery by all ranks of creditors as they would realize from the outright sale of the debtor's assets. The Law should be amended to allow rehabilitation plans to offer less than full settlement of the claims of each rank of creditors, subject to the requirement that no class of creditors is worse off under a plan than they would be if the debtor's assets were sold.
- The large number of ranks of creditors, the claims of which must be satisfied before any distribution can be made to the next rank, means that the lower ranks of creditors are likely to have to wait a considerable period before they receive any amounts due to them. Where there is a structure with many ranks of creditors, the most junior creditors may well prefer to a smaller but much earlier recovery which will result if the assets of the debtor are sold. Such a tiered structure of many ranks of creditors is less likely to have the support of junior unsecured creditors than a structure with fewer ranks. The number of ranks should be reduced, and in particular, provisions allowing for the satisfaction of small "administrative convenience" claims be added.
- The claims of the government (typically unpaid taxes) should be treated as a general unsecured claim, as laws that grant the state a superior priority in a bankruptcy distribution have fallen out of favor in modern international practice. Granting a high-priority status to state claims only creates a strong disincentive for this highly-privileged creditor to ever vote in favor of a rehabilitation plan, instead preferring a bankruptcy distribution where the state will immediately be paid in full. Conversely, this same scenario also creates a strong incentive for the more junior and unsecured creditors to opt for rehabilitation solely to avoid the state immediately taking all in a bankruptcy distribution thereby leaving little remaining for them.

PROPOSED AMENDMENTS

After the conclusion of the fieldwork for this assessment, the team received a set of proposed amendments to the Law from the MoJ on 22 May, 2015. While some of the proposed amendments address certain concerns raised in this report, such as an all-creditor vote on a rehabilitation plan, the proposed amendments generally do not address all the issues identified. Certain fundamental issues remain unaddressed, including: the purpose of the Law, the preservation of the relative ranking secured creditors, as well as the lack of clarity regarding the basic primary functions of the NBE in its role as trustee. While the proposed amendments are a welcome improvement, we believe considerably more will need to be done to fully address the fundamental issues raised in this report.

EARLY DISMEMBERMENT OF THE DEBTOR

The data provided by the NBE on the open insolvency proceedings (included as Appendix C) suggest that in many proceedings the banks have been successful in having the debtor transfer its real assets to the banks' names before the opening of an insolvency proceeding. This has the effect of dismembering the debtor's "going concern value" and making the prospects of a successful rehabilitation plan remote. If so, this should be addressed by new amendments containing provisions covering preferential transfers. Because the information from the NBE was made available after our fieldwork ended, the team was not able to fully examine whether the banks recovered more than amounts due to them when the debtor's real assets were transferred to bank ownership.

NEED FOR A SUBSTANTIALLY NEW LAW

Based upon our current review, we find that the current insolvency system in Georgia, regulated by the *2007 Law on Insolvency Proceedings*,⁵ possesses significant legal and economic weaknesses. Stronger policies underlying the legislation that governs the insolvency system are needed to create a more effective environment for the resolution of financial failure in Georgia. Addressing these and other issues raised in the main body of the report are likely to require a major redrafting or an altogether new law if it is to achieve close consistency with emerging norms of international best practice⁶ for national insolvency systems.

დანართი II – საერთაშორისო ექსპერტის, ჰანს იანუსის შეფასება

საქართველო

რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტი

1. ფონი

ითვლება, რომ თანამედროვე და კარგად ფუნქციონირებადი გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მნიშვნელოვანი ხელსაწყოა საწარმოებისთვის, გაუმკლავდნენ ფინანსურ სირთულეებს, გადაარჩინონ საწარმო, შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები და დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები. დახვეწილი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურები, როგორც წესი, შეიცავს საქმის სასამართლოს გარეთ მოგვარების წესებს, სასამართლოზე დაფუძნებული რეაბილიტაციის ან გაკოტრების პროცედურებსა და ჰიბრიდულ ვარიანტებს. ბევრ ქვეყანაში მოქმედებს მომხმარებლის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონმდებლობა. საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, IMF, EBRD და სხვ.) არაერთი კვლევა ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანია ზოგადად გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და საწარმოს გადარჩენის პროცედურები, რათა მეწარმეებს მიეცეთ „მეორე შანსი“. მსოფლიო ბანკის ბიზნესის შეფასებით, „გადახდისუუნარობის გადაწყვეტა“ არის ერთ-ერთი 10 ინდიკატორიდან, რომელიც აფასებს, რამდენად მეგობრულია ქვეყნის ბიზნესგარემო.

2. საქართველოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მოქმედი კანონმდებლობა

2007 წელს მიღებული საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, რომელშიც მოგვიანებით შევიდა ცვლილებები, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს თანამედროვე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის მოთხოვნებს. 2017 წელს შეტანილი მნიშვნელოვანი და მეტწილად დადებითი ცვლილებების მიუხედავად, ის ჯერ კიდევ შორსაა მსოფლიოში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკისგან. ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ექსპერტებმა გააკრიტიკეს საკანონმდებლო აქტი და რეკომენდაცია გაუწიეს არა არსებული კანონის შეცვლას, არამედ მის სრულიად ახალი კანონით ჩანაცვლებას¹⁵⁷. 2017 წლის ცვლილებამ, შედეგად, ბევრად უკეთ დაგვანახა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში საქართველოს რეიტინგი „გადახდისუუნარობის აღმოფხვრის“ ინდიკატორში, რადგან ქვეყანამ 2017 წლის 106-ე ადგილიდან 2018 წელს 57-ე ადგილზე გადაინაცვლა¹⁵⁸. თუმცა გადახდისუუნარობის გადაწყვეტის ინდიკატორი კვლავ რჩება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ცუდ შედეგად.

3. შეფასებისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი მასალა

აღნიშნული შეფასება ეყრდნობა შემდეგ საკანონმდებლო აქტებს:

(ა) 2018 წლის რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ინგლისური თარგმანი;

(ბ) 2007 წლის საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, ინგლისური თარგმანი, 2014 წლის სტატუსი;

¹⁵⁷ USAID G4G, საქართველოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სისტემის შეფასება, 2015 წელი, გვ. 35; *Saha/Janus*, Reform des Insolvenzrechts – Priorität für die Wirtschaftspolitik, Newsletter of German Economic Team (GET) Georgia, March-April 2016; *Janus/Migriauli*, Georgiens schwieriger Weg zu einem modernen Insolvenzrecht, Wirtschaft und Recht in Osteuropa (WiRO) 2016, p. 336-338.

¹⁵⁸ მსოფლიო ბანკი, ბიზნესის კეთება 2018, სამუშაო ადგილების შექმნის რეფორმა, საქართველოს ეკონომიკური პროფილი, გვ. 51-56.

(გ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 2017 წლის ცვლილებები, არა სამართლებრივი დოკუმენტის, არამედ საინფორმაციო ბიულეტენის სახით.

2018 წლის რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ინგლისური თარგმანი სრულად გადმოსცემს საკანონმდებლო აქტის შინაარსსა და კანონპროექტის ავტორების ჩანაფიქრს. თუმცა ტექსტში არის უამრავი მართლწერის პრობლემა, შეცდომა და არალოგიკური წინადადება¹⁵⁹.

4. ზოგადი დასკვნები

2018 წლის რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, დიდი ნახტომი იქნება საქართველოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონმდებლობაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება არის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სრულიად შეცვლილი ფილოსოფია და მიზნები, რომლის ამოსავალიც საწარმოს რეაბილიტაციაა და არა ლიკვიდაცია. მოქმედ კანონთან შედარებით, შთამბეჭდავი ცვლილებებია:

ა) მოქმედ კანონთან შედარებით, კანონპროექტი მნიშვნელოვნად ვრცელია. ეს ფაქტი ამცირებს გაუგებრობების, ბუნდოვანების, კანონზე გვერდის ავლის და სხვ. რისკებს;

ბ) მიზნები და პრინციპები სრულიად ახლებურად განისაზღვრა: აქტივების გაყიდვისა და განაწილებიდან აქცენტი გადავიდა საწარმოს რეაბილიტაციაზე (მუხლი. 1, 2, 71, 101). ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და დადებითი ცვლილებაა მოქმედი კანონის მთავარი სისუსტის გადასაჭრელად.

გ) რამდენიმე თავის შესავალი მუხლები საუბრობს რეგულირებული საკითხის „ცნებაზე“. ეს გვეხმარება კანონშემოქმედთა მოტივაციისა და ამოცანების გაგებაში. ეს მიდგომა სასარგებლოა მოგვიანებით, როდესაც კონკრეტული მუხლების ინტერპრეტაცია ხდება საჭირო.

დ) ახალშემოღებული „რეგულირებული შეთანხმება“ ამყარებს მოვალის გადარჩენის ცნებას, რადგან გვთავაზობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების წინარე (სასამართლოს გარეთ) პროცედურებს, რომელსაც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი წარმართავს (იხ. მუხლი 21, 24). თუმცა ბუნდოვანია, რეგულირებული შეთანხმების კანდიდატი და ზედამხედველი ერთი და იგივე ადამიანია თუ არა (იხ. მუხლი 18, პუნქტი 7.21).

ე) ძირითადად, ფიზიკური პირები არ არიან გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების კანონპროექტით (იხ. მუხლი 4, პუნქტი 2 და 3), მაგრამ რეგულირებული შეთანხმებით ისინიც შეიძლება იყვნენ მოვალეები (იხ. თავი 2, მუხლი 18, პუნქტი 3). შეთანხმების წარმატებით შესრულების შემდეგ ისინიც შეიძლება გათავისუფლდნენ დარჩენილი ვალისგან (გერმანული: „Restschuldbefreiung“). თუმცა ეს არ არის რეალური ფიზიკური პირის გაკოტრების პროცედურა.

ვ) მოვალის ბიზნეს ოპერაციების ფიზიკური გაგრძელება შეიძლება დაიცვას სასამართლომ, რომელსაც შეუძლია აუკრძალოს კონტრაქტორებს მუშაობისთვის მნიშვნელოვანი სერვისების მიწოდების შეწყვეტა (იხ. მუხლი 58).

ზ) „გადახდისუუნარობა“ და „მოსალოდნელი გადახდისუუნარობა“ კვლავ რჩება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი (იხ. მუხლი 5), თუმცა მე-6 მუხლი (გადახდისუუნარობის ცნება) კიდევ უფრო ავართოებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების

¹⁵⁹ რამდენიმე მაგალითი: თავების ნუმერაცია არასწორია, ტექსტი არის ორი VI და XII თავები, ტექსტში არის რამდენიმე მუხლი, რომელიც იწყება 1-ლი პუნქტით, თუმცა არ მოსდევს მე-2 და მეტი პუნქტი. 74-ე მუხლში მოცემულია მხოლოდ მე-5 და მე-6 პუნქტები და სხვ.

დაწყების საფუძველს და ამკვიდრებს „სავარაუდო გადახადისუუნარობის“ ცნებას, როცა მთლიანი ვადამოსული ვალდებულებების ჯამი აღემატება აქტივის ჯამს (გერმანული: „Überschuldung“).

თ) „გადახადისუუნარობის პრაქტიკოსის“ პოზიცია სავალდებულოა, რაც მოქმედი კანონმდებლობისა და გადახადისუუნარობის საქმის წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი ხარვეზის გადაწყვეტას წარმოადგენს.

ი) უამრავი შეზღუდვის გაუქმება აძლიერებს კრედიტორების უფლებას, მოითხოვონ გადახადისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება (მოთხოვნის მინიმალური ოდენობა, კრედიტორის წინააღმდეგ სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილება, ორი ან სამი კრედიტორის ერთობლივი განცხადება და სხვ.).

კ) პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპები გახდება საჯარო და გამოქვეყნდება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე (იხ. მუხლი 45, პუნქტი 4, განცხადების დასაშვებად ცნობა; მუხლი 46, პუნქტი 5 და 6, განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმა და გაკოტრების გამოცხადება; მუხლი 52, კრედიტორთა კრების მოწვევა, გადაწყვეტილებები და ჩანაწერები; მუხლი 55, კრედიტორთა რეესტრი; მუხლი 65, პუნქტი 3, დაწყების სასამართლოს რიგითობა).

ლ) უფრო დეტალური და საერთაშორისო სტანდარტებთან ახლომყოფი შეცვლების აქტები.

მ) თანამშრომლებს მიენიჭათ პრეფერენციული კრედიტორების სტატუსი (იხ. მუხლი 71, პუნქტი 5; მუხლი 46, პუნქტი 5.1 მოქმედი კანონი).

ნ) მოვალე მართვაში ზედამხედველის ზედამხედველობის ქვეშ (იხ. მუხლი 72, პუნქტი 1, 75) არის რეაბილიტაციის მართვის ახალი ფორმა (გერმანული: „Eigenverwaltung, Schutzschirmverfahren“).

ო) უცხოური საწარმოს გადახადისუუნარობა ბევრად უფრო დეტალურადაა გაწერილი.

პ) გადახადისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურების გასაჯაროების შესახებ უამრავი ვალდებულების შემოღება უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას,

5. წინასწარი რეკომენდაციები/კითხვები

კანონპროექტის რიგი ნაწილები მეტ დაფიქრებას საჭიროებს. ვერ გამოვრიცხავთ, რომ კანონის ორიგინალ, ქართულ ვერსიაში ეს საკითხები უფრო გარკვევით არის გადმოცემული.

ა) კანონპროექტში არ არის შეტანილი ფიზიკურ პირთა გაკოტრების პროცედურა. მომხმარებელთა გადახადისუუნარობის საქმის წარმოების სამართლებრივი რეგულირება უნდა მოხდეს ცალკე საკანონმდებლო აქტით ან დებულებები შევიდეს კანონპროექტში;

ბ) გადახადისუუნარობის პრაქტიკოსები (იხ. მუხლი 10) უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება ყველა ფორმის გადახადისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურაში. ეს ახალი და დადებითი ცვლილებაა. გადახადისუუნარობის პრაქტიკოსი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი (იხ. მუხლი 10, პუნქტი 2) და მოქმედებს როგორც ზედამხედველი ან კანდიდატი რეგულირებული შეთანხმების შემთხვევაში (იხ. მუხლი 76), რეაბილიტაციის ან გაკოტრების მმართველი. კანონპროექტით ან, უკეთეს შემთხვევაში, გადახადისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესიის კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციით უნდა განისაზღვროს პროფესიული კვალიფიკაციის მინიმალური სტანდარტი და პროფესიული ცოდნის შენარჩუნების/გაზრდის ვალდებულება.

გ) უნდა დადგინდეს რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველის შერჩევის წესები და შეიქმნას ელექტრონული სისტემა (იხ. მუხლი 10, პუნქტი 5). ეს იგივე ელექტრონული სისტემაა, რომელზეც საუბარია მე-17 მუხლში? გადახადისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურების გამჭვირვალობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ელექტრონული სისტემის არსებობა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას.

დ) მე-3 მუხლი „ტერმინთა განმარტება“ არ შეიცავს ყველა ტერმინის განმარტებას. მაგალითად, არ არის განმარტებული „მოვალე“ მე-4 მუხლის მე-4 პარაგრაფში.

ე) სასამართლოს მიერ განჩინების ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებაზე კერძო საჩივრებისთვის დადგენილი 5-დღიანი ვადა ძალიან ცოტაა, რომლის გაგრძელებაც არ არის დაშვებული (იხ. მუხლი 8, პუნქტი 4). სხვა ვადებიც (მაგალითად, სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანისთვის) საკმაოდ მცირეა. პროცედურების დაჩქარების თვალსაზრისით ეს კარგია, თუმცა გადახდის უუნარობის პროცედურაში მონაწილე მხარეების ინტერესებისა და მისაღები გადაწყვეტილებების ხარისხის გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ ვადების მცირედით გახანგრძლივებაზე.

ვ) თუ კრედიტორი ითხოვს მოვალის გადახდის უუნაროდ გამოცხადებას, მისი მოვალეობა სასამართლოს დოკუმენტაციის (განცხადებისა და შეტყობინების რეგისტრაცია) მოვალისთვის გაგზავნა (იხ. მუხლი 44). რატომ არ აკეთებს ამას სასამართლო?

ზ) არსებობს უამრავი ვალდებულება სხვადასხვა გადაწყვეტილებებისა თუ დოკუმენტების გამოქვეყნების თაობაზე. ყოველთვის ცხადი არ არის, რა საშუალებით უნდა გამოქვეყნდეს აღნიშნული დოკუმენტაცია. ზოგჯერ ეს არის საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ან ელექტრონული სისტემა (იხ. მუხლი 17), ზოგჯერ კი არ არის მითითებული დამატებითი ინფორმაცია (მაგალითად, მუხლი 45, პუნქტი 4 ან მუხლი 73, პუნქტი 1). უნდა განიმარტოს.

თ) 66-ე მუხლში უნდა გადამოწმდეს „რეაბილიტაციის ზედამხედველის“, „რეაბილიტაციის მმართველისა“ და „რეაბილიტაციის ადმინისტრატორის“ ტერმინების მართებული გამოყენება.

ი) შეცილებული ქმედება. 67-ე მუხლში უნდა განიმარტოს, რომ მოვალის მმართველობის უმოქმედობაც შეიძლება გახდეს შეცილების საფუძველი და ისეთივე რეაქცია მოჰყვება, როგორც ქმედებას.

კ) 56-60 (მორატორიუმი) მუხლების ინგლისურ თარგმანში უამრავი შეცდომაა. ეს ნაწილი თავიდან უნდა შემოწმდეს და გასწორდეს.

ლ) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს როლი: კრედიტორთა კრებას რატომ იწვევს აღსრულების ეროვნული ბიურო და არა რეაბილიტაციის ზედამხედველი ან რეაბილიტაციის მმართველი (იხ. მუხლი 76, პუნქტი 3ა; მუხლი 77, პუნქტი 5 ც). განსხვავებული წესი მოქმედებს გაკოტრების მმართველის შემთხვევაში: მას შეუძლია თავად მოიწვიოს კრედიტორთა კრება ან მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს (იხ. მუხლი 102, პუნქტი 3ა). რატომ?

მ) ვადის ამოწურვა: 96-ე მუხლში არ არის მითითებული რეაბილიტაციის რეჟიმის დასრულების ვადა.

ნ) კრედიტორების რიგითობას არეგულირებს 106-ე და 107-ე მუხლები. 106-ე მუხლის პირველ პუნქტში უნდა გაკეთდეს მითითება 107-ე მუხლზე (უზრუნველყოფილი კრედიტორები), წინააღმდეგ შემთხვევაში, რჩება შთაბეჭდილება, რომ 106-ე მუხლში უზრუნველყოფილი კრედიტორები დაავიწყდათ.

6. დამტკიცების შემთხვევაში, კანონპროექტის შესაძლო ზემოქმედება

კანონპროექტის შესაძლო ზემოქმედების შეფასებისთვის ყოველგვარი მეცნიერიული რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების მეთოდების გამოყენების გარეშე უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონპროექტის იმპლემენტაცია პირდაპირ იქნება კავშირში მნიშვნელოვან გაუმჯობესებასთან. ეს შეიძლება იყოს:

- გადახდის უუნარობის პრაქტიკოსის ახალი პროფესია გადახდის უუნარობის საქმის წარმოებას უფრო პროფესიონალურს, ბაზარზე ორიენტირებულს, გამჭვირვალესა და სამართლიანს გახდის;

- კრედიტორთა უფლებები მნიშვნელოვნად გაძლიერდა, განსაკუთრებით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების გაკეთების ეტაპზე;
- მოქმედ კანონთან შედარებით, კრედიტორთა რიგითობა უფრო სამართლიანია: აღსრულების ეროვნული ბიუროს, საგადასახადო უწყებებისა და უზრუნველყოფილ კრედიტორთა დომინანტური პოზიცია შემცირდა და რიგითობა მეტად დაბალანსებულია;
- რეაბილიტაციაზე სწორება საქართველოს კიდევ უფრო აახლოებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან;
- „რეგულირებული შეთანხმების“ შემოღება მნიშვნელოვანი წინსვლაა, რადგან ეს არის ნამდვილი გადახდისუუნარობის წინარე პროცედურა;
- ამ უფლებით სარგებლობა შეუძლიათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც კომერციულ საქმიანობას ეწევიან;
- დროითი შეზღუდვები და ვადები ემსახურება გადახდისუუნარობის საქმის პროცედურების დაჩქარებას;
- კორუფციის რისკი მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს. მოვალის აქტივების გაყიდვა აუქციონის გზით ბევრად უფრო იშვიათად მოხდება, რადგან რეაბილიტაცია არის პრიორიტეტული პროცედურა. გარდა ამისა, „მომრიგებელი საბჭო“ ამოღებულია კანონპროექტიდან და მისი უფლებამოსილებები გადაეცემა კრედიტორთა საბჭოს, სასამართლოსა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს, რაც უკეთესი ბალანსია;
- პროცედურებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჯაროების შესახებ ვალდებულებების დაწესებით გაიზარდა გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების წვდომა ინფორმაციაზე.

7. რისკები და მათი შემცირება

რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტს რადიკალური ცვლილება შეაქვს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფილოსოფიაში: ლიკვიდაციისა და აქტივების გაყიდვის ნაცვლად პრიორიტეტი ხდება საწარმოს რეაბილიტაცია და მეწარმისთვის „მეორე შანსის“ მიცემა. კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია „კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება, შესაძლებლობის შემთხვევაში რეაბილიტაციის მიღწევის ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით“¹⁶⁰. ეს მუხლი შეიცავს ორ ამოცანას, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ერთმანეთთან: გადახდისუუნარობის მასის რეალიზაცია და რეაბილიტაცია. დროის ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სწრაფი ლიკვიდაცია შეიძლება მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი იყოს კრედიტორებისთვის, როცა რეაბილიტაციას გაცილებით მეტი დრო სჭირდება. თუმცა გრძელვადიან პერიოდში რეაბილიტაცია გაცილებით მიმზიდველი ვარიანტია კრედიტორებისთვის.

ეს ორი მიზანი თანაბრად მნიშვნელოვანია თუ რომელიმე უფრო უპირატესია? მართალია, პირველი მუხლის თანახმად, ორივე მათგანი მნიშვნელოვანია, მათ შორის განსხვავება მაინც არსებობს. „კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება“ უნდა მოხდეს „რეაბილიტაციის“ გზით და გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან, „რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში“. შესაბამისად, პირველი მუხლი იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, თუმცა აშკარაა, რომ

¹⁶⁰ მსგავსი რეგულაცია გვხვდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ გერმანიის 1994 წლის კანონში (Insolvenzordnung), რომელშიც მოგვიანებით შევიდა ცვლილებები.

კანონის ავტორები უპირატესობას სწორედ რეაბილიტაციას ანიჭებენ¹⁶¹. მე-2 მუხლში საუბარია კანონის პრინციპებზე და იძლევა კანონის ინტერპრეტირებისა და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სასამართლოსა თუ სასამართლოს გარეთ გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან მინიშნებებს. დროთა განმავლობაში დავინახავთ მოსამართლეების, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების, ადვოკატებისა და უნივერსიტეტების სამართლის პროფესორების დაბალანსებულ მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით¹⁶². ამ ახალმა კონცეფციამ მოითხოვა სრულიად ახალი კანონის შექმნა. ახალი კანონპროექტი ბევრად უკეთესია, ვიდრე მოქმედი კანონი, რაც დიდი წინსვლაა საქართველოს კომერციული სამართლისთვის. თუმცა, როგორც ნებისმიერი ახალი საკანონმდებლო აქტის შემთხვევაში ხდება, ასეთი რთული პროექტის განხორციელებას თან ახლავს რისკები და ხარვეზები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია.

აღნიშნულ სიაში გაანალიზებულია კანონპროექტის შესაძლო რისკები და სისუსტეები და მათი შემცირების ზომები.

1. პოტენციური რისკები და მათი შემცირების ზომები¹⁶³

რისკი	რისკის შემცირება
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსებს არ აქვთ საკმარისი პროფესიული ცოდნა	მე-10 მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. უნდა დადგინდეს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა პროფესიის მინიმალური სტანდარტი. შემოდებულ უნდა იქნას ვალდებულება, რეგულარულად განიახლონ/გაიდმონ პროფესიული ცოდნა.
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის შერჩევის შემთხვევითობის პრინციპით შეიძლება დაინიშნოს პრაქტიკოსი, რომელსაც არ აქვს კონკრეტული საქმის მართვისთვის საკმარისი კომპეტენცია	განსაკუთრებით შედარებით მსხვილი გადახდისუუნარობის საქმეების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს დასჭირდება დამატებითი პერსონალი. შესაბამისად, ყველა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი ვერ შეძლებს საქმის წარმართვას. არსობრივად ავტომატური შერჩევა არ არის ცუდი, რადგან ეს არის ობიექტური პროცედურა, რომელიც გამორიცხავს არაობიექტურ გავლენას. თუმცა შეიძლება ბოლო სიტყვის თქმის უფლება მიეცეს სასამართლოს, რომელსაც ექნება უფლება, დანიშნოს სხვა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი.
არ არსებობს ელექტორული შერჩევის სისტემა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსებისთვის	არსებითად კარგი იდეაა, გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს რიგითობისა და ანბანური თანმიმდევრობით. თუმცა ამ შემთხვევაში ძირითადი დაშვება ის არის, რომ ყველა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი თანაბრად კომპეტენტურია, წარმართოს საქმე. მაქვს ეჭვი და რეკომენდაციას ვუწევ, რომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, შეცვალოს

¹⁶¹ აღნიშნული შეფასების სისწორე დამოკიდებულია კანონპროექტის ინგლისური თარგმანის ხარისხზე.

¹⁶² მიუხედავად იმისა, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ გერმანიის კანონშიც მსგავსი ფორმულირებაა, გერმანულ კანონში არ გვხვდება სიტყვები „რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში“. შესაბამისად, ეს ორი ვარიანტი გერმანიაში თანაბრად მნიშვნელოვანია. მაგალითისთვის, იხ. *E. Braun, Insolvenzordnung, 7th edition 2017, § 1 InsO, Note 3; U. Foerste, Insolvenzrecht, 7th edition 2018, p. 10, 11.*

¹⁶³ ყველა მუხლი, რომელშიც არ არის ნახსენები სამართლებრივი აქტი, არის რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტიდან (კანონპროექტი).

	გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი უფრო კომპეტენტური კანდიდატით.
<p>გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველები უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს</p>	<p>მე-5 მუხლის პირველი პუნქტი საუბრობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების ორ საფუძველზე. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი გთავაზობს მოვალის გადახდისუუნარობის „ვარაუდებს“, ყოველგვარი დამატებით განმარტების გარეშე, ამ ორი საფუძველიდან რომელი უნდა განხორციელდეს. ეს ქმნის გაურკვევლობას და შეიძლება გამოიწვიოს უსარგებლო დისკუსიები. ჩემი აზრით, მე-6 მუხლის 3ბ პუნქტი იმდენად რელევანტურია, რამდენადაც მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განმარტებული გადახდისუუნარობის საფუძველები. ამიტომ „მთლიანი ვადამოსული ვალდებულებების ჯამი აღემატება მთლიანი აქტივის ჯამს“ შეტანილ უნდა იყოს მე-5 მუხლის პირველ პუნქტში, როგორც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მესამე საფუძველი. მე-6 მუხლი შეიძლება იყოს მუხლი, რომელიც განმარტავს, რა შემთხვევაში მიიჩნევა მოვალე გადახდისუუნაროდ.</p>
<p>მოვალის ვალდებულება, შეიტანოს განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებაზე, არ მოიცავს გადახდისუუნარობის ყველა სამართლებრივ საფუძველს.</p>	<p>მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოვალე ვალდებულია, სამი კვირის განმავლობაში შეიტანოს განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებაზე. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი მიმართავს აკეთებს მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე. დიდი ალბათობით, ეს არის ტექნიკური შეცდომა და უნდა იგულისხმებოდეს მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. თუმცა არც ეს მითითება იქნებოდა ბოლომდე სწორი. მიმართვა უნდა გაკეთდეს გადახდისუუნარობის ყველა საფუძველთან, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „გადახდისუუნარობა“ და „მოსალოდნელი გადახდისუუნარობა“ და მე-6 მუხლის 3ბ პუნქტის მიხედვით, „მთლიანი ვადამოსული ვალდებულებების აღემატება მთლიანი აქტივის ჯამს“.</p>
<p>არ არსებობს ან გამოტოვებულია რეგულაცია მოვალის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და მეტისმეტად დაგვიანებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შესახებ</p>	<p>მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოვალე ვალდებულია, გადახდისუუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს სამი კვირისა წარადგინოს განცხადება სასამართლოში გადახდისუუნარობის წარმოების გახსნის შესახებ. კანონპროექტში არაფერია ნათქვამი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე. თუმცა ეს ნაწილი გვხვდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლში. არც კანონპროექტის მე-14 მუხლი და არც სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი არ არის დეტალური და მკაფიო. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის აუცილებელია, ზუსტად გაიწეროს, გადაცდომის რა ფორმა დაისჯება და როგორ. კანონპროექტის მე-14 მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი უნდა განმარტავდეს, მხოლოდ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების არგაკეთება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ დაგვიანებული და მცდარი განცხადებაც. დასადგენია თავად სასჯელის</p>

	ოდენობაც. კანონპროექტსა და სისხლის სამართლის კოდექსს შორის თანხმობა აუცილებელია.
განცხადების შეტანისთვის დადგენილი 5-დღიანი ვადა ძალიან მცირეა	მე-8 მუხლის თანახმად, კერძო საჩივარი არის ერთადერთი და, შესაბამისად, უკიდურესად მნიშვნელოვანი სამართლებრივი იარაღი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში. კერძო საჩივრის წარდგენისთვის ხუთი დღე (მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი არ იძლევა გაგრძელების უფლებას) ან ხუთი დღე სასამართლოსთვის, მიმართოს სასამართლოს უმაღლეს ინსტანციას (მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი – გაგრძელების ვარიანტით ან მის გარეშე?) ძალიან ცოტაა. მთელი რიგი საქმეების შემთხვევაში, ასეთ მოკლე ვადაში შეუძლებელი იქნება სწორად დამუშავებული საფუძვლის მქონე საჩივრის გაკეთება. ვადა უნდა გაიზარდოს ორ კვირამდე.
რეგულირებული შეთანხმება, ფიზიკური პირები: ვალისგან გათავისუფლება არ არის დეტალურად რეგულირებული. ამან შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული შედეგები რეგულირებული შეთანხმების პროცედურებში, არ იქნება სტანდარტიზაცია ან ჰარმონიზებული პრაქტიკა და მოვალეებსა და კრედიტორებს არ ექნებათ ნდობა რეგულირებული შეთანხმებისადმი	ფიზიკურ პირებს, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ გადაიხდიან კრედიტორების ვალებს რეგულირებული შეთანხმებით, არ ექნებათ გარანტია, რომ შეთანხმების დასრულების შემდეგ კრედიტორები არ მოითხოვენ თავდაპირველი მოთხოვნის გადაუხდელ ნაწილს. ამიტომ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგულირებული შეთანხმების მიზანი არის ფიზიკური პირის ვალებისგან საბოლოო განთავისუფლება. თუმცა არ არსებობს უფრო დეტალური რეგულაციები. კანონმა უნდა განმარტოს, რა პირობებში და რა პროცედურებით „თავისუფლდება ვალებისგან“ ფიზიკური პირი. ჩემი აზრით, 33-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები არ არის საკმარისი ფიზიკურ პირებთან მიმართებაში, რადგან ისინი არ განსაზღვრავს მოვალის პასუხისმგებლობას, გააგრძელოს მუშაობა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბიზნესის მუშაობიდან ან დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი გადასცეს კრედიტორებს.
რეგულირებულ შეთანხმებას, „კანდიდატის“ როლს აკლია განმარტება ან აღწერა	მე-3 მუხლში არ არის განმარტებული „კანდიდატი“. 21-ე მუხლი ამბობს, რომ კანდიდატი არის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი. ვუშვებ, რომ „კანდიდატი“ არის მოვალის მიერ იურიდიულ მრჩეველად დანიშნული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი. ასეთი გაუმჭვირვალობის თავიდან ასაცილებლად კანონპროექტში უნდა შევიდეს ცვლილება.
ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული წესები: რთულია ამ მუხლის შინაარსის გაგება	25-ე მუხლის შინაარსის გაგება რთულია. ცხადია, მოვალე ფიზიკური პირების მახასიათებლები რეგულირებულ შეთანხმებაში უნდა აისახოს და თავიდან უნდა ავიცილოთ კონფლიქტი კანონთან. 25-ე მუხლი ამ ფორმით აუცილებელია?
გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება: კრედიტორის როლმა შეიძლება გადაავადოს პროცედურის დაწყება	44-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი, რომელმაც შეიტანა გადახდისუუნარობის დაწყების შესახებ განცხადება, ვალდებულია, სასამართლოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტაცია გაუგზავნოს მოვალეს. თუ მოვალეს არ აქვს საკმარისი გამოცდილება ან ვერ ახერხებს ამის გაკეთებას, საქმის წარმოების დაწყება შეიძლება დიდი ხნით გადაიდოს და

	<p>სხვა კრედიტორების სამართლებრივ პოზიციას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს. შეიძლება განვიხილოთ ვარიანტი, რომლის თანახმადაც, სასამართლო იქნება ვალდებული რეგისტრირებული დოკუმენტაციის დაყოვნების გარეშე მოვალისთვის გაგზავნაზე. 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 2-თვიანი ვადა, რომლის ფარგლებშიც განმცხადებელმა მოვალემ კრედიტორს უნდა გაუგზავნოს სასამართლოს შეტყობინება, საჭიროზე ბევრად მეტია.</p>
<p>სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, როგორც ზედამხედველის, როლი რეაბილიტაციის/გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე. მონოპოლიური ვითარება ბადებს ეჭვებს.</p>	<p>სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის/გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან აღნიშნული საქმის წარმოების დაწყებამდე შუალედში აღსრულების ეროვნული ბიურო არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველის ფუნქციას ასრულებს. ასეთი მონოპოლიური პოზიცია ყოველთვის საჭიროებს მკაფიო დასაბუთებას. კანონპროექტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დადებითი მხარე არის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესიის შემოღება. თუმცა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი პასუხისმგებელი ხდება მხოლოდ რეაბილიტაციის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ. რატომ არ შეიძლება გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი ასრულებდეს „წინასწარი ზედამხედველის“ როლს, რათა ჩაანაცვლოს აღსრულების ეროვნული ბიურო? ასეთ შემთხვევაში, თავიდან ავიცილებთ პროცედურის დროს ზედამხედველის შეცვლის საჭიროებას.</p>
<p>სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო არის პასუხისმგებელი კრედიტორთა კრების მოწვევასა და ორგანიზებაზე. გაუგებარია, რატომ არ გადაეცემა ეს უფლებამოსილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სასამართლოს და/ან გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს.</p>	<p>აღსრულების ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია კრედიტორთა კრების მოწვევასა და ორგანიზებაზე (მუხლი 52, პუნქტი 1; მუხლი 76, 3ა პუნქტი; მუხლი 77, 5ვ პუნქტი; მუხლი 102, პუნქტი 3ა).</p> <p>ეს და ნახევრად მონოპოლისტური სიტუაცია (გარდა გაკოტრების მართვის შემთხვევისა, როდესაც გაკოტრების მმართველს აქვს უფლებამოსილება, მოიწვიოს კრედიტორთა კრება). ჩემი აზრით, კრედიტორთა კრებას უნდა იწვევდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სასამართლო, რომელიც უნდა იყოს კრების თავმჯდომარე. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს, რომელიც ასრულებს რეაბილიტაციის ზედამხედველის, რეაბილიტაციის ან გაკოტრების მმართველების როლს, უნდა ჰქონდეს კრედიტორთა კრების მოთხოვნის უფლება. თუ წინასწარი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა პროცედურის დაწყებამდე უნდა შეიქმნას, მას შეუძლია მოითხოვოს კრედიტორთა (პირველი) კრება (მუხლი 52, პირველი პუნქტი).</p>

8. სხვა კანონები, რომლებშიც უნდა შევიდეს ცვლილებები ან საჭიროა კანონპროექტისთვის

სულ მცირე საქართველოს ორი სხვა კანონი უნდა შეიცვალოს, თუ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონპროექტი დამტკიცდება:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებში, რომლებიც ეხება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას გადაცდომისთვის პასუხისმგებლობას, უნდა შევიდეს ცვლილებები. ამ შემთხვევაში საუბარია სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლზე.

ბ) სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს პასუხისმგებლობებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან მიმართებაში. ეს რეგულაცია არ არის კანონპროექტთან შესაბამისობაში.

გ) მომხმარებელთა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი

კანონპროექტში მხოლოდ ერთი რეგულაციაა ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც კომერციულ საქმიანობას ეწევიან. იგი არ არეგულირებს მომხმარებელთა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას. თუმცა გადახდისუუნარობის ეს ფორმა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ბევრ ქვეყანაში. სასურველია, საქართველომაც შეიმუშაოს მომხმარებელთა გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო.

9. დასკვნა

რეკომენდაცია, მოქმედი კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ შეიცვალოს სრულიად ახალი კანონით, შესრულდა. 2018 წელს წარდგენილი კანონპროექტი არის თანამედროვე, კარგად ჩამოყალიბებული, გამჭვირვალე და ეკონომიკურად ჯანსაღი საკანონმდებლო აქტი.

ყველაზე დიდი ცვლილება და მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფილოსოფიის სრულიად შეცვლა. ახლა მოვალის საწარმოს რეაბილიტაცია, როცა ამის შესაძლებლობა არსებობს, არის ყველა გადახდისუუნარობის ღონისძიების ამოსავალი.

სახელმწიფო ადმინისტრაციის გავლენა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაზე მნიშვნელოვნად შემცირდა, უნდა აღინიშნოს აღსრულების ეროვნული ბიუროს როლის მნიშვნელოვნად შემცირება და სასამართლოს ფუნქციის მნიშვნელოვნად გაზრდა.

ფასდაუდებელია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ახალი პროფესიის შემოღება და მათი სავალდებულო ჩართულობა ნებისმიერი სახის გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში.

კრედიტორების როლი გაძლიერდა უკეთესი უფლებებით მოვალის გადახდისუუნარობის მოთხოვნით და ახალშექმნილი კრედიტორთა კომიტეტისთვის მეტი უფლების მინიჭებით.

არსებობს შანსი, რომ კორუფცია, აქტივების დატაცება და არაგამჭვირვალე გაყიდვა საქმის წარმოების განაწილება ახალი კანონით შემცირდება, თუ დამტკიცდება.

კანონპროექტის საფუძველზე, საქართველოს რეიტინგი მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში აუცილებლად გაუმჯობესდება.

დანართი III – კითხვარი დაინტერესებული მხარეებისთვის

ზოგადი კითხვები:

1. რა არის მოქმედი კანონის მიზანი?
2. ზოგადად, რა უნდა იყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის მიზანი?
3. რა არის სიცოცხლისუნარიანი ბიზნესის გადარჩენის ალბათობა მოქმედი კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას?
4. რა მთავარ პრინციპებს იყენებ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი ბიზნესების წასახალისებლად, დროულად შეიტანონ გადახდისუუნარობის დაწყების შესახებ განცხადება, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია საწარმოს გადარჩენა?
5. რამდენად გონივრულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ მოქმედი კანონით დადგენილი პერიოდი?
6. როგორც წესი, სრულდება თუ არა ვადები? ძირითადად რა ფაქტორები იწვევს ვადების დარღვევას?
7. რა არის მოქმედი კანონის, მისი იმპლემენტაციისა და აღსრულების ძირითადი პრობლემები?
8. როგორ შეიძლება მოვალემ ბოროტად ისარგებლოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურით? რა ბერკეტები აქვს, არ აქვს ან უნდა ჰქონდეს?
9. რამდენად ეფექტური/ეფექტიანია მომრიგებელი საბჭოს და/ან საბჭოს მიერ გადახდისუუნარობის რეჟიმზე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის არსებობა? საჭიროა თუ არა კანონით გათვალისწინებული მომრიგებელი საბჭოს არსებობა?
10. რამდენად ეფექტურია კანონით გათვალისწინებული საჩივრის მექანიზმები?
11. რამდენად ითვალისწინებს მოქმედი კანონი კრედიტორების უფლებებს, მათ შორის არაუზრუნველყოფილი კრედიტორების? დაგვიანებული მოთხოვნები.
12. რამდენად ლეგიტიმურია კანონით დადგენილი კრედიტორთა რიგითობა? ასევე, ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, როგორ ასაბუთებს კანონი მოქმედ რიგითობას?
13. რამდენად მაღლა უნდა იდგეს უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნები?
14. რამდენად მაღლა უნდა იდგეს შემოსავლების სამსახურის მოთხოვნები?
15. შესაძლებელია თუ არა კანონით დადგენილი ქმედების შესაბამის დროში შესრულება? უნდა იყოს თუ არა კანონით ასეთი ვადები განსაზღვრული?
16. გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში რა როლი უნდა ეკისრებოდეს სასამართლოს? უზრუნველყოფილ კრედიტორებს? სხვა კრედიტორებს? მეურვეს? მოვალეს? იურისტს?
17. რამდენად ეფექტიანია აღსრულების ეროვნული ბიურო, როგორც მეურვე?
18. ვინ უნდა იყოს მეურვე?
19. რამდენად ეფექტიანია კანონით დადგენილი კრედიტორთა კრება? გადაწყვეტილების მექანიზმები კრედიტორთა კრებაზე?

20. რა ბერკეტი/ძალაუფლება უნდა ჰქონდეს კრედიტორთა კრებას რეაბილიტაციის და გაკოტრების რეჟიმების დროს?

21. რამდენად ეფექტიანია ქონების აუქციონის გზით გაყიდვის არსებული პრაქტიკა?

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება:

1. როდის უნდა დაიწყოს საქმე? უფრო რთული უნდა იყოს თუ მარტივი?
2. ვის უნდა ჰქონდეს განცხადების შეტანის უფლება?
3. რამდენად საკმარისია/რთულია კანონით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანა?
4. რამდენად ეფექტურია გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების შესახებ შეტყობინების მექანიზმი?
5. რა ღონისძიებები უნდა მოყვებოდეს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებას?
6. როგორ შეიძლება მოვალემ მორატორიუმი ბოროტად გამოიყენოს?
7. ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის რეჟიმზე?
8. როგორ შეგვიძლია „ვაიძულოთ“ მოვალე/კრედიტორი, შეიტანოს კარგად მომზადებული/დასაბუთებული განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ?
9. როდის უნდა დამტკიცდეს კრედიტორების მოთხოვნები?
10. ვინ უნდა შეამოწმოს კრედიტორების მოთხოვნები?

რეაბილიტაცია:

1. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის მიზანი რეაბილიტაცია უნდა იყოს?
2. რა მინიმალური მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს რეაბილიტაციის გეგმამ?
3. რამდენი ხანი უნდა სჭირდებოდეს რეაბილიტაციის გეგმის მომზადებას? ვინ უნდა მოამზადოს? ვის უნდა ჰქონდეს მისი დამტკიცების უფლება?
4. ვინ უნდა წარმართოს რეაბილიტაციის პროცესი? რამდენად დამოუკიდებლად უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილებების მიღება?
5. რა როლი უნდა ჰქონდეს სასამართლოს რეაბილიტაციის პროცესში?

გაკოტრება:

1. როდის უნდა დაიწყოს გაკოტრების რეჟიმი?
2. როდის უნდა დაიწყოს გაკოტრების რეჟიმი?
3. ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოვალის გაკოტრებაზე?
4. ვინ უნდა იყოს გაკოტრების მმართველი? ვინ უნდა ნიშნავდეს? უნდა დაინიშნოს ის სპეციალური სიიდან?
5. თქვენი აზრით, რა არის დღეს კრედიტორის ამოცანა (საწარმოს ქონების რეალიზაცია თუ რეაბილიტაცია)?
6. რა ვადაში უნდა დასრულდეს გაკოტრება?

7. რამდენად ეფექტიანია გაკოტრების პროცედურა დღე?
8. რა ფორმით უნდა გაიყიდოს ქონება გაკოტრების რეჟიმში?

პირები

1. გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი უნდა არეგულირებდეს ფიზიკური პირების გაკოტრებას? რამდენად საჭიროა ფიზიკური პირების გაკოტრების რეგულირების დამატებითი კანონები და ინსტრუმენტები?
2. რამდენად ადეკვატურია დღევანდელ რეალობაში ფიზიკური პირების „ვალებისგან გათავისუფლების“ ათწლიანი პერიოდი“?

დანართი IV – დაინტერესებულ მხარეთა რეესტრი

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დადასტურებული დამსწრე	შეხვედრის ორგანიზატორი	კომენტარები ¹⁶⁴	მიზანი	შეხვედრის დრო და ადგილი
საქართველოს ბანკების ასოციაციის წევრები	თიბისი ბანკი	იუსტიციის სამინისტრო	კი	კანონპროექტის განხილვა	22/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
	საქართველოს ბანკი	იუსტიციის სამინისტრო	კი	კანონპროექტის განხილვა	22/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ლიბერთი ბანკი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის განხილვა	22/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ქართუ ბანკი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის განხილვა	22/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
	სილქროუდ ბანკი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის განხილვა	22/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ზურაბ გვასალია, საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის განხილვა	22/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
მოსამართლეები	ლევან მიქაბერიძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	28/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
	მზია თოდუა	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	28/06/2018, იუსტიციის სამინისტრო

¹⁶⁴ კომენტარები წარმოადგინეს წერილობითი ფორმით.

	ლაშა კოჩიაშვილი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	28/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
	თამარ ჩუნიაშვილი	იუსტიციის სამინისტრო	კი		
	თამარ ზურჯანაძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	28/06/2018, იუსტიციის სამინისტრო
აკადემია	ირაკლი ბურდული, თსუ	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/08/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ნათია ჩიტაშვილი, თსუ	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/08/2018, იუსტიციის სამინისტრო
	დავით გუგავა, სდასუ	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/08/2018, იუსტიციის სამინისტრო
	მარინე კორმაძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/08/2018, იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს იურისტთა ასოციაცია/სამართლებრივი ექსპერტები	დავით ასათიანი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	გიორგი ჭეხანი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	თეა ქამბაძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	კობა მემანიშვილი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო

	ლევან სანიკიძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ნოდარ ზარქუა	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ვაჟა ჯაოშვილი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ზურაბ მუხურაძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ირაკლი მიხელიძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	გიორგი ჩიტაძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	თამარ ხოხოზაშვილი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ალექსანდრე ამაშუკელი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	მარინე ნიქაბაძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ალექსანდრე წულაძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო
	ლაშა ხარშილაძე	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	01/07/2018, იუსტიციის სამინისტრო

	თამთა ივანიშვილი	ISET-ის RIA-ის გუნდი	არა	არსებული გამოწვევების განხილვა	01/12/2017, BLC
	თორნიკე ართქმელიძე/დამოუკიდებელი იურისტი, მომრიგებელი საბჭოს წევრი	ISET-ის RIA-ის გუნდი	არა	არსებული გამოწვევების განხილვა	01/12/2017, ISET
	ობერონ კუოკი, იურისტი, St. Philip Barristers	ISET-ის RIA-ის გუნდი	არა	საჭირო რეფორმის განხილვა	29/11/2017, ISET
	ირაკლი გაფრინდაშვილი, მმართველი პარტნიორი, GLCC	ISET-ის RIA-ის გუნდი	არა	არსებული გამოწვევების განხილვა	01/12/2017, ISET
საპარლამენტო კომიტეტები	იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	31/08/2018, პარლამენტი
	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	31/08/2018, პარლამენტი
	დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	იუსტიციის სამინისტრო	არა	კანონპროექტის წარდგენა	31/08/2018, პარლამენტი
ბიზნეს ასოციაციები	ივა ჭყონია, საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის თავმჯდომარე	ISET-ის RIA-ის გუნდი	არა	არსებული გამოწვევების განხილვა	29/11/2018, ISET
	ლაშა რიყამაძე, საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცი	ISET-ის RIA-ის გუნდი	არა	არსებული გამოწვევების განხილვა	29/11/2018, ISET

